საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№20 (585)
9 - 15 ივნისი, 2021
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

The Washington Post

## პასუხი «ვაშინგტონ პოსტის» სარედაქციო კოლეგიას

12-13



# «ყოველთვის მინდოდა ჩემს სამყაროში გადასვლა...»

## რეზო გაბრიაძის უკანასკნელი ინტერვიუ

2-3



## «ჩვენ რა, ყველა კმაყოფაზე უნდა გვყავდეს?»

14



ლევან ჩაჩუა:

## გეიაღლუმი იქნება იმის ნიშანი, რომ საქართველოში მყარდება ლგბტ დიქტატურა და ქვეყანა განაგრძობს ცხოვრებას ცისფერი კომისრების მიერ ნაკარნახევი დღის წესრიგით

4



დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## დღეს თუ შევეგუებით იმ უკანონობას, რომელსაც კოლექტიური ლომჯარიების ზეიმი ჰქვია, ხვალ ისინი შინ შემოგვიცვივდებიან

5



## 6 მთავარი უთანხმოება რუსეთსა და აშშ-ს შორის პუტინისა და ბაიდენის შეხვედრის წინ

17



## შეუტიეს მეუფე სპირიდონს, ანუ როგორ დამყარდა საქართველოში ლგბტქი-რეჟიმი

8



## ერმა — ბერი, ბერმა — ერი, ორივემ კი საქართველო უნდა დავიცვათ!

9

ფრაგმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მამული — იმერელი გლეხის ეზო-კარზე უმცირესი, თითქმის ისეთი, ზემოურებზე რომ იტყვიან: წელზე თოკს იბამენ დამრეც ფერდობზე ფეხის მოსაკიდებლად ყანის ყოველი გათოხნის დროსო. ოქროყანა უთხარი შენ!**

„...თოვლი მიწამდე ვერ აღწევდა. მხოლოდ ჭიშკრის ქვის სველი თავი იყო დაპუდრული და მის გვერდით ტყემლის ნერგის წვეტი ჩანდა თეთრ წერტილად“.

„ექიმი და ავადმყოფი“

# რეზო გაბრიაძის უკანასკნელი ინტერვიუ

**საშობაო მოთხრობასავით იყო
ბატონ რეზო გაბრიაძესთან ეს შეხვედრა,
სავსე სითბოთი და სიკეთით.
დამირეკა:
— საახალწლოდ მადლობა მინდა ვუთხრა ყველას,
ვისთან ერთადაც კინოში მიმუშავია.
თქვენი გაზეთით. იქნებ, ამოხვიდეო.
ერთი ხანია, გამონაბოლქვით დახუთულ თბილისს
გაერიდა და ოქროყანაში ცხოვრობს,
პირად საკუთრებაში დარეგისტრირებულ პატარა,
ლამაზ სამოთხეში.
ჰაერი — მოკბეჩა რომ შეიძლება: „სოფლის
სუფთა ღრუბელი“ (გოგლა ლეონიძე).**



ყურში ჩამჩურჩულე თოჯინა, საიდუმლოს უბადლო მცველი, ანუ უერთგულესი მესაიდუმლე, რომელსაც დანაშაულზე წავასწარი

**«ყოველთვის მინდოდა იმ ჩემს სამყაროში გადასვლა, რომელშიც შესაძლებლობა მექნებოდა, მეხატა, ქანდაკებები გამეკეთებინა... ასეთი აღმოჩნდა მარიონეტების თეატრი. მართალია, ამ პერიოდში ერთხელ კიდევ მომიწია კინოში დაბრუნება, კვლავ გიორგი დანელიასთან მუშაობა, ამჯერად — «ქინ-ძა-ძაზე»**

## ხის ბოძი – ეიფელის კოშკივით

მამული — იმერელი გლეხის ეზო-კარზე უმცირესი, თითქმის ისეთი, ზემოურებზე რომ იტყვიან: წელზე თოკს იბამენ დამრეც ფერდობზე ფეხის მოსაკიდებლად ყანის ყოველი გათოხნის დროსო.

ოქროყანა უთხარი შენ!

სოფლის ცენტრალურ პროსპექტს — თბილისის სახელობის ახლადგარემონტებულ ქუჩას — ზევიდან დასცქერის მისი მორიდებული, მეორადი საშენი მასალით ნაგები აგარაკი. ერთსართულიანი. ყავლგასული, დაშლილი სახლების ქართული აგური. ბრტყელი. საუკუნის წინანდელი ხის კოჭები, ანუ ძელები. იატაკის გაცვეთილი ფილები, აქაიქ ახლებით შევსებული.

ეზო — მოვლილ-დავარცხნილი კოინდარი, ხელისგულის დადება: მე მყოფნის, მეტი არ მჭირდებაო.

სამზადის წინ — ეიფელის კოშკივით — „გოელროს“ დროინდელი ელექტროსადენების ხის ბოძი, პლოსკოგუბციანი მონტიორები „კოქტებს“ (მოკაუჭებული რკინის „ბრჭყალებს“) ფეხის ტერფებზე რომ დაიმაგრებდნენ და ისე ადიოდნენ კომუნიზმის ამ მწვერვალებზე სოციალიზმის დადგომის დამაბრკოლებელი დაზიანებების გამოსასწორებლად.

ქვეყნის ელექტრიფიკაციის ისტორიული გეგმის განხორციელების მატერიალური სიმბოლო. გაწყვეტილი მავთულით.

მიმიწვია-მეთქი.

შობა-ახალწლის კვირაძალი იყო.

მანქანა გამომიგზავნა — მარიონეტების თეატრის საბალანსო საკუთრება. შოფრით. აბა, ჩიტოს „პაბედა“-ავტომობილით ნაღდად ვერ ავიდოდი, რადგან ის სატრანსპორტო საშუალება მხოლოდ რეზო გაბრიაძის შედევრალურ მოთხრობაში „ექიმი და ავადმყოფი“ მოძრაობს, თანაც ექსკლუზიურად ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან „საითაც გინდა“ მიმართულებით, ოღონდ — ახლომახლობლობაში.

ოქროყანის გზაზე არ დადის. რომც გავიდეს, პირველივე საპატრულო ეკიპაჟი გააჩერებს და საჯარიმო სადგომზე გადაიყვანს უძველესი „სჩასტლივი“ ნომრით სიარულის გამო — გკ 49-54. თორემ სხვა ყველა პარამეტრი ნორმაშია: პაკრიშკები გაუცვეთელი, ტორმოზები ახლადგამოცვლილი. ყველა ტეხასმოტრი ფრიადზე აქვს ჩაბარებული.

თეთრად გადაღებვა არ დასჭირდა, რადგან ოფიციალურად ტაქსი არ არის.

წარმოსახვის ამ გზას დავადექი და ავედი.

— სად დაიკარგე? — სიხარულიანი ცნობისმოყვარეობით მომიკითხავს და შემიძღვება იმ სამყაროში, რომელიც კერძოდ მისია და უსასრულო, როგორც გაბრიაძის ნიჭი და ფანტაზია.

მივუსხედით მაგიდას, რომელსაც კედლებიდან გადმოსცქერიან ყურდაცქვეტილი თოჯინები — რას იტყვის პატრონი — საიდუმლოს უბადლო მცველები, ანუ უერთგულესი მესაიდუმლენი.

მეც ყურადღებად ვარ ქცეული და ვუსმენ მაესტროს, რომელსაც (ჰოი, საკვირველებავ, და — როგორც იქნა!) საჯაროდ სიტყვის თქმის სურვილი დაებადა.

ვუსმენ და ვიწერ. ჩემი მისიაც ეგ არის.

## მიყვება, რომ კინოში შემთხვევით მოხვდა

— პროფესიით სახვითი ხელოვნების მსახური ვარ — მხატვარი და მოქანდაკე. მაგრამ მოხდა ისე, რომ მუშაობა შტატგარეშედ დავიწყე სხვადასხვა გაზეთში. მეოთხე გვერდზე, ბოლოში, ხან რას გამოვაქვეყნებდი, ხან — რას... უნივერსიტეტის ეზოში ერთი პატარა ხე იდგა. გაზაფხულზე ყველაზე ადრე აყვავდებოდა თბილისში — ჩემთვის მონიშნული რომ მქონდა, იმ თბილისში.

ფოტოგრაფები იმ ხის კადრებს იღებდნენ. მეც იმას დავხატავდი და მიმქონდა რედაქციაში. ორ-სამ სტრიქონიან ტექსტოვკასაც მივაწერდი. აქვეყნებდნენ. ასეთი იყო სტუდენტობის დროს ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობის ბეჭდური სივრცე, შესაბამისი ჰონორარით.

ამგვარი ცხოვრება ცოტა დამღლელი კი იყო.

...კინოში შემთხვევით მოვხვდი.

რუსთაველის პროსპექტზე, კულტურის სამინისტრო და კინემატოგრაფიის კომიტეტი რომ იყო, იქ შემხვდა ერთი ჩემი მეგობარი, ძალით ამათრია მეორე სართულზე და იქიდან გამამწესეს მოსკოვში.

მეც მონატრებული ვიყავი მოსკოვში ჩასვლას, იქაც ვსწავლობდი დიდხანს და კარგად ვიცნობდი ქალაქს. მოვლილი მქონდა საბჭოთა კავშირის ბევრი კუთხე.

ჩავირიცხე კინოს სასცენარო და სარეჟისორო კურსებზე საქართველოს რესპუბლიკის კვოტით. ჩემი ხელმძღვანელი იყო, ნათელი დაადგეს, კინორეჟისორი კაპლერი, მდიდარი ბიოგრაფიის კაცი, ყველა ჭირგამოვლილი. ზუსტად ერთი წელიწადი იმ კურსებზე ვსწავლობდი.

ჩემთან ერთად იყვნენ უკვე ცნობილი მწერლები და ხელოვანები: ანდრეი ბიტოვი, გრანტ მათევოსიანი და სხვები. ასეთ ხალხს შორის ცოტა „განცდებში ვიყავი“.

„განცდები“ პირველივე დღიდან არ დაკლებია, როცა მიმღები კომისიის წინაშე წარსდგა.

— საქვეყნოდ ცნობილი კინომოღვაწეები ნახევარწრედ ისხდნენ ცარიელ აუდიტორიაში. მე — მათ წინაშე, ცენტრში, როგორც დამნაშავე სასამართლო სკამზე.

მეკითხებოდნენ. ვუპასუხებდი. მართალი გითხრა, ჩემს პასუხებს დიდი აღტაცება არ გამოუწვევია... მაგრამ კურსების ადმინისტრაციამ არ ისურვა, დაეკარგა საქართველოსთვის განკუთვნილი კვოტა და მიმიღეს პირობით.

ჩემამდე იმ კურსებზე სწავლობდა არაჩვეულებრივი მწერალი და სცენარისტი ერლომ ახვლედიანი, რომელმაც თავისი კვალი დატოვა კინოშიც და მხატვრულ ლიტერატურაშიც. უნიჭიერეს და საყვარელ ადამიანად აღვიქვამ მას.

ამ პერიოდში დავწერე სცენარი, რომელიც ელდარ შენგელაიას ხელში შესანიშნავ კინოფილმად გადაიქცა — „არაჩვეულებრივ გამოფენად“.

**— ამბობენ, 900-გვერდიანი იყოო.**

— არა, ამდენს ვერ დავწერდი. 300 კი იქნებოდა, ალბათ... ასე მითხრეს.

ელდარიმდე ერთმა, ძალიან დამსახურებულმა რეჟისორმა წაიკითხა ჩემი სცენარი... მელაპარაკებოდა არა იმდენად სიტყვებით, რამდენადაც მიმიკით. მის სახეზე ისეთი დაძმარება ისახებოდა, რომელსაც სიტყვიერი განმარტება არ სჭირდებოდა. ბოლოს მითხრა, რომ მეტი მუშაობაა საჭირო.

კარგი სცენარის ძებნაში ბევრი ცნობილი რეჟისორი აკითხავდა ჩვენ კურსებს...

ელდარმა, ჩემი სცენარი რომ წაიკითხა, ძალიან ლამაზად მითხრა, რომ მოეწონა და რომ ამისგან კარგი ფილმის გაკეთება შეიძლებოდა... „არაჩვეულებრივი გამოფენა“ დიდ ეკრანზე ჩემი პირველი გამოჩენა იყო. გამიმართლა!

საკავშირო სასცენარო კურსები ორწლიანი იყო, მაგრამ მე ერთ წელიწადში დავბრუნდი საქართველოში „არაჩვეულებრივი გამოფენის“ წყალობით, რადგან სამუშაო ადგილი ჩემთვის სწორედ მაშინ გამოჩნდა და, გამეორდებოდა თუ არა კვლავაც ასეთი ბედნიერი შემთხვევა, ალაჰმა უწყოდა.

მასთან ერთად ორ ფილმზე ვიმუშავე. ერთ-ერთი „შერეკილები“ იყო, რომლის სცენარი დიდი ხნის წინათ მქონდა მოფიქრებული.

თბილისში პირველად შევხვდი ისეთ ღიმილიან კაცს, როგორიც ელდარია. უდიდესი პროფესიონალი, საერთაშორისო კლასის კინორეჟისორია. კინოფილმი „ცისფერი მთები“, რომელიც ჩემს აღტაცებას იწვევს, ჩვენი უახლესი ისტორიის ისეთი მართალი დოკუმენტი და ისეთი მაღალმხატვრული ღირებულების ნაწარმოებია, რომლის მსგავსს იშვიათად შეხვდებით მსოფლიო კინემატოგრაფიაში.

ელდარის ფილმებზე საუბრის დროს არ შეიძლება, არ გავიხსენო რეზო ჭეიშვილი — შესანიშნავი ქართველი მწერალი და სცენარისტი.

ელდარ შენგელაიას კიდევ ერთი მადლიანი თვისება ჰქონდა: „ქართული ფილმის“ სტუდიაში ყველას პატრონობდა, ყველას ბებია და ბაბუა იყო. ფილმის ეპიზოდების გადაღებას რომ დაამთავრებდა, იმავე წუთს გარბოდა აღმასკომებში, სამინისტროებში, ცეკაში ვიღაცისთვის წამლის საშოვნელად, ვიღაცისთვის ბინის მისაცემად, ვიღაცის სამუშაოზე მოსაწყობად... ვინ მოთვლის, რამდენ გაჭირვებულს დახმარებია.

ელდარ შენგელაია ინტელიგენტი პიროვნებაა, ოჯახიშვილი. ზუსტად ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო ბრწყინვალე კინორეჟისორის — ნიკოლოზ შენგელაიას და კინოს ჭეშმარიტი ვარსკვლავის, საქართველოს მშვენების — ნატო ვაჩნაძის ვაჟი.

**(ბატონ რეზოს თავისი ამ სცენარის წიგნად გამოცემაზე სიტყვა რომ ჩამოვუგდე, გულდაწყვეტით მითხრა, დაკარგულიაო: ამდენ გადასვლა-გადმოსვლაში სადაც გაიბნაო. ახლა მე დამწყდა გული. ძალიან).**

— ელდარ შენგელაიასთან რამდენიმე თვე ვიმუშავე და ეს თვეები ერთ გრძელ შაბათ-კვირას ჰგავდა.

**— შაბათ-კვირას რატომ?**

— შაბათი დღესასწაულივითაა. კვირაც კარგია, მაგრამ ხუთ საათამდე, რადგან სწორედ კვირა საღამოს მომდევნო შრომითი დღეების განწყობილება შეგახსენებს თავს და ხასიათს გაგიფუჭებს.

**— კინოსცენარი თავიდანვე იწერება, როგორც ფილმის ლიტერატურული საფუძველი თუ როგორც დამოუკიდებელი პროზაულ-ნაწარმოები?**

— ასეც ხდება და ისეც, მაგრამ მე, უწინარეს ყოვლისა, ვფიქრობ სიუჟეტზე, რომელიც მთავარია.

**(ბატონი რეზო კვლავ შენგელაიების თემას უბრუნდება. მიიჩნევს, რომ უიშვიათესი მოვლენაა, როცა ორი ძმა უმაღლესი დონის კინორეჟისორია).**

— გიორგის შემოქმედებაზე ცალკეა სათქმელი, დღეს მხოლოდ ერთს ვიტყვი: მას გადაღებული აქვს ქართული და მსოფლიო კინოს შედევრი „ფიროსმანი“, ფილმი, რომელიც კინემატოგრაფისტებმა ინტელექტუალური კინოს ნიმუშად აღიარეს. სცენარის ავტორი ერლომ ახვლედიანია, რომელიც ჩვენს საუბარში ერთხელ უკვე ვახსენე. მას უფრო მეტი წარმატება და აღიარება კიდევ ელოდება.

## მოსფილმის პერიოდი

— ელდარ შენგელაიამ მე და გიორგი დანელია ერთმანეთს გაგვაცნო. იმ დროს ჩვენგან ერთს უკვე აღარ სჭირდებოდა ლუდი, მეორეს პირიქით — ძალიან სჭირდებოდა. ასეთი მინიშნებიდან ძნელი გასარკვევი არ უნდა იყოს, ჩვენ ორიდან რომელი რომელი ვიყავით.

გიორგი დანელიასთან ერთად ჩემთვის დაიწყო სულ სხვა, „მოსფილმური“ ცხოვრება: „არ იდარდო“, „მიმინო“, „ქინ-ძა-ძა“, „პასპორტი“. ოთხივე ფილმის რეჟისორი გიორგი დანელია იყო, სცენარის ავტორი მე გახლდით. იშვიათად მინახავს მისნაირი მრავალმხრივი ნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი.

გიას ყოველთვის აინტერესებდა საქართველოს ამბები, ყოველთვის მეკითხებოდა, რა ხდებოდა ჩვენთ- ▶

ფრაგმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „განსაკუთრებით აღვნიშნავ იმ ადამიანებს, რომლებიც კინოზე არიან შეყვარებული, თავდადებით შრომობენ, თუმცა ეკრანზე წამიერადაც არ გაიელვებენ. მათ სახელებსა და გვარებს ისე აჩქარებულად გარეკავენ ფილმის დასრულების შემდეგ ეკრანზე, რომ, დახსომება კი არა, წაკითხვაც შეუძლებელია. ძალიან კარგი ხალხია“.

◀ან. დეტალურად, დაწვრილებით სურდა სიმართლის გაგება. უარყოფითის გაგონებაზე ძალიან წუხდა. ვცდილობდი, ნეგატიური ფაქტებით არ დამეტვირთა. კარგ ამბებს ვუყვებოდი უმეტესად. უხაროდა.

ძალიან ტკბილი ადამიანი იყო. უაღრესად ყურადღებიანი. გულწრფელად ვმეგობრობდით.

**— ფილმის სახელწოდებაზე, მინდა, გკითხოთ: სწორი რომელია — „არ იდარდო“ თუ „არ დაიდარდო“?**

— „არ დაიდარდო“ ჭაბუამ დაარქვა, ამირეჯიბმა.

გია სულითა და ხორცით ქართველი იყო. დისშვილი გახლდათ ვერიკო ანჯაფარიძის. ბევრ ქართველ შემოქმედთან მეგობრობდა. მათ შორის იყვნენ: რეზო თაბუკაშვილი, ვახტანგ აბრამაშვილი — არქიტექტორი, გია ბადრიძე და სხვები.

კინოში ვიმუშავე 12 წელიწადი. არ ვიცი, ბევრია ეს თუ ცოტა...

ყოველთვის მინდოდა იმ ჩემს სამყაროში გადასვლა, რომელშიც შესაძლებლობა მექნებოდა, მეხატა, ქანდაკებები გამეკეთებინა... ასეთი აღმოჩნდა მარიონეტების თეატრი. მართალია, ამ პერიოდში ერთხელ კიდევ მომიწია კინოში დაბრუნება, კვლავ გიორგი დანელიასთან მუშაობა, ამჯერად — „ქინ-ძა-ძაზე“. შვიდი თვის განმავლობაში ვთანამშრომლობდით. რთული სამუშაო იყო, ძნელი...

**— ფილმი თავიდან ბოლომდე ალეგორიაა იმდროინდელ საბჭოთა სინამდვილეზე...**

— ამიტომ იყო განსაკუთრებულად რთული განსახორციელებლად.

**— თქვენი მონაყოლი მახსენდება, „ქინ-ძა-ძაზე“ როგორ მუშაობდით სცენარისტი და რეჟისორი. მთელი დღე თავაუღებლად შრომობდით, წერდით, ასწორებდით. საბოლოო ვარიანტს დღის ბოლოს იწონებდით, აქებდით და ერთმანეთს ულოცავდით, მაგრამ მეორე დილით აცხადებდით, რომ ოფლი ამაოდ ღვარეთ, რადგან, რაც დაწერეთ, არაფრად ვარგოდა...**

— წვრილ-წვრილად ვხევდით, ვაქუცმაცებდით, ურნაში ვყრიდით და სამუდამოდ ვივიწყებდით.

**— მსახიობებს როგორ არჩევდით, ბატონო რეზო?**

— ვცდილობდი, მონაწილეობა არ მიმეღო „ქასთინგში“, თუმცა ისიც იყო, რომ გარკვეულ ეპიზოდებს კონკრეტული მსახიობებისთვის ვწერდით. მაგალითად, ევგენი ლეონოვისთვის, რომელიც გიორგის საყვარელი მსახიობი იყო.

ამ თემას არ ჩავუღრმავდები.

მაგრამ განსაკუთრებით აღვნიშნავ იმ ადამიანებს, რომლებიც კინოზე არიან შეყვარებული, თავდადებით შრომობენ, თუმცა ეკრანზე წამიერადაც არ გაიელვებენ. მათ სახელებსა და გვარებს ისე აჩქარებულად გარეკავენ ფილმის დასრულების შემდეგ ეკრანზე, რომ, დახსომება კი არა, წაკითხვაც შეუძლებელია. ძალიან კარგი ხალხია და დიდ მადლობასაც იმსახურებენ მძღოლები, მეჯინიბეები, ოპერატორების, მხატვრების, რეჟისორების ასისტენტები. ბევრი კარგი გააკეთეს მათ კინოსთვის... მათთან უფრო ვმეგობრობდი. ერთ-ერთი მათგანი მახსენდება ამ წუთში — თამაზ ქიქავა, რომელიც ერთ დროს ჟოკეი იყო, მაგრამ ცხენიდან გადმოვარდა და დაინვალიდდა. ეს ახალგაზრდა კაცი შესანიშნავად ერკვეოდა საცხენოსნო სპორტში, უყვარდა წიგნების კითხვა და საქმესაც ერთგულად ასრულებდა.

მთელი ეს არმია კინოფილმების ავტორების უდიდეს მადლობას იმსახურებს.

კინოში მუშაობა ძალიან რთული პროფესიაა და ძალიან ადრე გაბერებს კაცს.

**— ყველაზე რთული რომელ ფილმზე მუშაობა იყო?**

— „ქინ-ძა-ძამ“ ყველაზე მეტი დრო წაიღო — შვიდი თვე ვწერდით.

**— ყველაზე მხიარული?**

— „შერეკილები“.



კადრი კინოფილმიდან „ქინ-ძა-ძა“: „—ქუ!“



კადრი კინოფილმიდან „შერეკილები“: „სიყვარული ვერტიკალურია, თანაც — ბრუნვადი...“

## «ჩავუვლი კინოსტუდიას და გული მწყდება, რომ ამ ტერიტორიაზე არსად არავითარი დაფა, სტელა ან სხვა რამ მსგავსი ამისა არ არსებობს, რომელიც მიგვანიშნებდა, რომ ამა და ამ წლებში აქ განლაგებული იყო სახელგანთქმული ქართული კინოფილმების სტუდია — ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი კერა»

### ნიაღვარივით მოვარდნილები

— ოთარ იოსელიანი! აბსოლუტურად გამორჩეული თავისი ახალი, რაღაც უცნაური, ზუსტი და სწორი ხელწერით. უაღრესად ნიჭიერი შემოქმედია.

**— ოთართან გიმუშავიათ?**

— არა, არ მიმუშავია. სხვა „სექტორშია“ სხვანაირი ხედვა აქვს, მაგრამ ეს ხელს არ მიშლის, ვთქვა, რომ აღტაცებული ვარ მისი ფილმებით. სწორად წერენ, რომ იგი ქართველი-ფრანგი რეჟისორია. ეს სინთეზი ქმნის ოთარ იოსელიანის ფენომენს.

წიგნიერებაზე გამახსენდა (ხანდაზმული ვარ და თხრობის ლოგიკის დარღვევა მეპატიება), ობიექტურმა შემფასებელმა არ შეიძლება გვერდი აუაროს ირაკლი კვირიკაძეს. მას ვიცნობ, როგორც ნიჭიერად გაკეთებული ლამაზი ფილმების ავტორს. მოხდა ისე, რომ დღეს მსოფლიოში გაითქვა სახელი, როგორც კარგმა მწერალმა, რომელიც ძალიან სერიოზულ და სიმპათიურ ჟურნალებში აქვეყნებს თავის შესანიშნავ პროზაულ ნაწარმოებებს. ამერიკაშიც, ევროპაშიც მას იცნობენ და დიდად აფასებენ. საქართველოში კი ჩვენი მკითხველი ამ სიამოვნებას მოკლებულია.

საერთოდ ეგ თაობა ნიჭიერების ნიაღვარივით მოვარდა ქართულ სივრცეში და თავისი წარუშლელი კვალიც დატოვა.

სიამოვნებით ვიხსენებ თითოეულ მათგანთან შეხვედრას, საუბარს, ურთიერთობას.

განცდების ადამიანებს ვუწოდებ მათ...

„ქართულ ფილმში“ მაშინ ორ ათასამდე კაცი მუშაობდა. ურთულესია ასეთი შემოქმედებითი ორგანიზმის მართვა, არცთუ უამბიციო პიროვნებების გაძღოლა მათივე კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ სწორედ ეს შეძლო ბატონმა რეზო ჩხეიძემ, დიდმა რეჟისორმა. განუმეორებელ დირექტორად დარჩა იგი კინოსტუდიის ისტორიაში. ბევრი აუცილებლად საჭირო და კეთილი საქმე გააკეთა მან ჩვენი კინოხელოვნების განსავითარებლად. ძნელი იყო, მაგრამ შეძლო, რადგან თვითონ იყო ნაწვალები კაცი და გამოცდილი ჰქონდა ყველა პრობლემა, რომლებიც კინოშემოქმედების სივრცეში არსებობს. რეზო ჩხეიძე, როგორც კინორეჟისორი, ცალკე თემაა და ასე სახელდახელოდ გახსენებას ვერ ვაკადრებ.

მის პერიოდში კინოსტუდიაში მუშაობდნენ ისეთი თვალსაჩინო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: თენგიზ აბულაძე, ძმები შენგელაიები, ძმები ხოტივარები (ძალიან თავისებურები), მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ჭეიშვილი, სულიკო ჟღენტი, რეზო ინანიშვილი, რეზო თაბუკაშვილი, ერლომ ახვლედიანი, ლომერ ახვლედიანი და სხვები და სხვები. ბევრი, რა თქმა უნდა, გამომრჩა, მაგრამ პატიებას ვითხოვ, მით უფრო, რომ სტუდიის ისტორიას კი არ ვწერ, ვსაუბრობ და სხვა პრეტენზია არ გამაჩნია.

პრობლემა სხვა რამეა:

დიღომში, სადაც ახლა ბევრი კლინიკა ფუნქციონირებს, ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხშირად მიხდება მისვლა.

კინოსტუდიაც აქ იყო. მისი ახალი კორპუსები თავის დროზე აქ აშენდა.

ჩავუვლი კინოსტუდიას და გული მწყდება, რომ ამ ტერიტორიაზე არსად არავითარი დაფა, სტელა ან სხვა რამ მსგავსი ამისა არ არსებობს, რომელიც მიგვანიშნებდა, რომ ამა და ამ წლებში აქ განლაგებული იყო სახელგანთქმული ქართული კინოფილმების სტუდია — ჩვენი კულტურის მნიშვნელოვანი კერა.

იმდენი რა დაუჯდება დედაქალაქის მერიას აქ ასეთი სტელას დადგმა! არა მგონია, ეს იმდენად ძვირადღირებული სიამოვნებაა, რომელიც სერიოზულად დააზარალებს თბილისის ბიუჯეტს(!).

ნება დაგვრთონ და ჩვენ თვითონ თავს დავადგამთ ამ საქმეს.

### ბოლოთქმის ნაცვლად

— მინდა, შობა-ახალი წელიწადი მივულოცო ყველა ქართველ კინომოღვაწეს, ყველას, ვისთანაც მითანამშრომლია, ვისაც ვიცნობ, ვისზეც კარგის თქმა არასოდეს დამეზარება, სიკეთე და ბედნიერება ვუსურვო.

ვულოცავ რობიკო სტურუასაც!

**— რობიკოს კინოსთან საქმე რომ არ ჰქონია?!**

— მაგრამ დიდი რეჟისორია და უაღრესად დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ კინოზე!

ასე თქვა რეზო გაბრიაძემ.

ოქროყანა, 2020 წლის 20 დეკემბერი

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ამასობაში დაღამებულიყო. გამომაცილა თეატრის ბალანსზე მყოფ ავტომანქანამდე.**

დავეშვი თბილისისკენ.

„მთვარის ნათება თოვლის სითეთრისგან გასამებული იყო. ქარიც ჩაწყნარდა, აგერ-აგერ ანაწილებდა თოვლს ღობეებში, ისე, ტყვილა, თავისთვის.

ქუჩები გასუფთავდა, აღარ ჩანდნენ ჩამპალი კიბეები, დაგრეხილი აივნები, ორმოები, წუმპეები, დაღრეცილი ბორდიურები, ჟესტები, ფანერკები, სვარკა. ყველაფერი გალამაზდა და განაზდა. ძველებურ შობის ატკრიტკას დაემსგავსა ქუთაისი“ *(„ექიმი და ავადმყოფი“).*

ძალიან მინდოდა ზამთრის პეიზაჟის რაღაც ამგვარი შტრიხით დამემთავრებინა რეზო გაბრიაძესთან საუბრის ჩანაწერის ფრაგმენტები.

შობისწინა ღამეს.

ვერ შევძელი, რადგან თბილისის შემოგარენი ამ ზამთარშიც ისეთივე უთოვლო და გამომშრალი იყო, როგორც გრძნობადაცლილი ჩვენი ყოველდღიურობა — გვალვისგან ღარებად დამსკდარი და სიცოცხლეგამოცლილი მიწა...

ქართლში, ატენთან, ორიოდ დღის წინათ ძლივს ჩააქრეს ბუნებრივად გაჩენილი ხანძრის კერები.

მწვანე კონტინენტს კი, თუ ასე გაგრძელდება, გლობალური ცეცხლი მალე უდაბნოდ აქცევს, მიუხედავად იმისა, რომ წყალშიც დგას...

**ა.ს.**



„რამონა“ — რეზო გაბრიაძის ნახატი



აბორიგენი ბორია

**დააკვირდით რეზო გაბრიაძის მარიონეტების თეატრის ამ შებერტყილი ყვავის ეშმაკურ გამოხედვას:**

**იქაური აბორიგენია, ბორისი ჰქვია.**

**ამან იმდენი რამე იცის...**

**300 წელიწადს ცოცხლობს.**

**ვერ ავალაპარაკე.**

**მხოლოდ თავის პატრონს უმხელს ყველა ჭორსა და მართალს.**

**და გტოვებთ ბორისთან ერთად.**

**მე ხელი ამიღია... რეზოსთან ხომ არ დავასმენდი?!**

**მინდა, სამძიმარი გამოვთქვა რეზო გაბრიაძის გარდაცვალების გამო. წავიდა დიდებული ადამიანი. ეს დიდი დანაკარგია არა მხოლოდ ქართველი ხალხისთვის, არამედ ყველასთვის, ვინც იცნობდა მის შემოქმედებას. ყველაფერს, რაც რეზოს სახელთან არის დაკავშირებული, სამუდამოდ შევინახავ კეთილი ხსოვნის კუთხეში — ჩემს გულში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.**

**ვალერი შეხოვცოვი,**
**დოკუმენტური კინოფესტივალის — „Евразия.DOC“-ის დირექტორი, პროდიუსერულ ცენტრ „სტუდია მესამე რომის“ პრეზიდენტი**

## ჩაკუჩხი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ქართველი ერის ღირსეული ნაწილი წინ აღუდგება ქვეყნისთვის ნამუსის ახდას, რისი იმედიც მაქვს, მაშინ მაინც მოვახერხებთ, ქვეყანას ავარიდოთ სირცხვილი და უფლის რისხვა! ეს დამოკიდებულია ვაჟკაცი ბიჭების, ღირსეული ქართველების აქტიურობაზე. საზოგადოების ერთად დგომა და ერთიანად გაპროტესტება რომ გამოსავალია, ყველა თანხმდება“.**



# ლევან ჩაჩუა: გეიაღლუმი იქნება იმის ნიშანი, რომ საქართველოში მყარდება ლგბტ დიქტატურა და ქვეყანა განაგრძობს ცხოვრებას ცისფერი კომისრების მიერ ნაკარნახევი დღის წესრიგით

**4 ივნისს საქართველოში მოქმედმა უცხოეთიდან დაფინანსებულმა ერთ-ერთმა ლგბტ ორგანიზაციამ — „თბილისი პრაიდმა“, რომელიც ყოველი წლის 17 მაისს დედაქალაქის ქუჩებში დემონსტრაციულად ცდილობს სოდომიის პროპაგანდას, სპეციალურ ბრიფინგზე ე.წ. ღირსების მარში, ანუ გეიაღლუმი დააანონსა. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი თაბაგარმა განაცხადა, 5 ივლისს რუსთაველის გამზირზე ისინი საზეიმო მსვლელობას მოაწყობენ და ყველას დაანახვებენ, რომ თანასწორობა მნიშვნელოვანია. მისი თქმით, მარშის სლოგანი იქნება „გამოდი სოლიდარობისთვის“. „კონკრეტულად მინდა, გავამახვილო ყურადღება ღირსების მარშზე, რომელიც გაიმართება 5 ივლისს, რუსთაველის გამზირზე. შევიკრიბებით „რუსთაველის“ მეტროსთან „თბილისი პრაიდის“ წარმომადგენლები, ჩვენი მხარდამჭერები, პარტნიორი ორგანიზაციები, პოლიტიკოსები და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები“, — განაცხადა თაბაგარმა. ორგანიზაციის გეგმა არ მოიცავს მხოლოდ აღლუმს, ის კულტურულ, პოლიტიკურ და სხვა სახის ღონისძიებებსაც გააერთიანებს. „წელს ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ 1-დან 5 ივლისის ჩათვლით გვექნება პრაიდის კვირეული, რომელიც კულტურულ თუ პოლიტიკურ ღონისძიებებს აერთიანებს...“ — დასძინა თაბაგარმა.**

შეგახსენებთ, რომ „თბილისი პრაიდი“ არის უცხოეთიდან მხარდაჭერილი აგრესიული ლიბერალური ორგანიზაცია, რომელიც მრავალი წელია, ქვეყანაში გაუკუღმართებული სექსუალური ორიენტაციის ნორმალიზაციის პროპაგანდას ეწევა. მათი აზრით, ნორმალურია, როცა მამაკაცი თავს ქალად მიიჩნევს ან პირიქით (ქალი — მამაკაცად) და ერთი და იმავე სქესი სადამიანებს უნდა მიეცეთ, როგორც ქორწინების, ისე შვილის აყვანის უფლება. ამ ორგანიზაციის აქტივისტები აქტიურად უპირისპირდებიან მართლმადიდებელ ეკლესიას, სამღვდელოებას და, საზოგადოდ, ტრადიციულ ქრისტიანულ ფასეულობებს, აგრეთვე — ოჯახის ინსტიტუტს.

**რას ემსახურება გეიაღლუმის დაანონსება დედაქალაქში და რა რეაქცია ექნება ამაზე საზოგადოებას? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, უცხოეთიდან დაფინანსებულმა ლგბტ ორგანიზაცია „თბილისი პრაიდმა“ რამდენიმე დღის წინათ მოწყობილ სპეციალურ ბრიფინგზე გეიაღლუმი დააანონსა. თქვეს, რომ 5 ივლისს რუსთაველზე საზეიმო მსვლელობას მოაწყობენ, როგორც ჩანს, გარე ძალების სერიოზული მხარდაჭერაც აქვთ. რეალურია ეს ყველაფერი და რა პრეცენდენტი შეიქმნება ქვეყანაში, თუ ისინი ლგბტ პირების მსვლელობას ჩაატარებენ?**

— ამერიკის შეერთებულ შტატებში **ჯო ბაიდენის** გაპრეზიდენტებამ ბიძგი მისცა ლგბტ მოძრაობების გააქტიურებას. ეს, სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაზეც აისახა. ვგულისხმობ ლგბტ პროპაგანდისტების გაძლიერებას და პროვოკაციულ ქმედებებს საქართველოში, რომლებიც წლიდან წლამდე სულ უფრო დემონსტრაციულ და გამომწვევ ხასიათს იძენს. მათ სერიოზული ზურგი მიეცათ არჩევნებში დემოკრატების კანდიდატის საქჭო, მაგრამ მაინც გამარჯვებით. ბაიდენმა აღადგინა მთელი რიგი ლგბტ პროექტები, რომლებიც საერთაშორისო მასშტაბით ასეთი ორგანიზაციების გაძლიერებას ემსახურება. მათ შორის, საუბარია არა მხოლოდ ფინანსურ-მატერიალურ, არამედ პოლიტიკურ მხარდაჭერაზეც. ეს არის მიზეზი იმის, რომ **შეტევაზე გადმოვიდნენ და თამამად, ერთგვარი ირონიანარევი ცინიზმით საუბრობენ, რომ იქნება წინააღმდეგობა „ბნელი“ ძალებისგან, მაგრამ ჩვენ, „პროგრესულებს“, ეს ხელს ვერ შეგვიშლისო. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დასაწყისია...**

**— ბაიდენის ადმინისტრაცია და მისი მხრიდან ხელშეწყობა ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, საქართველოში არსებული ლგბტ ორგანიზაციებიც იღებენ რამე დახმარებებს?**

— მე მათ ფინანსურ წყაროებში ჩახედული არ ვარ და, სიმართლე გითხრათ, არც მაინტერესებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, ისინი ქვეყნის გარედან იკვებებიან; იღებენ გრანტებს, სხვადასხვა პროექტიდან იღებენ კოლოსალურ დაფინანსებებს და ამით ახორციელებენ აქტივობებს. **რაც შეეხება „თბილისი პრაიდს“ და მის მიერ დაანონსებულ გეიაღლუმს, ჩემთვის, როგორც ქრისტიანისთვის, მნიშვნელოვანია არა გარყვნილთა განცხადებები, არამედ ჩვენი ხალხის რეაქცია. დღეს, საბედნიეროდ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი მართებულად აფასებს მოვლენებს და ხვდება, რა საფრთხეს წარმოადგენს გარყვნილების ნორმად გამოცხადება.** თუმცა, არის რაღაც ნაწილი, რომელსაც ღირსების განცდა ატროფირებული აქვს და ყველაფერზე ამბობს: „მერე, რა?!“. აი, სწორედ ეს „მერე რა?!“ არის წლების განმავლობაში მიმდინარე ტელეზომბირების შედეგი. წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტი: **ქართველების საკმაო ნაწილი ისე გამოატოლერანტეს, რომ პედერასტობა მოდა ჰგონია!**

**— გინდათ, თქვათ, რომ მიმდინარე პროპაგანდა საზოგადოების გარკვეულ სეგმენტზე მაინც ახდენს გავლენას?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. ისე, **იმ ხალხს, რომელიც ერთდროულად თავს ეროვნულ იდეოლოგიასთან აიგივებს, მაგრამ გაიძახის „მერე რა?!“-ს, ვეტყოდი, რომ ხვალ-ზეგ შენი შვილი „მერე რა?!“-ს კი აღარ იტყვის, პირდაპირ მათი მხარდამჭერი ან სულაც მათი ორიენტაციის გახდება. ეს გარდაუვალია, იმიტომ, რომ პროცესი მიმდინარეობს და „მერე, რა?!“ ნებსით თუ უნებლიეთ, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ამ პროცესში ჩართვაა. ყველა ლიბერალი ჯერ კიდევ არ არის მამათმავალი, მაგრამ ყველა მამათმავალი ლიბერალია... სხვათა შორის, საქართველოში მოქმედი ლიბერალური და ლგბტ ორგანიზაციებისგან ბოლო პერიოდში ასეთი მზაკვრული ტენდენცია შეინიშნება: ისინი თავიანთი აქტივობებისას რაღაც ეროვნულ თემებშიც ერთვებიან. მაგალითად, ნამოხვანჰესის წინააღმდეგ თემაზე, ვითომ სამშობლოს მიწა-წყალის ბედი ანაღვლებთ, რამხელა უტიფრობა და ცინიზმია?! სინამდვილეში ეს მათი ტაქტიკაა — საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყარონ და მისაღები ფორმით შეფუთულად წარუდგინონ საკუთარი თავი.** აი, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ბევრი ახალგაზრდა მათი მზაკვრული პროპაგანდის მხვერპლია. ბევრი ვერც აცნობიერებს, ხვალ-ზეგ რა საფრთხის სახით მიადგება კარს ეს უბედურება. **დღეს თუ ჩვენ ვიტყვით „მერე, რა?!-ს“ და მამათმავლებს გეიაღლუმების გამართვის უფლებას მივცემთ, საქართველოს ღირსეული განვითარება არ უწერია და აი, რატომ: აღლუმს გამარჯვებული მხარე ატარებს დამარცხებული ქვეყნის მთავარ მოედანზე, ნიშნად დაპყრობისა და იმის სადემონსტრაციოდ, რომ ამ ქვეყანაში ისინი იბარებენ აღლუმს და კარნახობენ ცხოვრების დღის წესრიგს. გეიაღლუმით ლგბტ ტიპებს სურთ ქართველი კაცის მორალურად გატეხვა, მისთვის სულში ჩაფურთხება, რათა წინააღმდეგობა ვეღარ გავუწიოთ ცისფერ კომისრებს საქართველოში გეიდიქტატურის დასამყარებლად.** ასეთ მძიმე დროს, როდესაც ლგბტ დღის წესრიგი მსოფლიოში უმთავრეს პოლიტიკურ რანგშია აყვანილი, **ჩვენი ერთადერთი მოკავშირე, მხსნელი და გადამრჩენელი არის უფალი და რა ზეციური შემწეობის იმედი უნდა გვქონდეს, თუკი მისი ყოვლადწმინდა დედის წილხვედრ ქვეყანას სოდომიტებს დავუთმობთ?!**

**— „თბილისი პრაიდმა“ იმ დღეს, როცა ბრიფინგი ჩაატარა და გეიაღლუმი დააანონსა, შსს-ს მიმართა, რომ უზრუნველყოს მათი უსაფრთხოება... წლების წინათ მათ ეს გარანტიები ვერ მიიღეს იმდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიასგან, ამჯერად რას ელოდებით, როგორ იმოქმედებს ძალოვანი უწყება?**

— გახარიას მინისტრობის პერიოდში ამერიკის პრეზიდენტი იყო ტრამპი. მის დროს კი ლგბტ ორგანიზაციებს დაფინანსების წყაროები ნაკლებად ჰქონდათ. თუმცა, სწორედ გახარიას მინისტრობისას შეიქმნა შსს-ში სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც სწორედ ლგბტ და სხვა უმცირესობების უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული. **ვფიქრობ, დღევანდელი მარიონეტი პოლიტელიტა ისევე დააყენებს პოლიციას და სპეცრაზმს, როგორც რიონის ხეობაში გააკეთა, და ყველა საშუალებით ეცდება, გეიაღლუმის ჩატარებით ერთგულება დაუმტკიცოს აშშ-ის ადმინისტრაციას. თუმცა, თუ ქართველი ერის ღირსეული ნაწილი წინ აღუდგება ქვეყნისთვის ნამუსის ახდას, რისი იმედიც მაქვს, მაშინ მაინც მოვახერხებთ, ქვეყანას ავარიდოთ სირცხვილი და უფლის რისხვა! ეს დამოკიდებულია ვაჟკაცი ბიჭების, ღირსეული ქართველების აქტიურობაზე. საზოგადოების ერთად დგომა და ერთიანად გაპროტესტება რომ გამოსავალია, ყველა თანხმდება, მაგრამ მთავარი სხვა რამეა, ვინ უნდა დარაზმოს მოსახლეობა, ვის შეუძლება, დაუძახოს ადამიანებს და გამოიყვანოს?** პირდაპირ ვიტყვი: ვფიქრობ, რომ დღევანდელ ვითარებაში ეს შეუძლია მხოლოდ ეკლესიას, ამიტომ ეკლესიამ ღიად, მკაფიოდ უნდა შეაფასოს და გადადგას ნაბიჯები ღვთის განმარისხებელი მოვლენების ასალაგმავად! თუ ასე არ მოხდება, გამოსავალზე საუბარი ძალიან რთული იქნება. ცალ-ცალკე აღებული ნებისმიერი ეროვნული ძალა, პარტია თუ მოძრაობა ამ პროცესს ვერ შეაჩერებს. ამიტომაა აუცილებელი გაერთიანება და ერთიანი ფრონტის, ძლიერი, ანგარიშგასაწევი ბირთვის შექმნა, და ეს უნდა მოხდეს ღირსეული, ავტორიტეტული სასულიერო დასის ლოცვა-კურთხევით. საუბარია იმ იერარქებსა და სამღვდელო დასზე, რომლებიც დიდი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობენ მორწმუნე ერში. რაც შეეხება გარე ძალების, ანუ დასავლეთის ფაქტორს, რომელსაც ზოგიერთი ქრისტიანი უძლეველად მიიჩნევს, მინდა, მათ ვუთხრა: უფალი მეფობს! ღმერთზე ძლიერი სამყაროში არაფერია და, თუ მის მხარეს ვაჟკაცურად ვიბრძოლებთ (მებრძოლთ ეკლესიის წიაღიდან, რომელსაც „ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან“), სულსაც გადავირჩენთ, ოჯახებსაც და ქვეყანასაც ავარიდებთ დიდ განსაცდელებს... ამიტომ, ცხადია, წინააღმდეგობები იქნება, მაგრამ გასავლელი გზა უნდა გავიაროთ. ასე გაგრძელება შეუძლებელია!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«ვინ უნდა დარაზმოს მოსახლეობა, ვის შეუძლია დაუძახოს ადამიანებს და გამოიყვანოს? დღევანდელ ვითარებაში ეს შეუძლია მხოლოდ ეკლესიას, ამიტომ ეკლესიამ ღიად, მკაფიოდ უნდა შეაფასოს და გადადგას ნაბიჯები ღვთის განმარისხებელი მოვლენების ასალაგმავად! თუ ასე არ მოხდება, გამოსავალზე საუბარი ძალიან რთული იქნება. ცალ-ცალკე აღებული ნებისმიერი ეროვნული ძალა, პარტია თუ მოძრაობა ამ პროცესს ვერ შეაჩერებს, ამიტომაა აუცილებელი გაერთიანება და ძლიერი, ანგარიშგასაწევი ბირთვის შექმნა. და ეს უნდა მოხდეს ღირსეული, ავტორიტეტული სასულიერო დასის ლოცვა-კურთხევით»**

**„იმ ხალხს, რომელიც ერთდროულად თავს ეროვნულ იდეოლოგიასთან აიგივებს, მაგრამ გაიძახის „მერე რა?!“-ს, ვეტყოდი, რომ ხვალ-ზეგ შენი შვილი „მერე რა?!“-ს კი აღარ იტყვის, პირდაპირ მათი მხარდამჭერი ან სულაც მათი ორიენტაციის გახდება. ეს გარდაუვალია იმიტომ, რომ პროცესი მიმდინარეობს და „მერე, რა?!“ ნებსით თუ უნებლიეთ, ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად, ამ პროცესში ჩართვაა. ყველა ლიბერალი ჯერ კიდევ არ არის მამათმავალი, მაგრამ ყველა მამათმავალი ლიბერალია“**

„პროკურატურისთვის ეს ყველაფერი იქნება ლაკმუსის ქაღალდი. გამოიძიებენ და დაუსვამენ წერტილს ამ ბინძურ სპეკულაციებს? დავიჯერებთ, რომ ამ სტრუქტურაში ყოფილან კეთილსინდისიერი ადამიანები; არ გამოიძიებენ და ჩვეულებრივად გაგრძელდება ყველაფერი, ჩვენც საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაც, ამ ფულზე გაყიდულ ჭინკებთან ერთად მონაწილეობენ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ გაუგონარ უზნეობაში“.

მართლმადიდებლობის მტრები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# დღეს თუ შევეგუებით იმ უკანონობას, რომელსაც კოლექტიური ლომჯარიების ზეიმი ჰქვია, ხვალ ისინი შინ შემოგვიცვივდებიან

**ე.წ. სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას მიერ ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონატის გარშემო ატეხილმა ისტერიულმა წივილ-კივილმა, რომლის სამიზნეშიც არა მხოლოდ ერთი კონკრეტული დაწესებულება, არამედ მთლიანად ეკლესია და სამღვდელოებაა, პიკს მიაღწია. მადისკრედიტირებელმა კამპანიამ, მათ შორის საპატრიარქოს მისამართითაც, უკვე აშკარა ცილისწამების ხასიათი მიიღო (ბრალდებები ისმის პირადად მეუფე სპირიდონისა და ცალკეული სასულიერო პირების მიმართ, რაც, როგორც წესი, ომბუდსვუმენის აპარატის თანამშრომლებისა და ცალკეული „უფლებადაცველების“ მხრიდან დაუსაბუთებლად კეთდება).**

პროცესში აქტიურად ჩაერთნენ უცხოეთიდან დაფინანსებული ლგბტ აქტივისტებიც, რომლებიც ბავშვების პანსიონიდან გამოყვანას და მათ სხვა ადგილას დაბინავებას ითხოვენ. ამასთანავე, ისინი არა მხოლოდ დაწესებულების საქმიანობის შესწავლის, მისი საერთოდ დახურვისა და გაუქმების ულტიმატუმს აყენებენ: „ანაფორა იმუნიტეტი არ არის“, „ანაფორა ძალადობას ვერ ფარავს“ და ა.შ. ამ ლოზუნგებით გამართეს მათ წინა კვირას აქცია პროკურატურასთან, სადაც სამართალდამცველი სტრუქტურებისგან საქმეზე „დროული“ რეაგირება და პანსიონში თუნდაც ძალის გამოყენებით შესვლა მოითხოვეს...

**შეგახსენებთ:** 3 მაისს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტომ პანსიონში ე.წ. სოცმუშაკები შეუშვა. შედგა შეხვედრა პანსიონის თანამშრომლებთან, მეუფესა და აღსაზრდელებთან. შესვლიდან მალევე მათ დაწესებულებიდან რამდენიმე ბავშვი გამოიყვანეს, თუმცა, როგორც შემდეგ მედიასთან განმარტეს, მონიტორინგი გრძელდება და, თუ დარღვევები გამოიკვეთა, შესაძლოა, პანსიონის დახურვის საკითხიც დადგეს...

**რას ემსახურება ნინოწმინდის პანსიონის გარშემო ატეხილი ხმაური, რა ძალები დგანან ამ ყველაფრის მიღმა და რა პრეცენდენტი შეიქმნება ქვეყანაში, თუ ლგბტ თემისა და უცხოეთიდან დაფინანსებული ანტიქართული (ლიბერალური) ძალების კარნახით ხელისუფლება საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებას ლიცენზიას ჩამოართმევს, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, ნინოწმინდის პანსიონის გარშემო ლომჯარიას მიერ მიზანმიმართულად ატეხილი ცრუ განგაში, შეიძლება ითქვას, ფართომასშტაბიან ანტისაეკლესიო, ანტიმართლმადიდებლურ და ანტიქართულ კამპანიაში გადაიზარდა. ეს უკვე ყველა ასპექტში აშკარაა. შეტევაში ყველა ლიბერალური ფლანგი მონაწილეობს, დაწყებული ე.წ. უფლებადამცველებით, დამთავრებული ლგბტ პროპაგანდისტებით... რა პროცესია ეს რეალურად და, რაც მთავარია, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მას?**

— შეტევა ეკლესიასა და სამღვდელოებაზე ლიბერალური ფლანგის წარმომადგენლებისგან სიახლე არ არის. ამას უკვე ვხედავთ, რამდენიმე წელია, მაგრამ ის, რაც ახლა ხდება ნინოწმინდის პანსიონის გარშემო, ან ის, რაც რამდენიმე კვირის წინათ ხდებოდა ჭყონდიდის ეპარქიაში, უპრეცენდენტო შეტევაა. **ეს არის ეკლესიასთან ბრძოლის სხვა ეტაპი, რომელიც, განსხვავებით ადრინდელიებისგან, მოიცავს ფიზიკურ ძალადობას, შეჭრას, სისხლის სამართლის საქმეების აღძვრას, დაუსაბუთებელ უმძიმეს ბრალდებებს, ცილისწამებას და ა.შ.**

რაც შეეხება ნინო ლომჯარიას, რომელიც უკვე ღიად ამჟღავნებს კატეგორიულ მიუღებლობას ეკლესიის მიმართ, ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: **სახალხო დამცველი — ეს არის პირობითი დასახელება ლომჯარიას თანამდებობის, იმიტომ, რომ რეალურად ის უცხო ქვეყნის დივერსანტია და გარედან მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას უდგას სათავეში.**

ახლა რა არის საბოლოო მიზანი და რატომ ამოირჩიეს ეკლესიაზე შეტევისთვის მაინცდამაინც ნინოწმინდის პანსიონი: პირველი — მოგეხსენებათ, ამ დაწესებულებას ხელმძღვანელობს **მეუფე სპირიდონი (აბულაძე),** რომელიც გამორჩეული მქადაგებელი და მამხილებელია სოდომიზმის. ის არც ხელისუფლების კრიტიკას არ ერიდება და არც ოპოზიციის, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ლიბერალებს. აი, ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ მეუფე სპირიდონი პირველი ამოიღეს სამიზნეში, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი ამოცანა და ამ ყველაფრის მიღმა მდგომ ძალებს სხვა არანაკლებ შორს მიმავალი გეგმებიც აქვთ ეკლესიისთან მიმართ...

**— რას გულისხმობთ?**

**— პანსიონზე თავდასხმითა და მასთან „სამართლებრივი“ ბრძოლის მოგებით უნდა შეიქმნას პრეცენდენტი, რომ ეკლესია დამარცხდა.** ყველამ უნდა დაინახოს, უწინარესად კი — კონსერვატიულმა საზოგდოებამ, რომ აგერ, სასულიერო პირი, მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესების გამომხატველი ინსტიტუტის წარმომადგენელი მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელი იდეოლოგიური დღის წესრიგის გამტარებელ ინსტიტუციას რომ დაუპირისპირდა, დამარცხდა. რაც შეეხება კონკრეტულ ბრალდებებსა და ცილისწამებებს პანსიონატის თანამშრომლების მიმართ, **მათ გამოიყენეს ერთ-ერთი ბენეფიციარი გოგონა, რომელიც რამდენიმე თვეში გახდება სრულწლოვანი. ის წლების განმავლობაში იზრდებოდა პანსიონში და შემდგომ ნათესავებმა — ბიცოლამ და ბიძამ, წაიყვანეს, თუმცა მათთან ხუთი თვის ცხოვრების შემდეგ კვლავ აღმოჩნდა არასამთავრობო ორგანიზაციების ხელში, რომლებიც მინდობითი აღზრდისა და დროებითი თავშესაფრების საკითხებით არიან დაკავებულნი. აი, ზუსტად ამის შემდეგ მოულოდნელად შედის განცხადება მისი ხელმოწერით ნინოწმინდის პოლიციაში, თითქოს რამდენიმე წლის წინათ ის პანსიონში გააუპატიურეს. რა თქმა უნდა, მყისვე აღიძრა საქმე და დაიწყო გამოძიება, მაგრამ, როდესაც ჩატარდა ექსპერტიზა, ეს ბავშვი აღმოჩნდა ხელუხლებელი.** არ აღენიშნებოდა გაუპატიურების კვალი. ცხადია, გამოძიებამ დაიწყო ფიქრი, რომ საქმის წარმოება შეეწყვიტა, მაგრამ კონსპირატორებისთვის, კოლექტიური ლომჯარიებისთვის, ეს არ იყო მისაღები...

**— რატომ?**

— მათი ჩანაფიქრის მიხედვით, აღნიშნულ საქმეზე სისხლის სამართალწარმოება დიდი ხანი უნდა გაგრძელებულიყო. შემდგომ ხმაური უნდა აეტეხათ და საქმის გაჭიანურება მოეყვანათ მთავარ მიზეზად, რათა სასამართლოს განჩინების ძალით ბავშვები გაეყვანათ პანსიონიდან. აი, ამის გამო გოგონას მეორედ შეატანინეს განცხადება და მან ისევ იმავე ადამიანს დაადო ხელი. სხვათა შორის, ეს არც ერთ ტელევიზიას არ უთქვამს. **განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ გაუპატიურება ამჯერად მოხდა ხაშურში. შემდეგ მესამედაც შეატანინეს განცხადება, თითქოს ქუთაისში მოხდა გაუპატიურება ისევ იმ პირის მხრიდან... ეს გაჭიანურებული პროცესი გამოიყენეს იმისთვის, რომ აეტეხათ ხმაური და მედიის ფართო ყურადღების ფონზე ეწარმოებინათ უმძიმესი ცილისმწამებლური კამპანია საპატრიარქოს წინააღმდეგ. ამის საფუძველზე ფაქტობრივი გარემოებების გარეშე დაიწყეს საუბარი კონკრეტულ დანაშაულებზე, რომლებიც ბავშვების წამებას, მათდამი არაადამიანურ მოპყრობასა და სექსუალურ ძალადობას ეხება.** არაფერს ვამბობ იმ სპეკულაციებზე, რომ, თურმე, ხელისუფლება, ეკლესიასთან ერთად, ხელს აფარებს ამ ყველაფერს... **ყველაზე ცუდი ამ პროცესებში რა არის, იცით? ის, რომ საზოგადოება არ არის დეტალურად ინფორმირებული საქმეზე, ამიტომაც მივმართე გენერალურ პროკურატურას და მოვუწოდე, რომ სასწრაფოდ დაიკითხოს ის გოგონა.** ერთი მხრივ, ეს გამოავლენს, ვინ დგას ცრუ საჩივრების უკან და, მეორე მხრივ, ყველასთვის ცხადი იქნება, რომ სასამართლოც გარკვეულწილად შეცდომაშია შეყვანილი...

**— თქვით, რომ პროკურატურამ უნდა ჩაატაროს ობიექტური გამოძიება და გაარკვიოს, ვინ დგას ცრუ ბრალდებების უკან, რომლებიც ეკლესიის მადისკრედიტებელი კამპანიის ნაწილია. დღევანდელი პროკურატურა, რომელშიც, სასამართლოს მსგავსად, ბევრია ლიბერალი კადრი, ამას გააკეთებს?**

— პროკურატურისთვის ეს ყველაფერი იქნება ლაკმუსის ქაღალდი. **გამოიძიებენ და დაუსვამენ წერტილს ამ ბინძურ სპეკულაციებს? დავიჯერებთ, რომ ამ სტრუქტურაში ყოფილან კეთილსინდისიერი ადამიანები; არ გამოიძიებენ და ჩვეულებრივად გაგრძელდება ყველაფერი? ჩვენც საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლებაც, ამ ფულზე გაყიდულ ჭინკებთან ერთად მონაწილეობენ ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ გაუგონარ უზნეობაში.**

**— ვთქვათ, პროკურატურამ არ გამოიძია ეს ყველაფერი და ეკლესიის წინააღმდეგ კიდევ უფრო დიდი მასშტაბით გაგრძელდა ბრძოლა, რა გზა რჩება ეკლესიასა და საზოგადოებას ამ პროცესის წინ აღსადგომად?**

— ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია არ არის მხოლოდ სასულიერო პირების კრებული. ეკლესია მრევლისა და სამღვდელოების ერთობაა, ამიტომ ჩვენ არ უნდა ველოდოთ მხოლოდ ეკლესიის მხრიდან პროტესტის გამოხატვის აუცილებლობაზე განცხადებებს. მგონი, ეს ცხადია და ამ საკითხზე ყველა ვთანხმდებით, ისევე, როგორც მხოლოდ ერისკაცებისთვის არ უნდა იყოს მინდობილი შემდგომი პროტესტის განხორციელების გზები და საშუალებები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მრევლმა და ეკლესიამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ჩამოვაყალიბოთ სამოქმედო გეგმა. ეს ერთი. მეორე — **თუ ჩვენ დღეს შევეგუებით იმ უკანონობას, რომელსაც კოლექტიური ლომჯარიების ზეიმი ჰქვია, ხვალ ისინი შინ შემოგვიცვივდებიან... სხვათა შორის, ის ხალხი, რომელიც დღეს ნინოწმინდის პანსიონატს ებრძვის, 5 ივლისისთვის გეიაღლუმს გვიმზადებს...**

**— ის ერთიანობა, რომელიც ახსენეთ, შესაძლებელია დღევანდელ ვითარებაში? საზოგადოება ხომ სრულ ნიჰილიზმშია?**

— სანამ ბახტრიონის აჯანყება მოხდებოდა, ზუსტად ანალოგიური განწყობა იყო, მაგრამ, როდესაც მოხდა ისეთი რამ, რაც ყველას ღირსებას შეეხო, სრულიად საქართველო, დიდი და პატარა, ფეხზე დადგა. აქ საუბარია ხალხის ისეთ აზვირთებაზე, რომ ქვა ქვაზე არ დარჩა — მთელი ალაზნის ველი მოფენილი იყო მოძალადე მტრის გვამებით. თუმცა ჩვენ, ქართველებს, ერთი ძალიან დიდი პრობლემა გვაქვს და **დიმიტრი უზნაძე** თავის გენიალურ „განწყობის თეორიაში“ ამაზე პირდაპირ მიუთითებს. თუ ჩვენ სწრაფად არ მოვახდენთ ამა თუ იმ მოვლენაზე რეაგირებას, შემდეგ გაწელილ პროცესში ყოველთვის ვაგებთ. ე.ი., ქართველობა მაშინ არის ძლიერი, როდესაც, გამოიკვეთება თუ არა მტრის ხატი და მოხდება საფრთხის იდენტიფიცირება, იმწამსვე იწყებს რეაგირებას. რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, რაც შეიძლება, სწრაფად უნდა გამოიკვეთოს მტრის ხატი და ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. მხოლოდ ამას მოჰყვება კონსოლიდაცია და განწყობების მატერიალიზაცია, რაც, ჩემი აზრით, სრულიად შესაძლებელია. სხვა გამოსავალი არ არსებობს, თუ გვინდა ამ ლიბერალურ ჯოჯოხეთს თავი დავაღწიოთ და არ გვსურს, ხვალ-ზეგ კოლექტიური ლომჯარიები ადამიანის უფლებებზე ზრუნვის ლოზუნგით ოჯახებში შემოგვიცვივდნენ...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«სახალხო დამცველი — ეს არის პირობითი დასახელება ლომჯარიას თანამდებობის, იმიტომ, რომ რეალურად ის უცხო ქვეყნის დივერსანტია და გარედან მიღებული ინსტრუქციების შესაბამისად ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებულ ბრძოლას უდგას სათავეში»**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს დამოუკიდებლობაზე საუბარი უხერხულიც კია. საქართველო არათუ დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, იმის შესაძლებლობასაც კი მოკლებულია, რომ თვითონ აირჩიოს, ვისზე დამოკიდებულება სურს ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვის ვასალად ყოფნა ურჩევნია.**



# თავისუფლებისთვის კი არა, საქართველოს არსებობისთვის ბრძოლა უწევს

## გმადლობთ, ბატონო იენს, თქვენ ძალიან ყურადღებიანი ბრძანდებით!

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეცხრამეტე გამოშვება

**„ჩვენ მზად ვართ ნატოსთან დიალოგისთვის, თუნდაც ეს მონოლოგი აღმოჩნდეს!“**

**ვლადიმერ პუტინი**

**მსოფლიოს წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დგას შეკითხვა — საით მივექანებით? თეორიულად ორი გზა ჩანს — ან ერთმანეთთან კონფრონტაციაში შესულ ზესახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება და შეთანხმება, ან გლობალური დაპირისპირება და მესამე მსოფლიო ომი. შეიარაღების თანამედროვე დონის ვითარებაში გლობალური დაპირისპირება და მსოფლიო ომი რასაც ნიშნავს, ყველასთვის გასაგებია, ეს პლანეტარული კატასტროფაა, მაგრამ რას ნიშნავს მოლაპარაკება და შეთანხმება — ეს არ არის ერთმნიშვნელოვანი და ყველასთვის მარტივად გასაგები. თეორიულად აქ მრავალი ვარიანტი არსებობს, ხოლო რა იქნება პრაქტიკულად, ამას დრო გვაჩვენებს.**

ახლოვდება რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა ჟენევაში, რომელიც, თუ არ ჩაიშალა (რაც სულაც არ არის გამორიცხული), ყველა შემთხვევაში უაღრესად დიდი მნიშვნელობის მოვლენა იქნება. ყველა შემთხვევაში-მეთქი, როდესაც ვამბობ, ვგულისხმობ იმასაც, რომ შეხვედრა შესაძლებელია წარმატებული აღმოჩნდეს და, იმასაც, რომ შესაძლებელია, წარუმატებელიც იყოს. შეხვედრა ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნება. პირველ შემთხვევაში იმით, რომელი საკითხი როგორ გადაწყდება; მეორე შემთხვევაში კი იმით, რომ, თუ მოლაპარაკება შეუძლებელი აღმოჩნდება, კონფრონტაცია გაგრძელდება და ადრე თუ გვიან ის წითელი ხაზიც გადაიკვეთება, რომლიდანაც უკან დასახევი არც ერთს და არც მეორეს აღარ დარჩებათ.

აშშ-ის პრეზიდენტი **ბაიდენი** ჟენევაში დანიშნული შეხვედრის წინ ასეთ განცხადებას აკეთებს: **„აშშ არ ეძებს კონფლიქტს. ჩვენ გვსურს სტაბილური და პროგნოზირებული ურთიერთობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, რუსეთთან ვიმუშაოთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სტრატეგიული სტაბილურობა და შეიარაღებაზე კონტროლი. ამასთანავე, მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ რუსეთისთვის დადგეს სერიოზული შედეგები აშშ-ის სუვერენიტეტის შემლახავი ქმედებებისა და არჩევნებში ჩარევის გამო. ჩვენ როდესაც შევხვდებით, მე კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს აშშ-ის, ევროპისა და ჩვენი თანამოაზრე დემოკრატიული სახელმწიფოების მიჯაჭვულობას ადამიანის უფლებებისა და ღირსების დაცვისადმი“**.

პრეზიდენტ ბაიდენის ამ განცხადების ის ნაწილი, რომელშიც საუბარია სტაბილური და პროგნოზირებული ურთიერთობების სურვილზე, გადაფარულია განცხადების იმ ნაწილით, რომელშიც საუბარია რუსეთის მიერ აშშ-ის სუვერენიტეტის ხელყოფასა და არჩევნებში მის ჩარევაზე, ანუ კეთილგანწყობისა და შეთანხმების მიღწევის სურვილი გაქარწყლებულია ანგარიშსწორებისა და შურისძიების სურვილით. პრეზიდენტ ბაიდენის ამ წინააღმდეგობრივი განცხადების შემდეგ პრეზიდენტ **პუტინის** პასუხმაც არ დააყოვნა, რომელიც, ბაიდენის პოზიციიდან გამომდინარე, სავსებით ლოგიკურია, მაგრამ სტაბილურობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტად ვერ გამოიყურება: „Вы знаете, в чем проблема, я вам расскажу как бывший гражданин бывшего Советского Союза. В чем проблема империй — им кажется, что они такие могущественные, что они могут позволить себе небольшие погрешности и ошибки. Этих купим, этих напугаем, с этими договоримся, этим дадим бусы, этим погрозим военными кораблями. И это решит проблемы. Но количество проблем нарастает. Наступает момент, когда с ними уже не справиться. И Соединенные Штаты уверенной поступью, уверенной походкой, твердым шагом идут прямо по пути Советского Союза“.

მკაცრი განცხადებაა, რომელშიც აშშ-ისთვის კატასტროფული დასასრულია ნაწინასწარმეტყველები. მიჭირს, დავეთანხმო პრეზიდენტ პუტინის იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირი იმპერიებისთვის დამახასიათებელმა წინააღმდეგობებმა დაანგრია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი არ ყოფილა იმპერია ამ ცნების კლასიკური გაგებით. **საბჭოთა სახელმწიფო სოციალური სამართლიანობის იდეით გაერთიანებულ რესპუბლიკათა კავშირი იყო, რომელიც მას თვისებრივად განასხვავებდა ისტორიული იმპერიებისგან. მეორე და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა არ ყოფილა იმპერიათა შინაგანი წინააღმდეგობებით გამოწვეული მოვლენა, ეს იყო გარეშე მტრების დივერსიული ქმედებებისა და შინაურთა მიერ ჩადენილი ღალატის შედეგი.** საშინაო საქმეებში ჩარევის გამო დღეს ვინმეს ვინმესთვის სასაყვედურო რამე თუ აქვს, ეს, უწინარესად, საბჭოთა ხალხია, რომელიც მთელი არსებით უნდა იყოს მომართული ამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ, რადგან მან ჯერ საბჭოთა კავშირის ნგრევა გამოიწვია, ახლა კი რუსეთისა და დანარჩენი საბჭოთა რესპუბლიკების დანგრევა უნდა. ეს ერთი ასპექტია პრეზიდენტ პუტინის განცხადებისა. პრეზიდენტ პუტინის განცხადების მეორე ასპექტს კი, რომელიც აშშ-ის იმ მძიმე ისტორიულ ხვედრს შეეხება, რომელიც, იმპერიათა განვითარების ისტორიული კანონზომიერებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა დადგეს, არ მაქვს საფუძველი, არ დავეთანხმო. **აშშ მართლაც კლასიკური იმპერიაა, რომელიც საერთო წესიდან გამონაკლისი ვერ იქნება. სხვა საკითხია, რა მასშტაბის კატაკლიზმებს გამოიწვევს აშშ-ის კრახის ეს გარდაუვალი პროცესი. მწარე გამოცდილებიდან ვიციით, რომ საბჭოთა კავშირის დანგრევამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებულ მსოფლიო წესრიგს საფუძველი შეურყია და თითქმის მთელი პლანეტა ქაოსში გადაჩეხა.** ამ მასშტაბის კიდევ ერთი კრიზისი შესაძლებელია მსოფლიოსთვის მძიმედ გადასატანი აღმოჩნდეს, ამიტომ უნდა ვილოცოთ, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის დღეს არსებული წინააღმდეგობა ადვილად მოგვარდეს, თან იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რა შემთხვევაში მოხდება ეს და რა შედეგებს მოუტანს პროცესი საქართველოს, კონკრეტულად...

**რუსეთსა და აშშ-ს შორის დაძაბულობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიხსნება, თუ ისინი რაღაცაში მორიგდებიან და ახლებური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში კონსენსუსს მიაღწევენ. რას ნიშნავს ეს? რუსეთი აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონიის აღიარებისა და მისი ვასალად ქცევის გზით რომ არ წავა, ეს საქმეში მხოლოდ ზედაპირულად ჩახედულმა ადამიანებმაც კი იციან. რჩება მეორე გზა. აშშ უნდა შეელიოს მსოფლიოზე ერთპიროვნული ბატონობის დიდი ხნის წინათ აკვიატებულ იდეას და რუსეთს, როგორც ნამდვილ ზესახელმწიფოს (დავარქვათ ყველაფერს მისი სახელი), მისი გავლენის სფერო უნდა დაუტოვოს.** რუსეთის გავლენა სრულიად ბუნებრივად ყველა კონტინენტზე გავრცელდება, მაგრამ როგორ შეზღუდულადაც უნდა წარმოვიდგინოთ ეს გეოგრაფია, უეჭველია, რომ იგი, ნებისმიერ შემთხვევაში, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის მომცველი იქნება. საქართველომ და უკრაინამ რა ციებ-ცხელებიანებივითაც უნდა იკანკალონ ნატოსთან მოსალოდნელი ჯვრისწერის მოლოდინში, მათი გეოპოლიტიკური ადგილი წინასწარ არის განსაზღვრული. მეტიც: თვით ბალტიისპირეთის, დღეს უკვე ნატოს წევრი, სახელმწიფოების, ბედიც განხილვისა და გეოპოლიტიკური ვაჭრობის თემად იქცევა, ვინაიდან ამას თვითონ მომავალი მსოფლიო წესრიგის ბალანსის საკითხი დააყენებს დღის წესრიგში. გვაქვს რამე ხელშესახები ფაქტორი ამგვარი ვარაუდების გამოსათქმელად? ვფიქრობ, გვაქვს. პირველი ფაქტორი არის ის, რომ **აშშ-ს აშკარად არ ეყო არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც იდეოლოგიური და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არც სამხედრო რესურსი მსოფლიოზე ერთპიროვნული გავლენის მოსაპოვებლად; მეორე უმთავრესი ფაქტორი რუსეთია, რომელიც ე.წ. ცივ ომში გამანადგურებელი მარცხისა და საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის დაშლის მიუხედავად, ვერ დააჩოქეს. მესამე ფაქტორი ჩინეთია, მისი ფანტასტიკურად მზარდი ეკონომიკითა და ტექნიკური სიახლეებით, რომელმაც აშშ უკან მოიტოვა.** ეს, რაც შეეხება ფაქტორებს, თუმცა, შესაძლებელი იყო, რომ აშშ-ს, როგორც ჯერ კიდევ მძლავრი ეკონომიკისა და ამოუწურავი საერთო პოტენციალის მქონე ქვეყანას, ამ ფაქტორთა უგულებელყოფა მოეხდინა და მსოფლიო დომინანტობისკენ აღებული გეზიდან არ გადაეხვია, მაგრამ ასე არ მოხდა. პირველი გზავნილები, რომ აშშ გაჯიუტებას არ აპირებს და რეალობას თვალს უსწორებს, უკვე გაჩნდა. სამაგალითოდ ე.წ. „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის მიმართ ბაიდენის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც საკმარისია. **მილსადენის მშენებლობა, რომლითაც გერმანიას რუსული ბუნებრივი აირი უნდა მიეწოდოს და რომელიც ამერიკელთა და-** ►



**რუსეთის სივრცეში დარჩენა საქართველოს დასავლეთიდან ნიაღვრად მომსკდარი იმ ჭუჭყისგან დაიცავს, რომელიც სულ მალე ჩვენს ეროვნულ შინაარსს ისე წაბილწავს, რომ საკუთარი თავის შეცნობა გაგვიჭირდება, ამიტომ ამ მოვლენას არამხოლოდ გაგებით, არამედ სიხარულითაც უნდა შევხვდეთ, ვინაიდან ეს საქართველოს ფიზიკურ გადარჩენას ნიშნავს. როგორც ჩანს, საქართველოსთვის ჯერ არ დასრულებულა ის ისტორიული პროცესი, რომელშიც, თავისუფლებისთვის კი არა, არსებობისთვის ბრძოლა უწევს**

**რუსეთის გავლენა სრულიად ბუნებრივად ყველა კონტინენტზე გავრცელდება, მაგრამ როგორ შეზღუდულადაც უნდა წარმოვიდგინოთ ეს გეოგრაფია, უეჭველია, რომ იგი, ნებისმიერ შემთხვევაში, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის მომცველი იქნება. საქართველომ და უკრაინამ რა ციებ-ცხელებიანებივითაც უნდა იკანკალონ ნატოსთან მოსალოდნელი ჯვრისწერის მოლოდინში, მათი გეოპოლიტიკური ადგილი წინასწარ არის განსაზღვრული. მეტიც — თვით ბალტიისპირეთის, დღეს უკვე ნატოს წევრი, სახელმწიფოების, ბედიც განხილვისა და გეოპოლიტიკური ვაჭრობის თემად იქცევა.**

«მე სიტყვასა ერთსა გკადრებ...»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში, გარკვეული ხნის განმავლობაში არსებობდა ილუზია საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობისა. შემდგომ ეს ილუზია გაქრა, მაგრამ გაჩნდა ილუზია, რომ ჩვენ თვითონ ავირჩევდით, ვის უნდა მივკედლებოდით, უფრო ზუსტად, ვის კოლონიად უნდა ვქცეულიყავით. ახლა, იმ შემთხვევაში, თუ აშშ და რუსეთი შეთანხმდებიან, რომ ერთმანეთთან კომპრომისების გზით იარონ და ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას გადაწყვეტენ, ეს ილუზიაც გაქრება. ჩვენ აღმოვჩნდებით იქ, სადაც ჩვენს ყოფნას ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთთან შეთანხმებით გადაწყვეტს. დიდი ალბათობით, ეს რუსეთი იქნება**

**◀ჟინებული მოთხოვნითა და დაწესებული სანქციების გამო შეჩერებული იყო, განახლდა (და უკვე დასრულდა კიდეც):** „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის მშენებლობისთვის სანქციების დაწესება და მისი შეჩერება, რომელიც იმ მომენტისთვის, როდესაც მე პრეზიდენტის უფლებამოსილება მივიღე, პრაქტიკულად დასრულებული იყო, აშშ-ისა და გერმანიის ურთიერთობებისთვის კონტრპროდუქტიული იქნება“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯოზეფ ბაიდენმა.** მან აღნიშნა ისიც, რომ თავიდანვე წინააღმდეგი იყო ამ პროექტის განხორციელებისა. აშშ-ის პრეზიდენტის მხრიდან ეს არსებულ, თუნდაც არასასურველ ვითარებასთან შეგუებას ნიშნავს, რომელსაც პოლიტიკაში კომპრომისზე წასვლას უწოდებენ. **„ჩრდილოეთის ნაკადი 2“, რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ 2019 წელს შეჩერდა, დასრულდება. იგი ორი ხაზისგან შედგება, რომლებიც რუსეთიდან გერმანიამდე ბალტიის ზღვით გავა და წელიწადში 55 მილიარდი კუბური მეტრის სიმძლავრე ექნება.** ბაიდენის ეს გადაწყვეტილება, ძნელია, სხვაგვარად შეაფასო, თუ არა რეალობისთვის თვალის გასწორება და სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, თუმცა სხვა შეფასებები მაინც გაჩნდა, პირველ რიგში, აშშ-ის კონგრესში. კონგრესმენთა აზრით, „რუსეთს „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის გამოყენებით შეუძლია ევროპაში ვითარების დესტაბილიზაციის გამომწვევი მოქმედება. ამას გარდა, ამ პროექტის დასრულებისთვის სანქციების მოხსნა იმას ნიშნავს, რომ აშშ გერმანიის ინტერესებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე დანარჩენი ევროპის ინტერესებს“. პრეზიდენტ ბაიდენს რუსეთთან თუნდაც ყველაზე გონივრულ კომპრომისზე წასვლას ამერიკული პოლიტიკური ისტებლიშმენტი არ აპატიებს, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი სწორედ კომპრომისების გზით სვლას აპირებს.

ახლა იმის შესახებაც ვთქვათ, რა შედეგების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს ეს ვითარება საქართველოსთვის. **ორ უძლიერეს სახელმწიფოს შორის პოლიტიკური და დიპლომატიური კომპრომისების გზით სიარული ერთმანეთის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებას ნიშნავს, ანუ, ჩვეულებრივი ენით რომ ვთქვათ, რიგ საკითხებში გარკვეულ გარიგებებზე წასვლას.** ასეთ შემთხვევაში უამრავი ინტერესი იყრის თავს, მაგრამ, შედარებით პატარა მოცულობის ამ წერილში ყველაფერს რომ არ მივედ-მოვედოთ, ერთ კონკრეტულ საკითხზე შევჩერდები. ესაა გავლენის სფეროები. **მსოფლიო ყოველთვის ისე იყო მოწყობილი, რომ დიდი და ძლიერი სახელმწიფოები გავლენას ახდენდნენ მცირე და სუსტ სახელმწიფოებზე. ეს ტენდენციები დღეს განსაკუთრებით გაძლიერებულია.**

დღეს მხოლოდ სამ სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს ნამდვილი სუვერენიტეტი — აშშ-ს, რუსეთსა და ჩინეთს. დანარჩენი ბირთვული სახელმწიფოებიც კი სრული სუვერენიტეტით ვერ დაიკვეხნიან, ამიტომ გავლენის სფეროების არსებობა ბუნებრივი ამბავია. იმ ვითარებაში, როდესაც დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, გერმანიას, იაპონიასა და სხვა მძლავრ სახელმწიფოებს არ აქვთ სრული სუვერენიტეტი, **საქართველოს დამოუკიდებლობაზე საუბარი უხერხულიც კი არის. საქართველო არათუ დამოუკიდებელი სახელმწიფო არ არის, იმის შესაძლებლობასაც კი მოკლებულია, რომ თვითონ აირჩიოს, ვისზე დამოკიდებულება სურს ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვის ვასალად ყოფნა ურჩევნია.** საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში, გარკვეული ხნის განმავლობაში არსებობდა ილუზია საქართველოს დამოუკიდებლობის შესაძლებლობისა. შემდგომ ეს ილუზია გაქრა, მაგრამ გაჩნდა მეორე ილუზია, რომ ჩვენ თვითონ ავირჩევდით, ვის უნდა მივკედლებოდით, უფრო ზუსტად, ვის კოლონიად უნდა ვქცეულიყავით. ახლა, **იმ შემთხვევაში, თუ აშშ და რუსეთი შეთანხმდებიან, რომ ერთმანეთთან კომპრომისების გზით იარონ და ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნას გადაწყვეტენ, ეს ილუზიაც გაქრება. ჩვენ აღმოვჩნდებით იქ, სადაც ჩვენს ყოფნას ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთთან შეთანხმებით გადაწყვეტს. დიდი ალბათობით, ეს რუსეთი იქნება.** ასეთ შემთხვევაში აზრდაკარგული აღმოჩნდება ოცდაათწლიანი თავ-პირის მტვრევა ერთმანეთისთვის ნატოსა და ევროკავშირის წევრობის გამო, ჩვენი აზრი პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ არავის დააინტერესებს, ჩვენს ღაღადისს ისტორიულ ევროპელობაზე არავინ შეისმენს, ჩვენი წყალწყალა არგუმენტები ჩვენი „მაშასადამე ევროპელობის“ შესახებ გულს ვერავის მოულბობს და დავრჩებით იქ, სადაც ყოფნა ჩვენი ისტორიული გზის ლოგიკური გაგრძელება იქნება. რაც მთავარია, ეს იქნება მენტალური იდენტობის შენარჩუნების ის ნაცადი გზა, რომელსაც ისტორიული ალტერნატივა არც არასდროს ჰქონია და არც დღეს აქვს, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ უნაყოფო პოლიტიკურ მეოცნებეთა და დამნაშავე ავანტიურისტთა მიერ ჩვენი ერისთვის თავსმოხვეულ ოცდაათწლიან ქიმერას ევროპული გზის საკრალურობისა და დასავლეთის ერთგვარ „აღთქმულ მიწად“ გამოცხადების შესახებ. **განა ამაზე არ მეტყველებს ის ფაქტი, რომ ნატოს სამიტზე, რომელიც 2021 წლის 14 ივნისს ბრიუსელში გაიმართება და რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენიც დაესწრება, საქართველო და უკრაინა არც მიიწვიეს? ოცდაათწლიანი თავდაუზოგავი შრომისა და მომქანცველი ლოდინის შემდეგ ორ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას ამგვარი შეურაცხმყოფელი ჟესტით გვიპასუხეს.** არა მგონია, ამ სიტუაციას ოდნავ მაინც არბილებდეს ნატოს გენერალური მდივნის, **იენს სტოლტენბერგის** თავის იაფფასიანი მართლება, რომ ნატოს სამიტზე, თურმე, მხოლოდ წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლები იკრიბებიან. **სტოლტენბერგმა ვერ დაასახელა თარიღი, როდის ჩატარდება შეხვედრები ალიანსის პარტნიორ სახელმწიფოებთან. ის მხოლოდ ამგვარი არაფრისმთქმელი სიტყვებით შემოიფარგლა: „თავდაცვის სექტორის რეფორმები უკრაინისა და საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის საუკეთესო მეთოდია“.** ამგვარ ნათქვამს საქართველოში სიტყვის ბანზე აგდებას უწოდებენ და მოსაუბრის თავიდან მოცილებას ნიშნავს. **ჰო, ნატოთი დიდხანს გვატყუეს, ხან ე.წ. მაპი არ მოგვცეს, ხან მაპზე უკეთესი მოგვცეს, ხან კარზე გვაკაკუნებინეს, ხან კართან გვაყურყუტეს, ახლა თათბირსაც არც დაგვასწრეს და, ბოლოს, ნატოს გენერალურმა მდივანმა, — საერთოდ, თავიდან მომწყდითო, — გვითხრა.** ასეთ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ მის მაღალკეთილშობილებას ქართული თავაზიანობით ვუპასუხოთ, — **გმადლობთ, ბატონო იენს, თქვენ ძალიან ყურადღებიანი ბრძანდებით!** სხვა რა გზა გვაქვს, ჩხუბით ვერაფერს გავხდებით და ჩივილითაც ვერსად ვუჩივლებთ, **იეთიმ გურჯისა** არ იყოს, „რუსთაველი მკვდარია“.

ყოველივე ამას მოგახსენებთ იმ შემთხვევისთვის, თუ რუსეთი და აშშ მსოფლიოს ახალ გადანაწილებაზე წავლენ, მაგრამ შესაძლებელია, ასე არ მოხდეს და ორ „დერჟავას“ შორის კონფრონტაცია კიდევ უფრო გაღრმავდეს, რადგან, როგორც ვიცით, **აშშ-ში პრეზიდენტი აბსოლუტურ ძალაუფლებას ვერ ფლობს. ამ ქვეყანაში პრეზიდენტსა და ოფიციალურ ხელისუფლებაზე მაღლა საერთაშორისო საფინანსო მაგნატები და ოლიგარქიული კლანები დგანან. რას მოგვიტანს რუსეთსა და აშშ-ს შორის კონფრონტაციის გაღრმავება? ასეთ შემთხვევაში საქართველო საბოლოოდ დააღწევს თავს რუსეთს და დარჩება ამერიკის კოლონიად?** სავარაუდოა, რომ მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაშიც აშშ პოსტსაბჭოთა სივრცეზე (მათ შორის, საქართველოზე) კონტროლს მაინც დაკარგავს. პუტინის ნათქვამი, რომ აშშ საბჭოთა კავშირის გზით მიდის, შემთხვევითი არ არის. ნორვეგიელი პროფესორი **იოჰან გალტუნგი** ვარაუდობდა, რომ აშშ 2020 წლისთვის „სუპერდერჟავას“ სტატუსს დაკარგავდა. ჯერჯერობით ეს არ მომხდარა, მაგრამ ამგვარი პროგნოზისათვის თუნდაც რამდენიმეწლიანი ცდომილება დიდ დანაშაულად ვერ ჩაითვლება. **აშშ-ში პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და ზნეობრივი კრიზისი მძვინვარებს. დაპირისპირებამ ტრამპსა და ობამას შორის ამერიკელი ხალხი ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყო; საგარეო და საშინაო ვალების კატასტროფულმა ზრდამ, რომელმაც ფულის დიდი მასების მოჭრა განაპირობა, ეკონომიკის საფუძვლები მოარყია; რასობრივმა შეუთავსებლობამ და ღირებულებათა მკვეთრმა დევალვაციამ კი სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელიც ისედაც დემოკრატიის ყალბ გაგებაზე იდგა, სიცარიელეში გამოკიდებული დატოვა.** ამ ვითარებაში მყოფ სახელმწიფოში გარედან მცირეოდენი ბიძგებიც რომ განხორციელდეს, უკვე საფუძველგამოცლილი მყიფე სისტემები ისე სწრაფად ჩამოიშლება, ამერიკელი ხალხი გონს მოსვლასაც ვერ მოასწრებს. გარედან განხორციელებულ ბიძგებში იმ მოვლენებს ვგულისხმობ, რომელთა ინსპირირება გამორიცხული არ არის. პუტინმა ამას წინათ უაღრესად საგულისხმო განცხადება გააკეთა: „Если вы что-то услышали, что я что-то говорю про доллар, и поняли так, что мы хотим избавиться от него как от резервной валюты либо как от универсального средства расчетов, это не так. Я говорил о другом. Я говорил о том, что Соединенные Штаты используют свою национальную валюту для различного рода санкционных мер“. ფორმის თვალსაზრისით უაღრესად დიპლომატიური, მაგრამ შინაარსის თვალსაზრისით უმძიმესი განცხადებაა. **რუსეთის გამოსვლა დოლარის სივრციდან აშშ-ის ეკონომიკას სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს.** იმავე შინაარსის განცხადება რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლავროვმაც** გააკეთა, თანაც გაცილებით ხისტად, ვიდრე პუტინმა: **„თქვენ ხედავთ, რომ აშშ თავის ამოცანად სახავს, შეზღუდოს რუსეთისა და ჩინეთის ტექნოლოგიური განვითარების შესაძლებლობები, ამიტომ სანქციებით გამოწვეული რისკები ჩვენ უნდა შევამციროთ დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის გზით, ანგარიშსწორებისთვის ეროვნულ ვალუტასა და დოლარის ალტერნატიულ ვალუტებზე გადასვლის გზით. ჩვენ უნდა გავიდეთ გადახდის დასავლეთის მიერ კონტროლირებადი სისტემებიდან“.** აქ უკვე საუბარია დოლარის სივრცის დატოვებაზე არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მასთან ერთად ჩინეთის მიერ, რაც აშშ-ის ეკონომიკის საფეთქელზე ის საკონტროლო გასროლა იქნება, რომელიც გადარჩენის თეორიულ შანსსაც აღარ ტოვებს. **ამერიკას სხვა ბევრი მოწყვლადი ადგილიც აქვს, მაგრამ შესაძლებელია, ამგვარმა ხისტმა მოქმედებებმა იგი იმ დაჭრილ მხეცად აქციოს, რომელიც სასიკვდილო აგონიაში მსოფლიოს ჩათრევას დააპირებს, რის გამოც დიდი სიფრთხილეა საჭირო.**

მოკლედ რომ შევაჯამოთ ის, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, ასეთ სურათს მივიღებთ: აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების განვითარების ორი გზა არსებობს — კონსენსუსის გზა და კონფრონტაციის გზა, მაგრამ **იმის მიხედვით, რომელი გზით წავა მოვლენები, საქართველოსთვის არაფერი შეიცვლება. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენ რუსეთის გავლენის სფეროში დავრჩებით. საქმე ახლა ამ არჩევანში კი არ არის (ეს არჩევანი ისტორიის მიერ არის გაკეთებული), საქმე ამ რეალობის სწორად შეფასებაშია. ვიღაცისთვის ეს ეროვნული ტრაგედია იქნება, ვიღაცისთვის — გადარჩენა, ვიღაცისთვის კი ობიექტური კანონზომიერება.** ემოციებს განზე თუ გადავდებთ და მოვლენის რაციონალურად შეფასებას შევეცდებით, **რუსეთის სივრცეში დარჩენა საქართველოს დასავლეთიდან ნიაღვრად მომსკდარი იმ ჭუჭყისგან დაიცავს, რომელიც სულ მალე ჩვენს ეროვნულ შინაარსს ისე წაბილწავს, რომ საკუთარი თავის შეცნობა გაგვიჭირდება, ამიტომ ამ მოვლენას არამხოლოდ გაგებით, არამედ სიხარულითაც უნდა შევხვდეთ, ვინაიდან ეს საქართველოს ფიზიკურ გადარჩენას ნიშნავს. როგორც ჩანს, საქართველოსთვის ჯერ არ დასრულებულა ის ისტორიული პროცესი, რომელშიც, თავისუფლებისთვის კი არა, არსებობისთვის ბრძოლა უწევს.**

**ვალერი კვარაცხელია**



**P. S. უკრაინის პრეზიდენტმა ბატონმა ზელენსკიმ ამ სტატიაში გამოთქმულ მოსაზრებებში მარტო არ დამტოვა, რის გამოც მადლობას მოვახსენებ. „ნატოს თუ მართლა სურს, რომ უკრაინა თავის რიგებში იხილოს, მაშინ ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადაწყვიტოს, ვინაიდან ქვეყანა განსაცდელშია. მე ჯერ კიდევ მჯერა, რომ უკრაინა ნატოს წევრი იქნება, მაგრამ სულ უფრო მეტი უკრაინელი უკვე კარგავს ამის რწმენას“, — განაცხადა მან.**

**როგორც ჩანს, უკრაინაში ხალხი გაცილებით უფრო ახლოსაა რეალობასთან, ვიდრე პრეზიდენტი, თუმცა, ის მაინც მისასალმებელია, რომ უკრაინის პრეზიდენტი ამის გაცნობიერებას იწყებს. საქართველოს ხელისუფლება კი ისევე შორსაა რეალობისგანაც და აზროვნებისგანაც, როგორც ნატოსგან...**

**ვ.კ.**

**შეტევა ეკლესიაზე**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთის ქვეყნების ეს განცხადება საქართველოსთვის სულში ჩაფურთხების ტოლფასია. ელჩები, რომლებიც ამ საოცარი ტერმინებით გვესაუბრებიან („ჰომოფობიას" ხომ მივეჩვიეთ, ახლა „ბიფობია" და „ტრანსფობია" უნდა ვისწავლოთ, რა არის?), კმაყოფილნი არიან იმით, რომ საქართველოს ხელისუფლება მათი გლობალისტი დამკვეთების სულისკვეთებას იზიარებს და ქვეყანას წლიდან წლამდე სულ უფრო მჭიდროდ უჭერს ლგბტ მარყუჟს. ეს, რა თქმა უნდა, თანასწორობისა და ჰუმანურობის ლოზუნგებით კეთდება. დასავლეთის ელჩების ეს განცხადება 17 მაისს, პატრიარქის მიერ ოჯახის სიმტკიცის დღედ გამოცხადებულ დღეს, გავრცელდა და კიდევ უფრო ამძაფრებს ქართველი ერის შეურაცხყოფას.**

# შეუტიეს მეუფე სპირიდონს, ანუ როგორ დამყარდა საქართველოში ლგბტქი-რეჟიმი

**ვითარება, რომელიც დღეს საქართველოშია, არც დემოკრატიაა, არც ავტორიტარიზმი, არც ოლიგოკრატია და არც დიქტატურა. ესაა განსაკუთრებული კოლონიური რეჟიმი, რომელსაც, აკადემიურად (და არა ქუჩურად) თუ ვიტყვით, ლგბტქი-რეჟიმი ჰქვია.**

უცხოეთიდან პირდაპირი ჩარევები საქართველოდ წოდებული ტერიტორიის „საქმეებში" გრძელდება. ჯერ იყო და, ამერიკელმა სენატორებმა და პენსიაზე გასულმა დიპლომატებმა აიკლეს საინფორმაციო ველი საქართველოს საშინაო საკითხების გამო (და ეს პროცესი დღესაც გრძელდება), შემდეგ ევროკავშირი გააქტიურდა და მიშელ-დანიელსონებმა საპარლამენტო არჩევნების შედეგები „გაგვირჩიეს".

როდესაც დასავლეთი დარწმუნდა, რომ ქართველებს აღარაფრის თავი არ აქვთ — ვერც არჩევნების საკითხებს აგვარებენ დამოუკიდებლად და რიონის ხეობის თურქებისთვის მიყიდვაც, პრინციპში, ჩაყლაპეს (ევროკავშირის წარმომადგენლების ვიზიტის მოლოდინში არიან „ნამოხვანის მცველებიც"), ისევ გააქტიურდა ლგბტქი-ლობი.

„დღეს, ჰომოფობიის, ბიფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს (IDAHOBIT), მხარდაჭერასა და სოლიდარობას ვუცხადებთ ლესბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ, ქვიარ და ინტერსექს (ლგბტქი+) თემს საქართველოში და ვერთიანდებით, რათა ყველამ იცხოვროს თავისუფალ და თანასწორ გარემოში უსაფრთხოდ და ღირსეულად. ლგბტქი+ ადამიანები საქართველოში კვლავ აწყდებიან მიკერძოებას, სტიგმას, შემცირებულ შესაძლებლობებს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის თვალსაზრისით, ასევე ხდებიან ძალადობრივი სიძულვილისა და დანაშაულის მსხვერპლნი. COVID-19-ის პანდემიამ უფრო დაუცველი გახადა ლგბტქი+ პირები, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ წინაშე ადრე არსებულ უსამართლობასა და დაბრკოლებებს ჯანდაცვის, სოციალური დაცვისა და ღირსეული სამუშაოს მიღების გზაზე. ვაღიარებთ, რომ ლგბტქი+ უფლებები არის ადამიანის უფლებები, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა შესაბამის უწყებას საქართველოში, მიიღოს მტკიცე ზომები, რათა დასრულდეს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის და გამოხატვის საფუძველზე დისკრიმინაციის ყველა ფორმა. საქართველომ მიაღწია პროგრესს ლგბტქი+ პირების მიმართ დისკრიმინაციისა და ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2014 წლის მაისში საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ემყარება კონსტიტუციაში მოცემულ თანასწორობის პრინციპს და კრძალავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის და გამოხატვის საფუძველზე. ამ კონტექსტში, ჩვენ მივესალმებით საქართველოს ხელისუფლების მიერ ტრანსგენდერი პირის სამართლებრივ აღიარებას, პირველად — 2021 წელს. სახალხო დამცველის აპარატი, როგორც ანტიდისკრიმინაციული მექანიზმი, არ იშურებს ძალისხმევას, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კერძო და საზოგადოებრივ სივრცეებში ლგბტქი+ თემის მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საჭიროებას, ხელი შეეწყოს ლგბტქი+ საზოგადოებასთან დიალოგს, პრიორიტეტული პრობლემების განსაზღვრისა და დისკრიმინაციის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შემთხვევების გამოძიების მონიტორინგის მიზნით", — ეს არის საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროკავშირის წარმომადგენლობის, ავსტრიის, ამერიკის, ბელგიის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ისრაელის, იტალიის, კანადის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდების სამეფოს, ნორვეგიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, სლოვენიის, ფინეთის, შვედეთის, შვეიცარიის, ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოების, საქართველოში ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის ერთობლივი განცხადების ნაწილი.

**დასავლეთის ქვეყნების ეს განცხადება საქართველოსთვის სულში ჩაფურთხების ტოლფასია. ელჩები, რომლებიც ამ საოცარი ტერმინოლოგიით გვესაუბრებიან („ჰომოფობიას" ხომ მივეჩვიეთ, ახლა „ბიფობია" და „ტრანსფობია" უნდა ვისწავლოთ, რა არის?), კმაყოფილნი არიან იმით, რომ საქართველოს ხელისუფლება მათი გლობალისტი დამკვეთების სულისკვეთებას იზიარებს და ქვეყანას წლიდან წლამდე სულ უფრო მჭიდროდ უჭერს ლგბტ მარყუჟს. ეს, რა თქმა უნდა, თანასწორობისა და ჰუმანურობის ლოზუნგებით კეთდება. დასავლეთის ელჩების ეს განცხადება 17 მაისს, პატრიარქის მიერ ოჯახის სიმტკიცის დღედ გამოცხადებულ დღეს, გავრცელდა და კიდევ უფრო ამძაფრებს ქართველი ერის შეურაცხყოფას.**

პარალელურად გააქტიურდა ე. წ. სახალხო დამცველის აპარატიც, რომელიც მანამდე ნინოწმინდის საეკლესიო საბავშვო პანსიონს ეშმაკივით შეუჩნდა. **ნინო ლომჯარიას** აპარატი, რომელიც დიდწილად ეკლესიის მტრებით არის დაკომპლექტებული, ბუნდოვანი ბრალდებებით (მათ მიერვე შეთხზული ინსინუაციებით) ცდილობდა პანსიონის დისკრედიტაციას. ბოლო ეტაპზე, ე.ი., ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღიდან მეორე დღეს, 2 ივნისს, თვითონ ლომჯარია გადავიდა შეტევაზე და ურცხვი განცხადება გააკეთა. კერძოდ, თქვა, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში, 2016-2021 წლებში, პანსიონატში სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე, მათ შორის, სავარაუდო გაუპატიურების ფაქტზე, ოთხი საქმე იყო აღძრული და ისე წარმოაჩინა, რომ მართლაც რაღაც საშინელებები ხდება.



**მეუფე სპირიდონი ის მტკიცე ბურჯია ჩვენს ეკლესიაში, რომელიც იმის თქმას არ უფრთხის, რასაც სხვები უფრთხიან — საქართველოს ხსნა არ გამოვა ევროკავშირითა და ნატოთი, საქართველო მართლმადიდებელ რუსეთთან უნდა ეძებდეს პრიორიტეტულ კავშირებს. ამის შესახებ მეუფემ არაერთ ქადაგებაში განაცხადა (მან ხომ მშვენივრად იცის, რა ხდება სამხრეთ საქართველოში — აჭარასა და მესხეთში, როგორ იზრდება თურქეთის გავლენა) და ლიბერასტების რისხვა დაიმსახურა**

**ლომჯარიას** ბინძური ბრალდებები შსს-მ, ფაქტობრივად, უარყო. გაირკვა, რომ არანაირი მტკიცებულებები, შესაბამისად, არანაირი ფაქტები არ არსებობს. თუმცა შსს, როგორც უნიათო ქოც-მთავრობის ნაწილი, დაშინებულია და რაღაც „სტანდარტებზე" საუბრობს, ვითომდა მტკიცებულებები ამ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებსო. ანუ შსს-მ რაღაც ინტერპრეტაციების საშუალება დაუტოვა სოროსის მიერ დაკომპლექტებულ ომბუდსმენის აპარატს, ნაცვლად იმისა, რომ ერთმნიშვნელოვანი განცხადება გაეკეთებინა.

ლომჯარია-სოროსელებს მხარი აუბა ევროდეპუტატმა, საოცარი სახელით — მარკეტა (გვარად **გრეგოროვა**). ქალბატონი მარკეტა შემჩნეულია ლიბერასტი ოპოზიციის მხარდაჭერაში. ამჯერად მან ნინოწმინდის პანსიონატის „გამჭვირვალობა" მოითხოვა. ასეთივე „გამჭვირვალობა" და სოროსული ომბუდსმენის აპარატისადმი მორჩილება მოითხოვა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში — **ჰარცელმა:** „აბსოლუტურად ფუნდამენტურია, რომ სახალხო დამცველს ჰქონდეს საშუალება, განახორციელოს კონსტიტუციური უფლება და დახურული ინსტიტუტების მონიტორინგი აწარმოოს".

დასასრულ, რა ვნახეთ: **სასამართლო, ვიღაც მახინჯი ლგბტ-ტიპების („პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის") საჩივრის საფუძველზე, ფაქტობრივად, უვარდება საეკლესიო პანსიონს და ართმევს აღსაზრდელ ბავშვებს. ამ მახინჯების „ეჭვები" საკმარისი ყოფილა იმისათვის, რომ სასამართლომ ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება მიიღოს. სწორედ ეს არის ლგბტქი-რეჟიმის დამყარება საქართველოში, არც მეტი, არც ნაკლები.**

ახლა იმაზე, თუ რატომ მაინცდამაინც ნინოწმინდის პანსიონი, რომელსაც **მეუფე სპირიდონი (აბულაძე)** ხელმძღვანელობს და მზრუნველობას არ აკლებს.

მეუფე სპირიდონი ის მტკიცე ბურჯია ჩვენს ეკლესიაში, რომელიც იმის თქმას არ უფრთხის, რასაც სხვები უფრთხიან — საქართველოს ხსნა არ გამოვა ევროკავშირითა და ნატოთი, საქართველო მართლმადიდებელ რუსეთთან უნდა ეძებდეს პრიორიტეტულ კავშირებს. ამის შესახებ მეუფემ არაერთ ქადაგებაში განაცხადა (მან ხომ მშვენივრად იცის, რა ხდება სამხრეთ საქართველოში — აჭარასა და მესხეთში, როგორ იზრდება თურქეთის გავლენა) და ლიბერასტების რისხვა დაიმსახურა.

ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ მეუფე სპირიდონის წინააღმდეგ კამპანია აგორებულიყო, როგორც ააგორეს კამპანია **მეუფე იოანეს (გამრეკელი)** წინააღმდეგ, როდესაც მან ჩვეული პირდაპირობით განაცხადა, რომ მართლმადიდებელმა რუსეთმა იხსნა მართლმადიდებელი საქართველო. მაგრამ, **ვინაიდან მეუფე სპირიდონი ასევე განსაკუთრებით შეურიგებელია ლგბტ პროპაგანდის მიმართ, მის წინააღმდეგ აგორებული კამპანია გამძაფრდა და დაჩქარდა. მეუფეს ირიბად სწამებენ ცილს, რომ მან დაუშვა მძიმე გადაცდომები ნინოწმინდის პანსიონში. არადა, ეს სავსებით გამორიცხულია. მეუფე სპირიდონი არის უკიდურესად წესიერი, ზნემაღალი პიროვნება და სასულიერო პირი. მის დაქვემდებარებაში მყოფი ვერც ერთი სასულიერო თუ საერო ადამიანი იმის გაფიქრებასაც კი ვერ გაბედავს, რომ უკადრისი იკადროს, მით უმეტეს, ბავშვების მიმართ. მეუფე სპირიდონი მსგავს ფაქტს ვერასოდეს შეეგუება და პოლიცია ვერ დაასწრებს მას დამნაშავის სასტიკად დასჯას. ეს ყველამ იცის.**

ბევრი ვიდეომასალა გავრცელდა უკვე. მადლობა მათ, ვინც არ დაიზარა სიმართლის თქმა, მაგრამ ასევე გაავრცელეს ჭორი, გათვლილი თანამედროვე მეშჩანობაზე, კოლეგა **ბადრი ნაჭყებიას** დავესესხები ტერმინს — „ლავოჩნიკ" ქართველებზე, რომლებიც ყოველთვის ხელისუფლების მხარეს არიან (სულერთია, მიშა იქნება თუ ბიძინა). **ბევრი მათგანი ნიუსების ქვეშ განთავსებული კომენტარების ველში თუ სოციალურ ქსელებში სწორედ ეკლესიას გმობს — არა იმიტომ, რომ მაინცდამაინც ძალადობა-გაუპატიურების არარსებული ფაქტების სჯერა, არამედ იმიტომ, რომ მისი „ლავოჩნიკური" ტვინი აპრიორი არ იღებს ბავშვების სულიერ, საეკლესიო აღზრდას.** ის, რომ ბავშვს, აღსაზრდელად და გამოსასწორებლად ათჯერ თუ ოცდაათჯერ პირჯვრის გადაწერა შეიძლება უბრძანო, მათთვის დისკრიმინაცია და ჩაგვრაა. ახლა მათ **დავით გურამიშვილი,** წაკითხული კი არა, გაგონილი თუ აქვთ, კარგია, მაგრამ ეს საქმეს ვერ შველის.

**„ლავოჩნიკი" ქართველები ყოველთვის ხელისუფლების მხარეს არიან (სულერთია, მიშა იქნება თუ ბიძინა). ბევრი მათგანი ნიუსების ქვეშ განთავსებული კომენტარების ველში თუ სოციალურ ქსელებში სწორედ ეკლესიას გმობს – არა იმიტომ, რომ მაინცდამაინც ძალადობა-გაუპატიურების არარსებული ფაქტების სჯერა, არამედ იმიტომ, რომ მისი „ლავოჩნიკური" ტვინი აპრიორი არ იღებს ბავშვების სულიერ, საეკლესიო აღზრდას. ის, რომ ბავშვს აღსაზრდელად და გამოსასწორებლად ათჯერ თუ ოცდაათჯერ პირჯვრის გადაწერა შეიძლება უბრძანო, მათთვის დისკრიმინაცია და ჩაგვრაა**

ამიტომ კიდევ ერთხელ ვამბობ: **ქვეყანაში დამყარდა ლგბტქ-რეჟიმი! ამ რეჟიმის დამყარება გადის სწორედ ისეთი „პრორუსულად" შერაცხილი პატიოსანი ადამიანების დისკრედიტაციასა და შევიწროებაზე, როგორიც მეუფე სპირიდონია!**

**გულბაათ რცხილაძე**
ge.news-front.info

**დავიცვათ ეკლესიაო! კი, ბატონო, მაგრამ ეკლესიამაც უნდა დაიცვას მრევლი და ქვეყნის პატრიოტი ყველა ადამიანი, თანაც არა მხოლოდ ლგბტ აღლუმის წინ, არამედ ხელისუფლების მიერ ყველა ანტიქართული, ანტიეროვნული კანონის მიღების ან ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში. ეს უნდა გააკეთონ არა მხოლოდ მაღალმა იერარქებმა, არამედ ყველა პატიოსანმა სასულიერმა პირმა ქადაგებებში ან, თუ ამბიონი არ აქვთ, საიდანაც საშუალება ექნებათ, იქიდან უნდა შეაჩვენონ და დაწყევლონ ერის ყველა მოღალატე.**



ავი მესაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მომავალ წერილში განსახილველი თემის შერჩევისას გაზეთის რედაქციასთან კონსულტაცია-მსჯელობა ჩვეულებრივი, რომ იტყვიან, დაუწერელი კანონია. ასევე იყო ამის წინა წერილშიც, ოღონდ მსოფლიო გეოპოლიტიკაში მომხდარი, მიმდინარე თუ მოსალოდნელი მრავალფეროვანი პროცესების ფონზე (პროცესების, რომლებიც მხოლოდ იმიტომ მაინტერესებს, რომ მათი შესაძლო ნეგატიური შედეგები შეიძლება მრავალტანჯულ საქართველოსაც შეეხოს) სტატიისთვის ერთი მთავარი თემის შერჩევა გაგვიჭირდა.**

# ერმა — ბერი, ბერმა — ერი, ორივემ კი საქართველო უნდა დავიცვათ!



არადა, ყველა თემაზე (ნატოს მომავალი სამიტი; აშშ-ისა და რუსეთის პრეზიდენტების შესაძლო შეხვედრა; საქართველოს დედაეკლესიაზე ე.წ. ენჯეოების გადამწყვეტი შეტევა, რომელსაც საქართველოს ე.წ. სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია მეთაურობს; საქართველოში არნახული მასშტაბის ლგბტ აღლუმის ჩატარებისთვის დაუფარავი თავხედური მზადება; ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის მიზნით „ენ-ჯე-ოებისა“ და ნეოლიბერალური ტელევიზია-„ჟურნალისტების“ მიერ ახალქალაქის ბავშვთა სახლის გარშემო აშკარად ხელოვნური და კარგად ორგანიზებული, რბილად რომ ვთქვათ, სკანდალი და ა.შ.) ცოტ-ცოტა საუბარი არაფრის თქმას ნიშნავს. ამიტომ გადავწყვიტე, მავანთა მიერ საქართველოს დედაეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობა იყოს წინამდებარე წერილის მთავარი თემა და, თუ მთავარ თემაზე საუბარი, ნებსით თუ უნებლიეთ, რომელიმე სხვა, ზემოთ ჩამოთვლილ თემებსაც შეეხება, მცირე ადგილს არც მათ დავამადლი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციის პროცესი არც გუშინ დაწყებულა და არც ე.წ. სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას დაუწყია.

ეს ე.წ. კოლექტიური დასავლეთის მიერ ორგანიზებული პროცესი ახალქალაქის ინციდენტამდე კარგა ხნით ადრე, მიშარასტების ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო. ნაცების რუპორი, დღეს ყველასგან მივიწყებული (სოროსის ნაჩუქარი ფულით, ალბათ, სადღაც ნებივრობს) **თეა თუთბერიძე** იყო, რომელმაც ჩვენი სათაყვანებელი პატრიარქი კა-გე-ბე-ს აგენტობაში ამხილა, რის გამოც თქვენმა მონა-მორჩილმა „საქართველოსა და მსოფლიოში“ გამოვაქვეყნე წერა-კითხვის უცოდინარი ილიაუნის პროფესორის მამხილებელ-გამქიქებელი კრიტიკული სტატია მოკლე, მაგრამ მრავლისმეტყველი, სათაურით „ბუდარიხა“. მას შემდეგ დაიწყო უთანასწორო ბრძოლა, ჩემსა და ე.წ. „ადამიანის უფლებათა დამცველ“, გაქსუებულ სოროსისტ ხლისტებთან იმ დღიდან მოყოლებული, წლების განმავლობაში იმდენი კრიტიკული წერილი გამოვაქვეყნე „თავისუფლების ინსტიტუტის“ გველის წიწილების წინააღმდეგ, რომ მხოლოდ მათი სათაურების ჩამონათვალი გაავსებს ჩემი საავტორო გვერდისთვის გამოყოფილ საგაზეთო ფართობს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე საეტაპო (თუ ასე თქმა უპრიანია) წერილის სათაურს მაინც შევახსენებ მკითხველს: **„ხლისტები“** — თავისუფლების ინსტიტუტის შესახებ; **„მეუფე ყანდური“** — მიშარასტ მეუფე გრიგოლზე; **„ნეოლიბერალთა ორკესტრირებული შეტევა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე“; „როგორც აფთრები, ისე ელოდებიან მეუფე ყანდურნი პატრიარქის სიკვდილს“** და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სხვა მრავალის გახსენებაც შეიძლება, მაგრამ უკვე ნათქვამს ერთ რამეს დავუმატებ: „ხლისტები“, „ბუდარიხა“ და „ყანდური“ — ეს თიკუნები თქვენი მონა-მორჩილის დამკვიდრებულია ქართულ ბეჭდვით მედიაში და მიხარია, როდესაც მავანი თავის სტატიებში იყენებს ჩემს მიგნებებს.

რაც შეეხება, ბოლო წერილს, ღმერთმა დიდი დღენი მისცეს ჩვენს პატრიარქს, მაგრამ აფთრების შესახებ ჩემი წერილი, ერთგვარი „წინასწარმეტყველება“ აღმოჩნდა — ის ე.წ. ციანიდის საქმემდე, სულ რაღაც, 2-3 კვირით ადრე გამოქვეყნდა. მერე იყო **და ევროსაბჭომ თუ კავშირმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ჩვენი სასიქადულო პატრიარქი ე.წ. სიძულვილის ენით საუბარში იყო დადანაშაულებული მხოლოდ იმისთვის, რომ მისმა უწმინდესობამ გაბედა და მამათმავლობას ავადმყოფობა უწოდა. რაც საქართველოს აშშ-ის მარიონეტმა ხელისუფლებამ, რომ იტყვიან, „გაატარა“.**

ჰოდა, შარშანწინ, 13 აპრილს, ფილარმონიის სცენაზე, სადაც „დაიცავი საქართველოს“ სიაფანდი ყრილობა მიმდინარეობდა, ძალით ავიჭერი (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და იმ ფარისევლებს, რომლებიც აღდგომის უდიდეს დღესასწაულზე ხელში ანთებული კელაპტრებით უწმინდესსა და უნეტარესთან რაც შეიძლება ახლოს მიტმასნვას ცდილობენ ხოლმე, დარბაზში მყოფ ქოც-ნაცთა ხელისუფლების წარმომადგენლებს პირდაპირ მივახალე: რატომ დატოვეთ უპასუხოდ დასავლეთის მიერ ჩვენი სათაყვანებელი კათოლიკოს-პატრიარქის ბინძური შეურაცხყოფა?

ყოველივე ზემოთქმული მავანმა შეიძლება იაფფასიან ტრაბახად ჩამითვალოს, მაგრამ, ვისაც რა უნდა, ის იფიქროს ჩემზე; ვინც კარგად მიცნობს, იცის, რომ, რაც ვთქვი, იაფფასიანი პოპულიზმი კი არა, შეულამაზებელი ისტორიაა მარტოკაცის ბრძოლისა დედაეკლესიის დასაცავად. თუმცა, არც ხალხმრავალ საპროტესტო აქციებს დავკლებივარ და იქაც მითქვამს სათქმელი, მაგრამ რაღა დროს ლაპარაკია, როდესაც, უკაცრავად და, „მეუფე“ პეტრემ პატრიარქს ისეთი რამ უწოდა, რასაც ვერ გავიმეორებ. ის მიკვირს, რომ საქართველოში არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც საკადრის პასუხს (და არა მხოლოდ სიტყვიერს) გასცემდა ამ იქედნეს ნაშობს. 65 წლის ვარ, 4-ჯერ შუნტირებული გულით და ის ჯანღონე აღარ მომდევს, თორემ...

თუმცა დავუბრუნდეთ მთავარ თემას, რა უბედურებაც გვჭირს და არა მხოლოდ ეკლესიაში, იმის ბრალია, რომ ნაცებმა, პირველ რიგში, განათლების სისტემა დაანგრიეს — როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესი. სკოლებში ასწავლიან, რომ მშობლებს არ უნდა დაუჯერონ, რადგან, თუ მამა შვილს ეტყვის, — იმეცადინეო, მას კი არ უნდა, ეს ბავშვზე ძალადობად ითვლება. ყურს აუწევ და, ბავშვთა უფლებების კოდექსის ძალით, შეიძლება დააპატიმრონ — 112 და მისი ჯანი. „საბედნიეროდ“, ყველა ბავშვს აქვს სმარტფონი თუ აიფონი... აქედან გამომდინარე, უფროსის, მოხუცის მიმართ პატივისცემა, ისტორიის ცოდნა, წინაპართა საფლავები და ა.შ. — რასაც „საზიზღარი“ კომუნისტების პერიოდის სკოლებში გვასწავლიდნენ, ანომალიად არის დღეს მიჩნეული.

პატრიოიზმი, სამშობლო შეცვალა ეგოიზმმა — ოღონდ მე ვიყო კარგად.

ჩვენი საამაყო ისტორიული გმირები — **აღმაშენებელი, სააკაძე, თამარ მეფე, ერეკლე მეორე** და სხვები — უარყოფით კონტექსტში არიან წარმოჩენილნი და წმინდანები ხომ, საერთოდ, გაუგებარი ცნებებია ახალგაზრდობის უმრავლესობისთვის.

**რა უბედურებაც გვჭირს, თანაც არა მხოლოდ ეკლესიაში, იმის ბრალია, რომ ნაცებმა, პირველ რიგში, განათლების სისტემა დაანგრიეს, როგორც სასკოლო, ასევე უმაღლესი — სკოლებში ასწავლიან, რომ მშობლებს არ უნდა დაუჯერონ, რადგან, თუ მამა შვილს ეტყვის, — იმეცადინეო, მას კი არ უნდა, ეს ბავშვზე ძალადობად ითვლება; ყურს აუწევ და, ბავშვთა უფლებების კოდექსის ძალით, შეიძლება დაგაპატიმრონ — 112 და მისი ჯანი. «საბედნიეროდ», ყველა ბავშვს აქვს სმარტფონი თუ აიფონი... აქედან გამომდინარე, უფროსის, მოხუცის მიმართ პატივისცემა, ისტორიის ცოდნა, წინაპართა საფლავები და ა.შ. — რასაც «საზიზღარი» კომუნისტების პერიოდის სკოლებში გვასწავლიდნენ, დღეს ანომალიად არის მიჩნეული**

საბედნიეროდ, არსებობს მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც ეროვნული ცნობიერების სკოლები, რომლებსაც მიეკუთვნებოდა ნინოწმინდის პანსიონი, რომელშიც ბავშვებს, ე.წ. ბავშვთა უფლებების კოდექსის კი არა, მართლმადიდებული კოდექსის მიხედვით ასწავლიდნენ და ზრდიდნენ. სწორედ ეს ვერ აიტანეს ჩვენმა დასავლელმა „მეგობრებმა“ და ნინო ლომჯარიასა და ე.წ. ჟურნალისტების დესანტის გადასხმა სცადეს. 8 ივნისს კი სახალხო დამცველის ოფისთან საპროტესტო აქცია გაიმართა ლომჯარიას, ამ ლიბერასტი ქალბატონის, გადადგომის მოთხოვნით.

**„სირცხვილი და შეჩვენება ამ პარტიებს! მათი ქმედება არის ღალატის ყველაზე უფრო მძიმე და ამაზრზენი სახე!“** — დაწერა მეუფე სპირიდონმა სოციალურ ქსელში იმ 15 პოლიტიკურ პარტიაზე, რომლებმაც ლგბტქ+ უფლებებზე პოლიტიკურ შეთანხმებას ხელი მოაწერეს. ლგბტ პირების დამცველი ორგანიზაცია „თბილისი პრაიდის“ ინიციატივით, ისინი შეთანხმდნენ, რომ დაიცავენ ლგბტქ + ადამიანების უფლებებს. აი ეს პარტიები: **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „გირჩი“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი — მეტი თავისუფლება“, რესპუბლიკური პარტია, კანონი და სამართალი, სტრატეგია აღმაშენებელი, „ლელო“, „რეფორმერი“, მოძრაობა „დროა“, „სამართლიანობისთვის“, „ერთიანი საქართველო“, „თავისუფალი დემოკრატები“, „პროგრესი და თავისუფლება“, „გამარჯვებული საქართველო“.**

მეუფე სპირიდონის ეს შეჩვენება იყო მიზეზი მის მიმართ და მასთან დაქვემდებარებული ორგანიზაციების დევნისა.

დავიცვათ ეკლესიაო! კი, ბატონო, მაგრამ ეკლესიამაც უნდა დაიცვას მრევლი და ქვეყნის პატრიოტი ყველა ადამიანი, თანაც არა მხოლოდ ლგბტ აღლუმის წინ, არამედ ხელისუფლების მიერ ყველა ანტიქართული, ანტიეროვნული კანონის მიღების ან ღონისძიებების ჩატარების შემთხვევაში. ეს უნდა გააკეთონ არა მხოლოდ მაღალმა იერარქებმა, არამედ ყველა პატიოსანმა სასულიერმა პირმა ქადაგებებში ან, თუ ამბიონი არ აქვთ, საიდანაც საშუალება ექნებათ, იქიდან უნდა შეაჩვენონ და დაწყევლონ ერის ყველა მოღალატე.

სწორედ ეს მარტივი თეზა ჩავდე წინამდებარე წერილის სათაურში: ერმა — ბერი, ბერმა — ერი, ორივემ კი საქართველო უნდა დავიცვათ. რაც შეეხება ლგბტ-თა აღლუმს, სამწუხაროდ, ამჟამად ჩატარდება, რადგანაც რუსთაველზე, ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის „უძლეველი არმიის“ ჯარისკაცები ჩამორიგდებიან და გეებისა და ლესბოსელების აღლუმის უსაფრთხოდ ჩატარებას უზრუნველყოფენ, ქართველ ვაჟკაცებს კი ახლოსაც არ მიუშვებენ გარყვნილებთან და შორიდან მოუწევთ ყელში გაჩხერილი ბოღმის ბურთების გამო კაცური ცრემლების ყლაპვა.

**დავით მხეიძე**

**P.S. მივმართავ სამღვდელოებას: მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქოში ჩანერგილი ლიბერასტი „მეუფეების“ მავნებლური საქმიანობის გამო ეკლესიის დისკრედიტაცია გარკვეულწილად მოხერხდა, მაგრამ არა ისე, როგორც დასავლეთს სურდა, ყველაზე რეიტინგული ინსტიტუტი კვლავ დედაეკლესიაა. ამიტომ დაგვიძახეთ და გამოვალთ! ოღონდ ერთი პირობით: „ფილოსოფიით“ —„ხიდან ერთი ფოთოლი არ ჩამოვარდა და მინა არ ჩამტვრეულა“, დავიღუპებით...**

ვაქცინაციის დილემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არც დასავლეთსა და არც ქართველ პოლიტიკოსებს არ სურთ იმის გახსენება, რომ რუსეთში ლეგალურად თუ არალეგალურად მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და შესაბამისად, მათი უმრავლესობა სწორედ რუსული ვაქცინით აიცრა. ისინი საქართველოში ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან თუ მეგობრებთან რეკავენ და არ მალავენ, რომ რუსული ვაქცინა ეფექტიანია.**

# ჩუმად, დასავლეთმა არ გაიგოს!

## საცდელი ბოცვრები და ვირთხები ჩვენ ვიყავით, ვაქცინა წარმატებით გამოსცადეს და ახლა «ცისფერსისხლიანი» დასავლეთი იკეთებს

**როგორც კი კორონავირუსი გააქტიურდა და პანდემიის საფრთხის წინაშე დადგა მსოფლიო, დიდმა ქვეყნებმა ვაქცინის შექმნაზე მუშაობა დაიწყეს. ექსპერტები თავდაპირველად ამბობდნენ, რომ ვაქცინის შექმნას 3-4 წელი დასჭირდებოდა, რადგან უნდა გამოეკვლიათ თანამდევი უარყოფითი მოვლენები, შეესწავლათ თითოეული ნიუანსი, მოეძებნათ მოხალისეები, რომლებიც ამ ვაქცინას გაიკეთებდნენ, ექსპერიმენტში მიიღებდნენ მონაწილეობას... საზოგადოდ, ასე ხდება არამხოლოდ მკვლელი ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შემუშავებისას, არამედ მაშინაც, როცა თავის ტკივილის ან სიცხის დამწევი წამლის შექმნას აპირებენ. ეს ყველაფერი რამდენიმე მილიარდი დოლარი ჯდება და, შესაძლოა, ისე მოხდეს, უკუჩვენებების გამო წამალმა ავტორიზაცია ვერ გაიაროს და სერთიფიკატის გარეშე დარჩეს, ამიტომ, მილიარდები წყალში რომ არ გადაიყაროს, ცდები ჯერ ცხოველებზე ტარდება, ძირითადად, ვირთხებსა და ბოცვრებზე, შემდეგ კი ადამიანებზე გადადიან.**

მტკიცებით ფორმაში შეგვიძლია იმის თქმა, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში არაერთ ამერიკულ თუ ევროპულ წამალს ქართველ პატიმრებზე ცდიდნენ, მაგრამ ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა. სამაგიეროდ, **სააკაშვილის ხელისუფლება იღებდა მილიონობით დოლარსა თუ ევროს და სულ არ აინტერესებდა, რა შედეგი ექნებოდა პატიმრების ჯანმრთელობაზე საექსპერიმენტოდ შემოტანილ წამალს. ვისაც არ სჯერა, მარტივად შეუძლია გადაამოწმოს — აძლევდნენ თუ არა სააკაშვილის მმართველობის პერიოდში პატიმრებს წამალს, რომელსაც არც შეფუთვა ჰქონდა და არც ნაცნობი აბის ფორმა; ამბობდნენ თუ არა ექიმები პირად საუბრებში, რომ ეს ამერიკული წამალია და ჯერჯერობით აფთიაქებში არ იყიდებაო...**

სამწუხაროდ, ექსპერიმენტები ახლაც გრძელდება და ამას მარტივად დავასაბუთებთ. როცა ცივილიზებულმა სამყარომ პირველი ვაქცინა იხილა, ამ ამბავს ბევრი ქვეყანა სკეპტიკურად შეხვდა. ყველამ ზუსტად იცოდა, რომ ერთ წელიწადში, სრულყოფილი ვაქცინის კი არა, უმარტივესი წამლის შექმნაც კი წარმოუდგენელი იყო. თუმცა, ზოგან იძულებით, ზოგან კი ნებაყოფლობით, აცრები დაიწყო და, როცა მასობრივად არავინ დაიხოცა, ვაქცინაციის პროცესმა უფრო დიდი მასშტაბი მიიღო. ჰო, არ იყო გამორიცხული, რომ ვაქცინას უკურეაქციები მასობრივად გამოეწვია, მაგრამ რა იქნება 2-3 წელიწადში და რა უკუჩვენება ექნება ამ ყველაფერს, ჯერ კიდევ არ ვიცით. ცივილიზებულმა სამყარომ მაშინვე აიტაცა „ფაიზერი“ და „ასტრაზენეკა“, თუმცა ამ უკანასკნელმა რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა და მისმა შემქმნელებმაც გაარკვიეს, რომ ეს ვაქცინა თრომბის პროვოცირებას უწყობდა ხელს. შედეგად, ევროპის ლამის ყველა ქვეყანამ „ასტრაზენეკას“ მოხმარება შეაჩერა.

ჰოდა, ბაზარზე ჯერ ჩინური „სინოფარმი“ გამოჩნდა, მერე კი ჩინელებმა „სინოვაკიც“ შესთავაზეს მსურველებს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გარდა, ჩინურ ვაქცინას ყველამ ეჭვის თვალით შეხედა. პრინციპში, ყველაფერ ჩინურს ეჭვის თვალით უყურებს ყველა და ვაქცინა რატომ უნდა ყოფილიყო გამონაკლისი?! ჩინელებმა ჭკუა იხმარეს და ვაქცინის დოზების უფასო დარიგება დაიწყეს. შეძლეულ ძვალს ძაღლიც არ ეტანებაო, მაგრამ ჩვენ მივეტანეთ და თანაც — როგორ. ჩინეთმა ჯერ „სინოფარმი“ გვაჩუქა, შემდეგ კი, როცა მარაგი ამოგვეწურა, „სინოვაკიც“ გვიფეშქაშა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას აღნიშნულ ვაქცინებზე ავტორიზაცია არ ჰქონდა გაცემული, მაგრამ ჩვენ მაინც ამ ვაქცინას ვიკეთებდით. რატომ? იმიტომ, რომ სხვა არ მოგვცეს — „ასტრაზენეკამ“ არ გაამართლა, „ფაიზერის“ რიგში კი ზესახელმწიფოები იდგნენ და საქართველო ვის აინტერესებდა. ყველაზე საინტერესოც ამის შემდეგ დაიწყო. ჯანმომ „სინოფარმსა“ და „სინოვაკს“ ავტორიზაცია მიანიჭა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ეს ვაქცინები, ასე თუ ისე, უსაფრთხოა, ე.ი., მყისვე არ მოგვკლავდა. და რა მოხდა? სწორია — ჩინეთმა ამ ვაქცინების სხვა სახელმწიფოებისთვის მიყიდვა დაიწყო და ჩვენ ისევ ბოლოდან მეორე აღმოვჩნდით რიგში (როგორც გავარკვიეთ, ჩვენს უკან **ჯიბუტი** და **ჩადია**). გამოვიდა, რომ **საცდელი ბოცვრები და ვირთხები ჩვენ ვიყავით, ვაქცინა წარმატებით გამოსცადეს და ახლა ცისფერსისხლიანი დასავლეთი იკეთებს. რატომ დასავლეთი და არა ჩრდილოეთი?** იმიტომ, რომ რუსეთს თავისი ვაქცინები აქვს, წარმატებით ცრის მოსახლეობას და რამდენიმე ქვეყნიდან ერთ-ერთია, რომელშიც ვაქცინაციის პუნქტები 24-საათის განმავლობაში მუშაობს და აცრა წინასწარი რეგისტრაციისა და რიგში დგომის გარეშეა შესაძლებელი. გაქვს სურვილი, აიცრა? მიხვალ და აიცრები, მარაგიც არის და მედპერსონალიც მზად არის. შეგახსენებთ იმასაც, რომ რუსეთმა არაერთ ქვეყანას არათუ ვაქცინა მისცა და დიდი ნაწილი აჩუქა, არამედ წარმოების აწყობაში დაეხმარა და ახლა ათამდე ქვეყანა რუსულ ვაქცინებს თავის ტერიტორიაზე აწარმოებს. დაზუსტებით გეტყვით, რომ **რუსეთს შეეძლო, ჩვენთვის ვაქცინაც ეჩუქებინა, წარმოების აწყობაშიც დაგვეხმარებოდა და ახლა სამათხოვროდ არ გვექნებოდა საქმე. ჩვენი წარმოება გვექნებოდა და, გამოცდილების გარდა, ახალ სამუშაო ადგილებსაც შევქმნიდით; ვინ იცის, ეგებ სამომავლოდ სხვა, ფართო მოხმარების მედიკამენტების წარმოებაზე დაგვეწყო ზრუნვა და ქვეყნიდან ამ პრეპარატის გატანა. ისე კი არა, ქართული ფარმაცევტული კომპანიები რომ აკეთებენ წამალს საქართველოში და ნახევარი თირკმლის ფასი რომ უდევთ...**




**რუსეთს შეეძლო ჩვენთვის ვაქცინაც ეჩუქებინა, წარმოების აწყობაშიც დაგვეხმარებოდა და ახლა სამათხოვროდ არ გვექნებოდა საქმე. ჩვენი წარმოება გვექნებოდა და, გამოცდილების გარდა, ახალ სამუშაო ადგილებსაც შევქმნიდით; ვინ იცის, ეგებ სამომავლოდ სხვა, ფართო მოხმარების მედიკამენტების წარმოებაზე დაგვეწყო ზრუნვა და ქვეყნიდან ამ პრეპარატის გატანა. ისე კი არა, ქართული ფარმაცევტული კომპანიები რომ აკეთებენ წამალს საქართველოში და ნახევარი თირკმლის ფასი რომ უდევთ**

რუსული ვაქცინის არათუ შემოტანა, არამედ ხსენებაც კი აკრძალული აქვს ჩვენს ხელისუფლებას, ამიტომ ისე იქცევიან, თითქოს მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის მოსახლეობა არ იცრება და ვითომ იქ შედეგი არ არის. არადა, სავარაუდოდ, **არც დასავლეთსა და არც ქართველ პოლიტიკოსებს არ სურთ იმის გახსენება, რომ რუსეთში ლეგალურად თუ არალეგალურად მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს და შესაბამისად, მათი უმრავლესობა სწორედ რუსული ვაქცინით აიცრა. ისინი საქართველოში ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან თუ მეგობრებთან რეკავენ და არ მალავენ, რომ რუსულ ვაქცინა ეფექტიანია და იცავს.** უფრო მეტიც, როგორც გვეუბნებიან, არაერთმა ადამიანმა რუსული ვაქცინის შემოტანა სცადა ოჯახის წევრებისთვის და ახლა ყველა გამშვებ პუნქტზე ჩვენი მესაზღვრეები რუსეთიდან შემოსულ მოქალაქეებს განსაკუთრებით ჩხრეკენ, ვინმემ ვაქცინა რომ არ შემოიტანოს და მერე აქ ამბავი არ ატყდეს, — კარგია, იყიდეთო. წაყრუების პოლიტიკას მისდევენ — თითქოს არავის ახსოვს, თითქოს არც არსებობს...

**პრინციპი მარტივია — რუსეთი ხომ საქართველოს ნომერი პირველი მტერია და ამიტომ მტრისგან ვაქცინა არ გვინდა. მერე რა, რომ ამ ვაქცინამ, შესაძლოა, ათოსობით სიცოცხლე იხსნას, მაინც არ გვინდა. ასე ხომ დასავლეთს ეწყინება და დასავლეთის წყენას რამდენიმე ათასი კაცის გაწირვა არ სჯობს? მერე რა, რომ პერსპექტივაში საქართველოში აწყობილი და დაწყობილი ფარმაცევტული ქარხანა ძალიან კარგი იქნება ქვეყნისთვის, ეკონომიკასაც წაადგება. დასავლეთის გაბრაზება ხელს არ გვაძლებს, მერე იმ 88 მილიონს აღარ მოგვცემს, 4 წელზე რომ უნდა გადაგვინაწილოს.** არა, შეიძლება, რუსეთის მიერ აწყობილ-დაწყობილი წარმოებით ეს 88 მილიონი ყოველთვიურად ვიშოვოთ, მაგრამ არ გვჭირდება, „მეგობრების“ ხელით გამოწვდილი გვირჩევნია.

როგორც გვეუბნებიან, უახლოეს მომავალში **3.2 მილიონ ვაქცინას** ველოდებით. წესით, ეს საკმარისი უნდა იყოს, მაგრამ სერიოზული ეჭვი გვაქვს, რომ უკვე ავტორიზებულ ვაქცინებთან ერთად ისევ შემოიტანენ რაღაც ახალს, რომლითაც დაიწყება აცრები და, თუ გადავრჩით, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია ამ ახალ ვაქცინას ავტორიზაციას მისცემს. სამწუხაროდ, ჩვენ კი არა, დანარჩენმა მსოფლიომაც არ იცის, რა იქნება 2 და 3 წლის შემდეგ და რა შედეგს მოგვიტანს ეს აცრები. სოციალურ ქსელებში ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია ვრცელდება და ძნელია, რომელიმეს დაუჯერო. უფრო სწორად, გინდა, დაიჯერო, რომ აპოკალიფსი არ დაიწყება და ვაქცინირებულებს არაფერი დაემართებათ. მანამდე კი...

რუსეთმა, რომელსაც დასავლეთი ღიად ებრძვის, შეიმუშავა სამი ვაქცინა, რომლითაც თავის მოქალაქეებს ცრის. არსებობს რაღაც, რაც სწორედ მათ იციან. სხვაგვარად, არ გარისკავდნენ და მთელი ქვეყნის მოსახლეობას საფრთხას არ შეუქმნიდნენ. **არ ვამტკიცებთ, რომ რუსული ვაქცინა პანაცეაა, მაგრამ ხომ შეიძლება, ისიც შემოიტანონ და შემდეგ უკვე მოსახლეობამ აირჩიოს, რომლით ურჩევნია აცრა?!** მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ იმ ადამიანების ნაცნობები, ახლობლები, ნათესავები, ოჯახის წევრები, რომლებიც რუსეთში არიან, უპირატესობას სწორედ რუსულს მიანიჭებენ და ეს, უბრალოდ, საგარეო-პოლიტიკურ კურსს არ შეესაბამება. **ჰოდა, ვიყოთ ასე, ვიფიქროთ იმაზე, რა ესიამოვნება დასავლეთს, და არა იმაზე, რა სჭირდება ქართველ ხალხს.** აგერ, ტურისტული სეზონი ნელ-ნელა რომ ხურდება და აპრილში ეკონომიკური ზრდის 44%-იანი მაჩვენებელი გვქონდა, დიდწილად რუსი ტურისტების დამსახურება რომ არის, არ ვთქვათ. შემოსული ტურისტების 90%-ზე მეტი ჩრდილოელ მეზობელზე მოდის, მაგრამ **ჩუმად, დასავლეთმა არ გაიგოს,** ამას ხმამაღლა რომ ვამბობთ.

**ბესო ბარბაქაძე**

**სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები პანსიონში რომ არ შეუშვეს, საზოგადოებას არ გაუპროტესტებია. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო დამცველისადმი ნდობა, უბრალოდ, არ არსებობს და საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ სჯერა, ნინო ლომჯარიასა და მისი წარმომადგენლების იქ შესვლით რამე უკეთესობისკენ შეიცვლება. ეს, სავარაუდოდ, კარგად იცის მარკეტკამაც, მაგრამ ზურგზე არ ეცემა და თავის აზრს საჯაროდ გამოხატავს.**

უთავმოყვა-რეობები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 28 წლის პოლიტიკური თინეიჯერი ყველაფერზე ჭკუას რომ გარიგებთ, არ «გიტყდებათ»?!

**მარკეტა გრეგოროვა ჩეხი ევროპარლამენტარია. მიმდინარე წლის 14 იანვარს, სულ რაღაც, 28 წლის გახდა და დაგვეთანხმებით, 28 წლის ქალბატონისთვის ევროპარლამენტარობა დიდი მიღწევაა. ეს ევროპული ქვეყნებისთვის, თორემ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ლამის არასრულწლოვანი პარლამენტარები და მინისტრებიც კი გვახსოვს. სოციალურ ქსელში ოფიციალურ გვერდზე მარკეტას სახელად მარკეტკა უწერია. ასაკი მაინც თავისას შვრება — სურს, მოფერებით მიმართონ, დაახლოებით ისე, ჩვენთან თაკო-თიკოს რომ ეძახიან ხოლმე. ჩვენც მარკეტკად მოვიხსენიოთ.**

ამ პატივცემულმა და ამხელა თანამდებობის მქონე ქალბატონმა ჩვენი ყურადღება ადრეც არაერთხელ მიიპყრო, როცა საქართველოს მიმართ განცხადებები არ დაიზარა.

„ბატონი კახა კუჭავა, საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერი, ევროპარლამენტში საზღვრებზე სასაუბროდ მოვიდა და წარმოგვიდგინა ანგარიში იმის შესახებ, რა კარგად მუშაობს ხელისუფლება და „ქართული ოცნება“ საარჩევნო სისტემის თვალსაზრისით, როგორ ავრცელებენ დემონსტრანტები ტყუილებს. ბოდიში, მე ამას არ მივიღებ“, — ეს დაახლოებით ერთი წლის წინათ თქვა მარკეტკამ, მაშინ, როცა კუჭავა ჯერ კიდევ პარლამენტის თავმჯდომარე არ იყო. ევროპარლამენტარი თავს ბევრის უფლებას აძლევდა და სახალხოდ აკრიტიკებდა ქართული პარლამენტის ვიცესპიკერს. ვერ გეტყვით, ამ ჯერზე მოუსმენს თუ არა ბატონ კახას გრეგოროვა...

„ვფიქრობ, ეს ძალიან სერიოზული ბრალდებაა და ამის შესახებ სულ უფრო მეტი წყაროდან მესმის. ვიმედოვნებ, იქნება ახსნა-განმარტება, რატომ არ უშვებენ სახალხო დამცველს პანსიონში და დაუყოვნებლივ ჩატარდება ამაზე გამოძიება“, — წერს მარკეტკა სოციალურ ქსელში.

ეს ქალბატონი უკვე პოლიტიკურ საკითხებში კი არ ერევა და იმას კი არ ამბობს, მოსწონს თუ არა რომელიმე ქართველი პოლიტიკოსი, არამედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე საქმეებსაც საჯაროდ არჩევს. ვინმე აგვიხსნის, **ვინ ჰკითხავს მარკეტკა გრეგოროვას, ნინოწმინდის პანსიონში სახალხო დამცველი შევა, საპატრიარქოს წარმომადგენელი, ოპოზიცია, ხელისუფლება თუ, საერთოდ, გასართობი ცენტრის მასხარა?** აქ კონკრეტულად პანსიონის საქმეზე არ ვსაუბრობთ — საქმე ის არის, რომ ევროპარლამენტარი თავს უფლებას აძლევს, შენიშვნები გამოთქვას რიგით საქმეზე. **მას წარმატებით შეუძლია თქვას, რომ ბინის ქურდობაზე ვიღაც რომ დაიჭირეთ, აყვანისას ვარცხნილობა აეშალა და სასამართლოზე დავარცხნილი მიიყვანეთო. რაც ყველაზე საინტერესოა, არც ერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა, არც სახალხო დამცველმა ხმა არ ამოიღო და მარკეტკას განცხადებას კრიტიკით არ უპასუხა.** ჩვენი ომბუდსვუმენი, უწინარესად, ხომ ჩვენს ინტერესებს უნდა იცავდეს და უნდა ეთქვა ნინო ლომჯარიას, აუცილებლად უნდა ეთქვა: თქვენ ვინ გეკითხებათ, საშინაო საქმეებს თვითონ მივხედავთო. მეორე მხრივ, თუ დაუკვირდებით, **სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები პანსიონში რომ არ შეუშვეს, საზოგადოებას არ გაუპროტესტებია. ეს იმას ნიშნავს, რომ სახალხო დამცველისადმი ნდობა, უბრალოდ, არ არსებობს და საზოგადოების უდიდეს ნაწილს არ სჯერა, ნინო ლომჯარიასა და მისი წარმომადგენლების იქ შესვლით რამე უკეთესობისკენ შეიცვლება.** ეს, სავარაუდოდ, კარგად იცის მარკეტკამაც, მაგრამ ზურგზე არ ეცემა და თავის აზრს საჯაროდ გამოხატავს.

წინა და მოქმედი ხელისუფლების დამსახურებაა ის, რომ რიგითი პარლამენტარები, რიგითი კონგრესმენები, ელჩები თუ სხვადასხვა ჩინიანნი და უჩინონი საქართველოს ისე უყურებენ, როგორც თავიანთ სათარეშო ქვეყანას. **გსმენიათ, რომელიმე ქართველ დეპუტატს რომელიმე ევროპული ქვეყნის დეპუტატი, მინისტრი ან ქვეყნის ლიდერი გაეკრიტიკებინოს? გაგიგიათ, რომელიმეს მათი ნამოქმედარის გამო უკმაყოფილება გამოეთქვას ან უფრო მეტი — რჩევა მიეცეს? ამას ისინი ვერ გაბედავენ, მაგრამ აბედვინებენ სხვებს. დასავლელებმაც დაიჯერეს, რომ ყველაფერი ეპატიებათ და იმის მიხედვით, როგორ განწყობაზე არიან, საქართველოს მიმართ სხვადასხვა განცხადებას აკეთებენ.**

სამწუხაროდ, ამ ყველაფრის შედეგს ჩვენ, რიგითი მოქალაქეები, ვიმკით. **გვიყურებენ, როგორც მონებს, და ეს ყველაზე კარგად ახლა გამოჩნდა, როცა გერმანიის მთავრობამ ზარ-ზეიმით გვამცნო: საქართველოს მოქალაქეებს ოფიციალურად დავასაქმებო, და აქედან რამდენიმე ასეული ადამიანი ლუკმაპურის საშოვნელად წავიდა.** 1945 წელს ქართველები გერმანიაში გამარჯვების დროშით შევიდნენ, ახლა კი — მონებად, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რატომ მონებად? იმიტომ, რომ, რასაც იქ მყოფი ქართველები სოციალურ ქსელში ავრცელებენ, მონობის გარდა არაფერი ეწოდება. ერთ ვაგონში შეყრილი 18 კაცი და 6 ქალი, ერთმანეთისთვის უცხო ადამიანები, ერთ ჭერქვეშ როგორ უნდა იყვნენ? **გაფუჭებული საკანალიზაციო სისტემა, ელემენტარულად დაუცველი ჰიგიენური პირობები... და ეს გერმანელებმა ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ მაინც გააკეთეს და გააკეთეს იმიტომ, რომ დარწმუნებულნი იყვნენ, ქართველ პოლიტიკოსთაგან ვერც ერთი ვერ გაბედავდა მათ წინააღმდეგ ხმის ამოღებას.** ანალოგიური რამ, მაგალითად, ჩეხებისთვის რომ გაეკეთებინათ, მარკეტკა ევროპარლამენტში ტრიბუნასთან მალაყს გააკეთებდა, მაგრამ, როცა საქმე ქართველებს შეეხო, გრეგოროვამ ხმა არ ამოიღო. **რატომ არ მოითხოვა მარკეტკამ გერმანელი სახალხო დამცველის შესვლა იმ ვაგონებში, რომლებშიც ქართველები ჰყავთ შეყრილი? იმიტომ, რომ ზუსტად იცის, ასე უნდა მოექცნენ და ამაში გასაკვირი არაფერია. მიეჩვივნენ დასავლელი პოლიტიკოსები ქართველთა დუმილს; მიეჩვივნენ იმას, რომ მათ დაკრულზე ვცეკვავთ და ამიტომ ჩვენთვის თავს დიდად არ იწუხებენ.**

საქართველოს სერიოზულად რომ არ აღიქვამენ, იქიდანაც ჩანს, რომ აგერ, ნატოს სამიტზე არ დაპატიჟეს. არც უკრაინა დაპატიჟეს, ის ორი ქვეყანა, რომლებსაც, რამდენიმე ათეული წელია, ნატოში გაწევრებას ჰპირდებიან. ახლა კი სამიტზეც აღარ დაუძახეს, ქართულმა და უკრაინულმა მხარემ შემთხვევით მწვავედ რომ არ დააყენონ საკითხი. აქეთ ცალკეული ევროპელი პოლიტიკოსები კი ამბობენ, — საქართველო და უკრაინა ნატოსთვის მზად არიანო, მაგრამ ამას იმიტომ აკეთებენ, რომ იმედის მიმქრალ ნაღვერდალს სული შეუბერონ, თორემ ყველაზე კარგად თვითონ იციან, რომ **ნატო და ევროკავშირი ჩვენთვის ისეთივე აუსრულებელი ოცნებაა, როგორც უკრაინისთვის.** როგორ გგონიათ, უკრაინას — **კონტინენტის ყველაზე დიდ სახელმწიფოს — წამოიკიდებს ზურგზე ევროპა და თრევას დაუწყებს? არავითარ შემთხვევაში. მათ მხოლოდ ის სურთ, რომ უკრაინის ლიდერმა, საქართველოს ლიდერის დარად, მაღალი ტრიბუნიდან რუსეთი ლანძღოს და მერე ეს მორიგი სანქციების დაწესების მიზეზი გახდეს.** სხვათა შორის, სამიტზე საქართველოს გამოტოვებამ ოპოზიციაც დააფიქრა და დასავლელ პარტნიორებს სთხოვეს, — ეგებ მიიწვიოთ ხელისუფლების წარმომადგენლებიო, მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გვიტენის ეს დასავლეთი და ძალით კიდევ ვერ ვეტენებით.


მარკეტა გრეგოროვა თბილისში

**28 წლის პოლიტიკური თინეიჯერი მითითებებს რომ გაძლევთ და გასწავლით, სად რა უნდა თქვათ და როგორ უნდა მოიქცეთ, თავმოყვარეობის გამო მაინც ამოიღეთ ხმა და თქვით რამე, თორემ მალე ევროპარლამენტის დამლაგებლები იმ მაგიდებსა და სკამებს აღარ გადაწმენდენ, რომლებზეც თქვენ დასხდებით**

ისევ მარკეტკას დავუბრუნდეთ. ბატონებო და ქალბატონებო, არ არის საუბარი პოლიტიკასა და საგარეო თუ საშინაო კურსზე. ვიღაც რომ ჭკუას გარიგებთ, არ „გიტყდებათ“? **ელემენტარულად, თავმოყვარეობის საკითხია, 28 წლის პოლიტიკური თინეიჯერი მითითებებს რომ გაძლევთ და გასწავლით, სად რა უნდა თქვათ და როგორ უნდა მოიქცეთ. თავმოყვარეობის გამო მაინც ამოიღეთ ხმა და თქვით რამე, თორემ მალე ევროპარლამენტის დამლაგებლები იმ მაგიდებსა და სკამებს აღარ გადაწმენდენ, რომლებზეც თქვენ დასხდებით.** რატომ? იმიტომ, რომ ისინიც მიხვდებიან, თავმოყვარეობა რომ არ გაქვთ და იფიქრებენ, — უთავმოყვარეოებს ასე უნდა მოექცეო. **ხმა ამოიღეთ იმაზეც, რომ საქართველოდან ოფიციალურად სამუშაოდ წაყვანილ ქართველებს მონურად აცხოვრებენ, არც დაპირებულს უხდიან და მათი ყოფა წამებასთან არის გათანაბრებული. მუდმივად დუმილი და სირაქლემის პოზაში ყოფნა გამოსავალი არასდროს ყოფილა და არც ახლა იქნება.**

**ხმა ამოიღეთ იმაზეც, რომ საქართველოდან ოფიციალურად სამუშაოდ წაყვანილ ქართველებს მონურად აცხოვრებენ, არც დაპირებულს უხდიან და მათი ყოფა წამებასთან არის გათანაბრებული. მუდმივად დუმილი და სირაქლემის პოზაში ყოფნა გამოსავალი არასდროს ყოფილა და არც ახლა იქნება**

ცალკე პრობლემაა ის, რაც ნინოწმინდის პანსიონში ხდება. არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ჯერ ერთი, ძალიან დიდი აჟიოტაჟია ამტყდარი და მეორეც — როცა სოცმუშაკებს დაინახავენ და 16 ბავშვი იქაურობის სასწრაფოდ დატოვებას მოისურვებს, სულ მცირე, რაღაც ვერ არის კარგად. ამის მიუხედავად, არც მარკეტკასა და არც სხვას არ აქვს უფლება, ჩაერიოს ასეთ საქმეებში და მით უმეტეს მოწოდებები აკეთოს. ამისათვის კი ხმა პოლიტიკოსებმა უნდა ამოიღონ და, ერთს რომ შეეპასუხებიან, მეორე დაფიქრდება, თუმცა ამას ერთი ადგილი უნდა, რომელიც ქართველ პოლიტიკოსებს, ძალიან დიდი ხანია, აღარ აქვთ.

**P.S. ისე, მართლა უნიათოა ეს ხელისუფლება, თორემ 28 წლის მარკეტკას მიშა აქამდე საქართველოშიც დაპატიჟებდა, კონცერტსაც გაუმართავდა, მასთან ერთად იხუნტრუცებდა კიდეც, ზღვაშიც შევიდოდა და ცხელ გულზე ცივ წყალსაც გადაივლებდა.**

**იცოდა ასეთები მიშამ, ნუ დავუკარგავთ.**

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამერიკის კანონიერ და ძირძველ მოსახლეობას ჰყავს თავისი სამუდამოდ არჩეული ბელადი — სტალინი. თქვენი ბელადი კი განგსტერი ალ კაპონეა, რომლის სახლ-მუზეუმსა და მის სახელს რუდუნებით ეპყრობით, ხოლო სტალინს, როგორც სტატიაშია ნათქვამი, უსაშინელეს ბოროტებად მოიხსენიებთ.**

„ბევრი ვიფიქრე ძალიან,
თუ რა პასუხი გამეცა“
ვაჟა-ფშაველა

# პასუხი «ვაშინგტონ პოსტის» სარედაქციო კოლეგიას

## 2021 წლის 30 მაისს გამოქვეყნებულ სტატიაზე «საბჭოთა დიქტატორის, იოსებ სტალინის, სამშობლოში ზოგიერთი ქართველი ბელადის სადღეგრძელოს სვამს, სხვები კი მისი შავბნელი წარსულის შესახებ ყვებიან»

**აშშ-ის ერთ-ერთ წამყვან გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ (The Washington Post) ამა წლის 30 მაისს გამოქვეყნდა სტატია სათაურით „საბჭოთა დიქტატორის, იოსებ სტალინის, სამშობლოში ზოგიერთი ქართველი ბელადის სადღეგრძელოს სვამს, სხვები კი მისი შავბნელი წარსულის შესახებ ყვებიან“. მასში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ფონზე, განხილულია სსრკ-ის ლიდერის, იოსებ სტალინის, როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხის ისტორიასა და თანამედროვე ცხოვრებაში (ავტორი ინა ლაზარევა).**

პარიზის ქუჩებში ქალაქის დასათვალიერებლად თანმხლებ პირებთან ერთად გამოსულ იმპერატორ **ნაპოლეონ ბონაპარტეს** გლოვის ზარი შემოესმა და შეჩერდა. მცირე ხნის შემდეგ იმპერატორმა რამდენიმე თანმხლებ პირს დაავალა, გაეგოთ, რამე საშინელება ხომ არ მოხდა ქალაქში, გლოვის ზარი რომ ისმისო. დავალება მყისვე შესრულდა. უკან დაბრუნებულმა მხლებლებმა ნაპოლეონს მოახსენეს, მეზობელ ქუჩაზე ებრაელების სინაგოგაა და იქ ტრადიციულად, ყოველწლიურად აღესრულება გოდების ცერემონია, რომელიც მიძღვნილია იერუსალიმის დაცემის დღესთანო. ნაპოლეონი ჩაფიქრდა და წარმოთქვა: **„შეუძლებელია, მოკვდეს ერი, რომელიც საუკუნეების შემდეგ კვლავ ასე მძაფრად განიცდის თავის წარუმატებლობას“.**

ჩვენ, ქართველემა, სტალინის ხელმძღვანელობით, ჩამორჩენილი საქართველო 32 წლის განმავლობაში (1921-1953 წწ.) ვაქციეთ ამქვეყნიურ სამოთხედ. საქართველო საოცნებო ქვეყანა იყო მსოფლიოს ნებისმიერი ადამიანისთვის, დღეს კი მისი დაცემის, ეკონომიკური განადგურების, სულიერი გაპარტახების, ტერიტორიული დაქუცმაცების, პატივისა და ღირსების აყრის, ულარიბეს ქვეყნად გამოცხადების, ფუნდამენტური მეცნიერების მოსპობის, განათლების, კულტურის, ხელოვნების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სრულ კოლაფსს ზეიმობენ სტალინის ლანძღვის ფონზე. ეს ისეთივე დაუჯერებელია, როგორც ამერიკული დემოკრატია და „ვაშინგტონ პოსტში“ 30 მაისს გამოქვეყნებული სტატია **„სტალინის სამშობლოში ზოგიერთი ქართველი ბელადის სადღეგრძელოს სვამს, სხვები კი მისი შავბნელი წარსულის შესახებ ყვებიან “.**

ჩემთვის, 85 წლის კაცისთვის, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება, 65 წელი, სტალინის ფენომენის კვლევას შევალიე, საარქივო მასალებზე დაყრდნობით გამოვეცი ექსტომეული და, კვლავ დაუდგრომელი ენერგიით განვაგრძობ კვლევას — ვმოგზაურობ ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების მუზეუმებში, დავდივარ ბელადის ნაკვალევზე, ამერიკული გაზეთის აზრით, თურმე ყველაზე ძვირფასი ყოფილა სტალინის ძეგლის ცხვირისა და ულვაშის ფრაგმენტები და არა სტალინის ნივთების კოლექცია, რომლის ექსპონატებიც მუდმივად მისი თანამგზავრი იყო და რომლებმაც საქართველოს საკურორტო ქალაქ ბორჯომში დაიდო ბინა, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მე გადმომეცა, როგორც საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარეს. ვინ დაიჯერებს, რომ ყურადღება არავინ მიაქცია ამ უნიკალურ ნივთებს, რომლებიც უშუალოდ სტალინთან არის დაკავშირებული, ან ჩემი მუზეუმის ეზოში აღმართულ, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს **ნიკოლოზ ტომსკის** მიერ გამოქანდაკებულ სტალინის ფიგურას? ეს ქანდაკება ადრიატიკის ზღვიდან ამოღებული იშვიათი მარმარილოსგან არის შესრულებული და სიმაღლით 3 მეტრს აღემატება. შეუძლებელია, ვერ შეამჩნიო ძეგლის გარშემო მიმოფანტულ ლოდებზე გამოსახული კარიკატურები, როგორც სახეები ეშმაკებისა — **ტროცკის, ხრუშჩოვის, გორბაჩოვის, ელცინის, სოლჟენიცინის, რაისა მაქსიმოვნას, იაკოვლევისა** და სხვათა, რომელთა აქტიური მხარდაჭერით **„ბოროტმა სძლია კეთილსა“.**

აი, როგორ აღწერს **ინა ლაზარევა** (ან როგორ გადაწერეს, როგორც ამერიკელებს სჩვევიათ „ისტორიის გადაწერა“) და „ვაშინგტონ პოსტის“ სარედაქციო კოლეგია ამ მოვლენას:

*** „იოსებ სტალინის დიდი ხნის წინათ განადგურებული გრანიტის ძეგლის ცხვირის ნამსხვრევი და ულვაშის ნაწილი გრიგოლ ონიანისთვის ყველაზე ძვირფას ნივთად ითვლება იმიტომ, რომ ეს ნაწილები იმ დიდი ძეგლის ფრაგმენტებს წარმოადგენს, რომლის აღების წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციაში იგი მონაწილეობდა ჯერ კიდევ 1961 წელს, სტუდენტობისას. გრიგოლ ონიანი დღესაც რჩება ბელადის ერთ-ერთ ყველაზე გულწრფელ თაყვანისმცემლად საქართველოში, რომელიც კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის მდებარეობს. „სტალინი ფენომენია“, — ამბობს იგი. გრიგოლ ონიანის კერძო მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილია იოსებ სტალინთან დაკავშირებული ბევრი ექსპონატი, იმ უჩვეულო და გასაოცარი ნოსტალგიის გამოხატულებაა, რომელიც ჯერ კიდევ არის შენარჩუნებული საქართველოში გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დაუნდობელი ლიდერის მიმართ“,** — ნათქვამია სტატიაში.

ეს კიდევ არაფერი, სტატიის მომდევნო აბზაცში რომ არ ხდებოდეს სრული კოპირება ქართული ანდაზისა: „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“.

*** „როცა ამ კვირაში საქართველო თავისი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდა — 30 წლის წინათ მომხდარ ფაქტს, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამ განაპირობა, იოსებ სტალინის აურის პარადოქსი ქვეყანაში სრულად იქნა წარმოდგენილი. სუვერენიტეტის ზეიმის ფონზე იხსენებდნენ იმ პერიოდსაც, როცა ქვეყანა თავის ბედს ვერ განაგებდა. დღეს საქართველოში ბევრ ნივთზე იოსებ სტალინის სურათია გამოხატული, ჯერ კიდევ არსებობს მისი სახელობის ქუჩები... გორში, იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმთან, იმართება აქცია და 2010 წელს აღებული ძეგლის აღდგენას მოითხოვენ. ამასთანავე, ის რეალური დანაშაულები, რომლებიც სტალინის მმართველობის პერიოდში იქნა ჩადენილი, ციმბირის „გულაგები“, წმენდები და დაპატიმრება-რეპრესიები მიჩუმათებული და იგნორირებულია. საქართველოსთვის იოსებ სტალინი იმ ბრძოლის ცენტრში იმყოფება, რომელიც მისი ისტორიული ხსოვნისთვის მიმდინარეობს, გარდაცვალებიდან 70 წლის შემდეგ. ახალგაზრდა თაობა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიზარდა, მოითხოვს, რომ სტალინი იმ ლიდერად იქნას აღიარებული, რომელმაც მოკავშირეებთან ერთად მეორე მსოფლიო ომში გაიმარჯვა, მაგრამ იგი საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთ შავბნელ მმართველსაც წარმოადგენდა“.**

დიახ, ბატონებო და ქალბატონებო „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქციიდან, იმ დღეს საქართველოს ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდით თქვენ — „ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები“ და ის „ბებერი ჩერჩეტი ევროპა“ (სტალინი). თქვენ 2008 წელს ხუთსაათიანი „ომის“ შემდეგ („კონსტიტუციური წესრიგის დამყარების საბაბით“ და თქვენი წაქეზებით) რესპუბლიკის ცენტრალურ მოედანზე ქვეყნის 20% ტერიტორიების დაკარგვა და საქართველოსთვის არნახული მწარე დამარცხება ზარ-ზეიმით აღგვანიშნინეთ. ასეთივე „დამოუკიდებლობის“ აღნიშვნა იყო 2021 წლის 26 მაისის ზეიმი. 2021 წლის 26 მაისი დაფუძნებული იყო 1918 წლის 26 მაისზე, როდესაც თითქოსდა რუსეთის საზიანოდ ევროპამ და, კერძოდ, გერმანიამ კუთხეში სამარცხვინოდ მომწყვდეულ საქართველოს მთავრობას ულტიმატუმი წაუყენა, ელიარებინა საქართველოს „დამოუკიდებლობა“.

თქვენგან, ვინც კაცის კაცზე და ქალის ქალზე ქორწინებას აკანონებთ, სრულებითაც არ მიკვირს, გაოცებით შეჰყურებდეთ ცივილიზაციის გადამრჩენის, ჰიტლერელთა მონობიდან მსოფლიო ხალხების მხსნელის — სტალინის ძეგლის აღმართვას. თქვენ, ვინც ფეხებს უკოცნით და ბოდიშს უხდით იმ ხალხს, რომლის წინაპრებიც მონებად გყავდათ, ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა კი გაწყვიტეთ და მისი ტერიტორია (არამხოლოდ) უსინდისოდ მიისაკუთრეთ. **თქვენივე პრეზიდენტის სიტყვებია: „ქვეყნის სიმდიდრე შენობათა მრავალსართულიანობით კი არ განისაზღვრება, არამედ სულიერი სიმაღლით“ და, თუ გგონიათ, რომ ჯობია, საჯდომიდან დაიბადო, ვიდრე საშოდან, ბიბლიაში, რომელსაც თქვენ ხშირად იყენებთ, ეს ასე არ წერია.** ბიბლია თქვენ მხოლოდ ტრიბუნაზე დასადებად გჭირდებათ, როდესაც ფარისევლურად ფიცს დებთ ხალხის წინაშე. თქვენი „მაღალი“ კულტურა განისაზღვრება სულიერი სიმაღლით თქვენი პრეზიდენტისა, რომელსაც ბიბლიაც ველარ შველის. გულწრფელი იყო რუსეთის პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი,** როდესაც მის შეურაცხმყოფელ აშშ-ის პრეზიდენტ **ბაიდენს** ჯანმრთელობა უსურვა.

*** „ერთადერთი გზა არის ის, რომ სტალინზე სრული სიმართლე ითქვას. ყველაფერი უნდა გამჟღავნდეს, — ამბობს 38 წლის გიორგი კანდელაკი, პარლამენტის ყოფილი წევრი, რომელსაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი საბჭოთა ოკუპაციისა და ტოტალიტარიზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღის** ▶



Oniani, a Stalin admirer and private collector, at his house in Tbilisi on May 11. (Justyna Mielnikiewicz for The Washington Post)

**დიახ, ბატონებო და ქალბატონებო «ვაშინგტონ პოსტის» რედაქციიდან, იმ დღეს საქართველოს ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავდით თქვენ — «ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები» და ის «ბებერი ჩერჩეტი ევროპა» (სტალინი). თქვენ 2008 წელს ხუთსაათიანი «ომის» შემდეგ («კონსტიტუციური წესრიგის დამყარების საბაბითა» და თქვენი წაქეზებით) რესპუბლიკის ცენტრალურ მოედანზე ქვეყნის 20% ტერიტორიების დაკარგვა და საქართველოსთვის არნახული მწარე დამარცხება ზარ-ზეიმით აღგვანიშნინეთ**

The Washington Post

## იაპონია, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, ავღანეთი, ერაყი, სირია, ლიბია, სერბეთი, სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევა, მოკავშირე სახელწიფოების პირველი პირების თვალთვალი და მიყურადება, საკუთარი პრეზიდენტის მკვლელობა, არჩევნების გაყალბება თქვენს ქვეყანას მოჰკითხეთ, იმ ქვეყანას, რომლის აბორიგენ მოსახლეობასაც გენოციდი მოუწყვეთ, ახლა კი რეზერვაციებში ამყოფებთ, ხოლო შთამომავალთ იმ ადამიანებისა, რომლებიც მონებად გყავდათ, ფარისევლურად ფეხებს უკოცნით.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ აღნიშვნის საქმეში. მისი თქმით, ამჟამად, საქართველოში სტალინის 9 ახალი ძეგლია დადგმული. ხშირად სვამენ სადღეგრძელოს მისი სახელის სადიდებლად. სამწუხაროა, რომ იმ ადამიანებმაც კი, რომლებსაც სტალინი არ უყვართ, კარგად არ იციან, რა გაუკეთა მან საქართველოსა და ქართველებს".**

სტატიის ავტორმა, ალბათ, კარგად არ იცის, ვის ესაუბრება (ეს ის გიორგი კანდელაკია, რომელმაც ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს საპარლამენტო რეზოლუციას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველომ პირველმა დაბომბა ცხინვალი და კასეტური ბომბები გამოიყენა) და ვინ წუხს საქართველოს ოკუპაციასა და მსხვერპლზე, რომელიც საქართველომ გაიღო სტალინის მმართველობის პერიოდში საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ.

გულაგები, გუანტანამო, აბორიგენების ხოცვა-ჟლეტა, გენოციდი, ატომური ბომბებით ქალაქების აღგვა პირისაგან მიწისა, „ფერადი რევოლუციები", კორეა, ვიეტნამი, იაპონია, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, ავღანეთი, ერაყი, სირია, ლიბია, სერბეთი, სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევა, მოკავშირე სახელწიფოების პირველი პირების თვალთვალი და მიყურადება, საკუთარი პრეზიდენტის მკვლელობა, არჩევნების გაყალბება თქვენ ქვეყანას მოჰკითხეთ, იმ ქვეყანას, რომლის აბორიგენ მოსახლეობასაც გენოციდი მოუწყვეთ ახლა კი რეზერვაციებში ამყოფებთ, ხოლო შთამომავალთ იმ ადამიანებისა, რომლებიც მონებად გყავდათ, ფარისევლურად ფეხებს უკოცნით. **სიკვდილს გადარჩენილი ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა 60 ტომად არის გაფანტული აშშ-ში თუ ლათინური ამერიკის ქვეყნებში და სწორედ იმ 60 ტომის ბელადებმა 1943 წელს თავიანთ გაერთიანებულ ტომთა ბელადად სტალინი აირჩიეს სამუდამოდ. ტომთა ბელადის მდიდრული და ლამაზი სამოსი, ბუკითა და ნაღარის თანხლებით, რიტუალით გადასცეს სსრ კავშირის ელჩს ამერიკაში — ანდრია გრომიკოს სტალინისთვის გადასაცემად და დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა კრემლის მუზეუმში. რამდენიმე წლის წინათ კი პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის სახელმწიფო მუზეუმს გადასცა.** ამერიკის ძირძველ მოსახლეობას ჰყავს თავისი სამუდამოდ არჩეული ბელადი — სტალინი. თქვენი ბელადი კი განგსტერი **ალ კაპონეა,** რომლის სახლ-მუზეუმსა და მის სახელს რუდუნებით ეპყრობით, ხოლო სტალინს, როგორც სტატიაშია ნათქვამი, უსაშინელეს ბოროტებად მოიხსენიებთ. წერილის ავტორი ესაუბრა „მითების დეტექტორის" (ამ ვებგვერდის მთავარი რედაქტორი „თავისუფლების ინსტიტუტში" დაფრთიანებული **თამარ კინწურაშვილია)** წარმომადგენელ **ნინო დალაქიშვილს,** რომელიც ცდილობს, სტალინის დამსახურებების შესახებ ქართულ მასმედიაში გავრცელებული „ცრუ მასალები" ამხილოს და



მოსახლეობას „სინამდვილე" მიაწოდოს — „სტატიაში ჩამოთვლილია ის ადგილები და ობიექტები, რომლებსაც იოსებ სტალინის სადიდებლად აქვს სახელი დარქმეული: **„ავლაბრის არალეგალური სტამბა, რომელშიც, თითქოსდა, იგი რუსული ცარიზმის წინააღმდეგ პროკლამაციებს ბეჭდავდა და ავრცელებდა, მაგრამ არავინ იცის, რომელ წლებში და რამდენ ხანს მუშაობდა; გორში სტალინის გამოსახულება თვალებს გჭრის სასტუმროს ფანჯრებიდან, მისი ძეგლი მუნიციპალურ პარკში დგას, ხოლო რესტორანს „იოსები" ჰქვია. გორში მდებარე სახლ-მუზეუმი საბჭოთა დროიდან თითქმის არ შეცვლილა და ისტორიის აეროგრაფიული ვერსიის მაგალითს წარმოადგენს... იქვე, ახლოს, ქუჩის გამყიდველი სტალინის გამოსახულებით სამახსოვრო საჩუქრებს, მონეტებსა და მედლებს გთავაზობს, მასთან ერთად კი — ნაცისტებთან დაკავშირებულ ნივთებსაც. მეორე მხრივ, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის („სოვლაბ") ახალგაზრდა აქტივისტები ეძებენ და პოულობენ იმ ადგილებს, რომლებიც სტალინის მმართველობის ეპოქაში ჩადენილი დანაშაულების მოწმენი არიან, მაგალითად, თბილისის ცენტრში მდებარე ინგოროყვას ქუჩაზე, ნახევრად დანგრეულ სახლში, 1921-1934 წლებში 15 ათასი ადამიანი დაკითხეს და აწამეს, რომლებიც იძულებულნი ხდებოდნენ, ხელი მოეწერათ ყალბი ბრალდების აღიარებისათვის. „სტალინმა კარგად იცოდა ამ ადგილის არსებობა, რომელიც საბჭოთა ტერორის მოწმეა", — ამბობს ირაკლი ხვადაგიანი, „სოვლაბის" აქტივისტი. მან გამოიკვლია და დოკუმენტურად ასახა შენობა, რომლის საკნებში უამრავი ადამიანი აწამეს. დაახლოებით ორი წლის წინათ შენობის სარდაფის დიდი ნაწილი რესტორნად გადააკეთეს, რომელშიც ხინკალი მზადდება... „სოვლაბელი" ისტორიკოსების თქმით, თბილისში ის ადგილები, რომლებზეც მასობრივი რეპრესიების მსხვერპლთა საფლავები იყო, თავის დროზე ბულდოზერებით გადაასწორეს. „უცნაურია, რომ ქართველები არ შეეცადნენ სტალინის ეპოქაში მასობრივად დახოცილი ადამიანების ხსოვნის შენარჩუნებას და მათი საფლავების გადარჩენას", — ამბობს ლონდონელი ისტორიკოსი საიმონ მონტეფიორე, ავტორი წიგნისა „ახალგაზრდა სტალინი". — „სად არიან ისინი?"** რა არაფრისმთქმელი და არაფრისმომცემია ზღაპარი, რომელსაც ეს მოსყიდული ადამიანები ყვებიან, და რომლებისთვისაც ესოდენ „დატვირთულ" „ვაშინგტონ პოსტს" მოუცლია. ისე, რა უცნაური დამთხვევაა — ადამიანს, რომელიც ყველასთვის მიუღებლია, ქართულად ხვადაგი გქვია (იმერეთში რქიან საქონელს ეძახიან). ახალგაზრდობაში ერთი თანამშრომელი ქალი მყავდა, ძალიან სათნო და შრომისმოყვარე, მაგრამ იშვიათად ვეძახდი ხოლმე კაბინეტში, რადგან მისი გვარი არ მომწონდა. ერთხელ გავრისკე და ვკითხე — ნუთუ არ გეუხერხულება, გვარად ბერბიჭაშვილი რომ ხარ-მეთქი? მიპასუხა: ოჯახი მახინჯის გარეშე არ არსებობსო (Семья без уродов не бывает). ეს ხვადაგი ხვადაგიანი ჯანდაბას, მაგრამ მიკვირს თავის შთამომავლობას რას ერჩის, რომ არაფერი ვთქვათ დალაქიშვილზე, რომელიც სტალინის მიმართ პოლიტიკურად **ანასტას მიქოიანის** მიმდევარია. **ამაზრზენია ჩემი მუზეუმის პანორამისა და მისი ინტერიერის ყურება გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" ფურცლებზე. ფოტორეპორტიორმა რატომღაც ვერ დაინახა 4X3 მ ზომის ბანერზე გამოსახული ფოტო, რომელზეც აღბეჭდილი არიან სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი (თავიანთი ქვეყნების დროშებით). ეს ფოტო ამაყად დაჰყურებს ჩემი მუზეუმის ეზოს. სურათი ამოღებულია პოტსდამის კონფერენციის მასალებიდან. გადაიღეს ჩერჩილის თხოვნით — „ჩემი პოლიტიკური ავტობიოგრაფიისათვის"-ო. სურათში მუზეუმს თავზე გადმოჰყურებს უსახური საცხოვრებელი სახლები. ფოტორეპორტიორი თითქოს მკითხველს ეუბნება: როგორი კარგი სახლებია ჩვენთან, ამერიკაში, და ხედავთ, იმ ჯოჯოხეთში ვის სცემენ პატივს და ვის სადღეგრძელოს სვამენ?!** წერილში გადმოცემულია უწიგნური კოლაბორაციონისტების აზრები, **რომლებსაც „რცხვენიათ, როცა საქართველოში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი სტალინის სახელობის ქუჩები".** ნიურნბერგის პროცესზე **ჰერმან გერინგმა** ასეთი კითხვით მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს: **„რატომ ჩემ გვერდით არ ზის და არ ასამართლებთ ამერიკის პრეზიდენტ ტრუმენს, განა მან ნაკლები ბოროტება ჩაიდინა კაცობრიობის წინაშე, ვიდრე მე?! ტრუმენმა დამარცხებული იაპონიის სრულიად უდანაშაულო ხიროსიმისა და ნაგასაკის მოსახლეობას ატომური ბომბები დაუშინა".** გერინგმა, ამასთანავე, ბრალდებებიც წაუყენა ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **ჩერჩილს.** არც ერთი სიტყვა განსასჯელთაგან სტალინის საწინააღმდეგოდ არ წარმოთქმულა. რუზველტი და ჩერჩილი წინააღმდეგნი იყვნენ სასამართლოს გამართვის, რადგან იცოდნენ, რომ პროცესზე ბევრი ბრალდება მათ მიმართაც ითქმებოდა. აი, ეს არის დასავლური „დემოკრატია" და სტალინური „დესპოტიზმი". ცნობილი ამერიკელი მწერალი და მკვლევარი, **გროვერ ფერი,** თავის გამოკვლევაში „ანტისტალინური სისაძაგლე" წერს: **„მე ძალიან დამაინტერესა ხრუშჩოვის მოხსენებამ XX ყრილობაზე და გადავწყვიტე, ძირფესვიანად შემესწავლა 1937 წელი. აღნიშნულის შესახებ მივწერე მოსკოვს, რომ დავეშვი საარქივო მასალების შესასწავლად. მოსკოვმა თანხმობა განმიცხადა. ჩავედი მოსკოვში და დავიწყე მუშაობა. 10 წლის განმავლობაში ვსწავლობდი 1937 წელს. ბოლოს მივედი დასკვნამდე და დავწერე — ხრუშჩოვმა XX ყრილობაზე სტალინს 61 მძიმე ბრალდება წაუყენა, რომლებიც ამ ათი წლის განმავლობაში თითოეული, ცალცალკე, დეტალურად შევისწავლე. ვამტკიცებ: XX ყრილობის მოხსენებაში ხრუშჩოვის მიერ სტალინის მიმართ წაყენებულ ბრალდებებიდან არც ერთი სწორი არ არის. ვიმეორებ: არც ერთი!"**

აქვე წარმოგიდგენთ მეორე ამერიკელი მეცნიერის, **ალექს დე იონგის,** შეფასებას: **„ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, არ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა. ის გენიალური პიროვნებაა კიდევ იმიტომ, რომ მეორე მსოფლიო ომში მოახერხა, მოკავშირეებად ექცია ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგებიც... დიდ შეცდომას უშვებენ მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ პოლიტიკის აგება პირად ურთიერთობებზე შეიძლება. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაიცნობდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად გაიხდიდა. სტალინმა კი შეძლო, აეძულებინა როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი ევლოთ მის მიერ დასახული გზით. ამდენად, სტალინის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა".**

*** ჰენრი კისინჯერი,** აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973-1977წწ.: **„სტალინის სიტყვებიდან გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერთგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი, აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ — საფრანგეთი XVII საუკუნეში".**

*** ავერელ ჰარიმანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1943-1946 წლებში:**

„ისინი, ვინც სტალინს პირადად არ იცნობდა, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მინახავს — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი, მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რომლის გამოჩენის უნარიც ჰქონდა. ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უფრო იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი, და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე ჩერჩილი. ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო".

*** ჰენრი არნოლდი, ამერიკელი გენერალი:**

„სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათ თავისებურებებს, შეიარაღებისა და ჯავშნის დეტალებს უფრო უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენი საჰაერო ძალების ბევრი ოფიცერი. სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის, შეუბრალებელი, დიდი ლიდერი".

*** ფრანკლინ დელანო რუზველტი, აშშ-ის პრეზიდენტი 1933-1945 წლებში:**

„მასთან მუშობა დიდი სიამოვნებაა. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და ამ საკითხიდან აქეთ და იქით არ იხრება...მომავლისა და აწმყოს საკითხების განსახილველად".

*** უინსტონ ჩერჩილი, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1940-1945 და 1951 - 1955 წლებში:**

„მე კრემლში შევხვდი დიდ რევოლუციონერ ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს....მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც, მხოლოდ რუსეთს კი არა, მსოფლიოს გადაუარა".

*** შარლ დე გოლი, საფრანგეთის პრეზიდენტი 1959-1969 წლებში:**

„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მხოლოდ რუსეთში. მას ძალუძდა, ესწავლებინა თავისი მტრებისთვის, გამარჯვებებით არ ენეტარათ, გამარჯვება კი მას დამარცხებაზე გაცილებით მეტი ჰქონდა. სტალინური რუსეთი მონარქიასთან ერთად დაღუპული რუსეთი არ არის, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია".

**„ვაშინგტონ პოსტის" მესვეურნო, შეისმინეთ თქვენი დიდი წინაპრების შეგონებანი!**

**„ვაშინგტონ პოსტს":**

**„გაზეთი ქადაგებაა**
**და ქადაგება — გაზეთი.**
**თუ ნიადაგი არა აქვს,**
**ჩალად არა ღირს არც ერთი".**

**ვაჟა-ფშაველა**

**P.S. მე, ჩემი მხრივ, დავძენ: „ვაშინგტონ პოსტი" კარგია, მაგრამ არა როგორც გაზეთი, არამედ...**

**გრიგოლ ონიანი**




# ყურადღება!

„ბიბლუსის" მაღაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის" მე-6 ტომი, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

საერთაშორისო ფორუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პუტინის ნათქვამი დაადასტურა სებასტიან კურცმა: „ავსტრიას სურდა „სპუტნიკ V“-ის შესყიდვა, მას საიმედო პრეპარატად მიიჩნევს, მაგრამ ევროპის მარეგულირებლები ჯერჯერობით ნებას არ გვრთავენ. არადა, სიამოვნებით გამოვიყენებდით ამ ვაქცინას“, — აღიარა ავსტრიის კანცლერმა.**

# «ჩვენ რა, ყველა კმაყოფაზე უნდა გვყავდეს?»

## პუტინის გამოსვლა პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე

**პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმზე (პსეფ-2021), რომელიც 2-5 ივნისს გაიმართა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, რომლებიც უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას განსაზღვრავს.**



2021 წლის ფორუმი ერთ-ერთი მასშტაბური ღონისძიება იყო პანდემიის დაწყების მომენტიდან. ფორუმზე როგორც პირდაპირ, ისე ვიდეოკონფერენციის რეჟიმში მიწვეულნი იყვნენ უცხო ქვეყნების სახელმწიფო მეთაურები, რუსეთისა და საერთაშორისო დიდი კომპანიებისა და ბანკების ხელმძღვანელები, წამყვანი პოლიტიკოსები და ექსპერტები.

პლენარულ სხდომაში ვიდეოკავშირით მონაწილეობდა ავსტრიის კანცლერი **სებასტიან კურცი** და ყატარის სახელმწიფოს ამირა **თამიმ ბენ ჰამად ალ ტანი.** დამსწრეებს ვიდეოსალმით მიმართეს არგენტინისა და ბრაზილიის პრეზიდენტებმა — **ალბერტო ფერნანდესმა** და **ჟაირ ბოლსონურუმ.**

### „სპუტნიკი“, რომელიც ევროპაში არ შეუშვეს

სხდომა **ვლადიმერ პუტინმა** გახსნა. მან, პირველ რიგში, ილაპარაკა მსოფლიო ეკონომიკის არათანაბარ აღდგენაზე. აღნიშნა, რომ ამის თვალსაჩინო მაგალითია პანდემიასთან ბრძოლა. ვაქცინებზე ხელი მიუწვდებათ დიდშემოსავლიან ქვეყნებს, რომლებზეც მოდის კაცობრიობის მხოლოდ 16%, დანარჩენებს — არა.

ამასთანავე, მოქმედებს პოლიტიკური მოტივებით აკრძალვები შემოწმებული, საიმედო ვაქცინების შესყიდვაზე“, — დარწმუნებულია პუტინი. დასავლური მასმედიის სათაურებს კი, ისეთს, როგორიც არის „ვაქცინა რუსეთის იარაღია“, ის მარტივად ხსნის: ეს არის ბრძოლა ფულისთვის, ადამიანების საზარალოდ.

**პუტინის ნათქვამი დაადასტურა სებასტიან კურცმა. „ავსტრიას სურდა „სპუტნიკ V“-ის შესყიდვა, მას საიმედო პრეპარატად მიიჩნევს, მაგრამ ევროპის მარეგულირებლები ჯერჯერობით ნებას არ გვრთავენ. არადა, სიამოვნებით გამოვიყენებდით ამ ვაქცინას“, — აღიარა ავსტრიის კანცლერმა.**

აცრა ნებაყოფლობითი და უფასოა რუსეთის ყველა მოქალაქისთვის. რუსეთის პრეზიდენტმა მთავრობას შესთავაზა, ჩაუტარდეს ვაქცინაცია უცხოელებსაც, მაგრამ ეს უნდა იყოს ფასიანი. შრომით მიგრანტებსაც უნდა ჰქონდეთ ამის უფლება. პუტინმა პირველად დააკონკრეტა: თვითონ „სპუტნიკ V“-ით აიცრა, მაგრამ თანამემამულეების დარწმუნება რთულია.

„უხალისოდ მიდიან ვაქცინაციაზე“, — განაცხადა ფორუმის წამყვანმა სტანისლავ ნათანზონმა. „ჩვენთან გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინითაც კი ყველა არ იცრება, — გამოეხმაურა ფორუმის წამყვანს პუტინი, — მაგრამ არავის ვაიძულებთ. ბევრ ქვეყანაში, მათ, ვინც ვაქცინა გაიკეთა, ლუდს სთავაზობენ“.

### „ფიქრობთ, ყველა უნდა გამოვკვებოთ? ჩვენ რა, ასეთი ვალდებულება გვაქვს?“

**„მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ დღეს, ორსაათნახევრის წინათ, წარმატებით დასრულდა მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პირველი ხაზის მილების ჩაწყობა, — განაცხადა პუტინმა, — სახაზო სამუშაოები, მათ შორის საზღვაო უბნის, დასრულებულია. „გაზპრომი“ მზად არის, ბუნებრივი აირის მისაწოდებლად. 1,5-2 თვის შემდეგ მეორე ხაზიც დასრულდება“.**

„ბუნებრივი აირი, რომელიც ამ მილსადენში გაივლის, ყველაზე სუფთაა მსოფლიოში, რადგან მისი ამოქაჩვა ხდება პირდაპირ მიწისქვეშეთიდან, პლასტის ჰიდროგახლეჩა კი აირის მოპოვების კატასტროფული მეთოდია, — დასძინა პუტინმა, — იქ ასობით ტონა ქიმიკატია, გარემოს პირდაპირ დამაზიანებელი“.

**„ავსტრიას, ისევე, როგორც სრულიად ევროპას, კიდევ დიდხანს დასჭირდება რუსული საწვავი“,** — განაცხადა კურცმა.

**„და პროექტი აუცილებლად უნდა განხორციელდეს, თუ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია გეგმავს მეგობრული ურთიერთობის აწყობას ევროპასთან“, — დასძინა პუტინმა. რაც შეეხება უკრაინასა და მის ტრანზიტს, „თქვენ ფიქრობთ, რომ ჩვენ ყველა უნდა გამოვკვებოთ? ჩვენ რა, ასეთი ვალდებულება გვაქვს?“**

„ჩრდილოეთის ნაკადი-2“ წმინდა ეკონომიკური პროექტია, მარშრუტი რუსეთიდან გერმანიაში უფრო მოკლეა და იაფი, ვიდრე უკრაინისა და სლოვაკეთის გავლით.

„არის შესაძლებლობა, მომავალშიც დაიტვირთოს უკრაინის ბუნებრივი აირის სატრანსპორტო სისტემა, ტრანზიტზე ჩვენი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგაც კი. ყველაფერი შეიძლება, ჩვენ მზად ვართ ამისთვის და გვსურს, მაგრამ ჩვენი უკრაინელი პარტნიორების მხრიდან საჭიროა კეთილი ნების გამოვლენა არა იმისთვის, რომ ფული აიღონ, არა იმისთვის, რომ არმია შეინახონ და მერე მიმართონ დონბასის პრობლემის ძალისმიერი მეთოდით გადასაჭრელად, არამედ იმისთვის, რომ აალორძინონ ეკონომიკა, ადამიანებთან იმუშაონ“, — განმარტა რუსეთის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ **„რთული ურთიერთობა გვაქვს უკრაინის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ვფიქრობთ იმაზე, როგორ ცხოვრობს იქ ხალხი? „ნორმალური ურთიერთობა რომ გვქონდეს, ახლა ჩვენთან, ქვეყნის შიგნით, მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის ფასი 63 დოლარია ათას კუბ. მეტრზე, ხოლო უკრაინაში რამდენია? გუშინ ფასი ჰაბზე 330 დოლარი იყო ათას კუბ. მეტრე, პლუს ტრანსპორტირება. ბელარუსი 3-ჯერ ნაკლებს იხდის ჩვენს ბუნებრივ აირში“.**

**«რთული ურთიერთობა გვაქვს უკრაინის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, როგორ ცხოვრობს იქ ხალხი? ნორმალური ურთიერთობა რომ გვქონდეს, ახლა ჩვენთან, ქვეყნის შიგნით, მოსახლეობისთვის ბუნებრივი აირის ფასი 63 დოლარია ათას კუბ. მეტრზე, ხოლო უკრაინაში რამდენია? გუშინ ფასი ჰაბზე 330 დოლარი იყო ათას კუბ. მეტრე, პლუს ტრანსპორტირება. ბელარუსი 3-ჯერ ნაკლებს იხდის ჩვენს ბუნებრივ აირში»**




### ახალი ეპოქის ეკონომიკა

ვლადიმერ პუტინმა ოპტიმიზმით ილაპარაკა რუსეთის ეკონომიკაზე — კრიზისამდელ დონეს უახლოვდება. „დიახ, არის პრობლემები, უმუშევრობის დონემ მოიმატა და მოქალაქეების რეალური შემოსავლებიც შემცირდა. ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ ისეთი არაფერი მომხდარა, რასაც კატასტროფას ვუწოდებდით და, რაც, პრინციპში, შესაძლებელი იყო. ჩვენ ეს ყველაფერი თავიდან ავიცილეთ.

გაისმა კონკრეტული წინადადებები: გაგრძელდეს შეღავათიანი იპოთეკა 2022 წლის 1 ივლისამდე ყველა რეგიონისთვის, მაგრამ 7 პროცენტი გავრცელდეს იმ ბავშვიანი ოჯახებისთვის, რომლებსაც შვილი გაუჩნდათ 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ, პლუს — სწრაფი გადახდების სისტემაში ერთი წლის განმავლობაში ჩაგვერთო უდიდესი ბანკები. 2 მლრდ-მდე შემოსავლის მქონე საზკვების კომპანიები შემდეგი წლიდან გათავისუფლდებიან დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. შემოდგომაზე გაუქმდება თითქმის 4 ათასი სამშენებლო ნორმა და წესი.

საუბრები იმაზე, რომ რუსეთი თითქოს დაინტერესებული არ არის გლობალური დათბობის პრობლემების გადაწყვეტაში, არის „სისულელე, მითი“. „ჩვენ არქტიკაში ქალაქები გვაქვს აშენებული, მუდმივ გამყინვარებაში და, თუ ყველაფერი დნობას დაიწყებს, რა შედეგებს მოიტანს ▶

საერთაშორისო ფორუმი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ დღეს წარმატებით დასრულდა მილსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის პირველი ხაზის მილების ჩაწყობა, — განაცხადა პუტინმა. — სახაზო სამუშაოები, მათ შორის საზღვაო უბნის, დასრულებულია. „გაზპრომი“ მზად არის ბუნებრივი აირის მისაწოდებლად. 1,5-2 თვის შემდეგ მეორე ხაზიც დასრულდება“.

**პუტინმა ყველას შეახსენა, რომ რუსეთზე მოდის პლანეტის ტყის რესურსის მეხუთედი. ამჟამად ეს რესურსი, სპეციალისტების შეფასებით, მილიარდობით ტონა ნახშირჟანგს შთანთქავს. პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტს დაავალა, შეიმუშაოს მოქმედების დეტალური გეგმა მავნე აირის გამოყოფის შესამცირებლად — იმაზე უფრო დაბალი დონის მისაღწევად, ვიდრე ევროპაშია. ამასთანავე, რუსეთი განაგრძობს მუშაობას ნახშირბადის მოპოვებისას მავნე აირების გამოყოფის შესამცირებლად**

◀ რუსეთისთვის? რა თქმა უნდა, ჩვენ ამით შეწუხებული ვართ. სხვათა შორის, 2019 წელს გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთის ეკონომიკა არქტიკაში ყინულების დნობის გამო ყოველწლიურად 150 მლრდ დოლარს კარგავს.

ამასთანავე, მოსკოვი თანამიმდევრულად უჭერს მხარს გაეროს ჩარჩო კონვენციას კლიმატის ცვლილებების შესახებ, კიოტოს პროტოკოლსა და პარიზის შეთანხმებას და მოუწოდებს, უარი თქვან პოლიტიკურ უთანხმოებაზე, „ნახშირბადოვანი ნეიტრალურობა არ გადააქციონ უპატიოსნო პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად“. **პუტინმა ყველას შეახსენა, რომ რუსეთზე მოდის პლანეტის ტყის რესურსის მეხუთედი. ამჟამად ეს რესურსი, სპეციალისტების შეფასებით, მილიარდობით ტონა ნახშირჟანგს შთანთქავს. პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტს დაავალა, შეიმუშაოს მოქმედების დეტალური გეგმა მავნე აირის გამოყოფის შესამცირებლად — იმაზე უფრო დაბალი დონის მისაღწევად, ვიდრე ევროპაშია. ამასთანავე, რუსეთი განაგრძობს მუშაობას ნახშირბადის მოპოვებისას მავნე აირების გამოყოფის შესამცირებლად.**

### „ადამიანებზე ეკონომიას არ ვაკეთებთ. ეკონომიკა ადამიანების შემოსავლებთან ერთად უნდა იზრდებოდეს“

რუსეთის პრეზიდენტმა გააკრიტიკა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტრადიციული (ე.ი., ლიბერალური) მეთოდები. პუტინმა მათ ეკონომიკური კრიზისის დასაძლევი არაეფექტიანი მეთოდები უწოდა. **სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა საბიუჯეტო ხარჯების მომატების მართებულობა, რომლის წყალობით ქვეყნის ეკონომიკა არა მხოლოდ მინიმალური დანაკარგებით (მინუს 3%, ნაცვლად ნავარაუდევი — 8%-ისა) გამოვიდა, არამედ კრიზისამდელ დონეს მიუახლოვდა.**

პუტინის სხვა განცხადებები, აგრეთვე, მიმართული იყო სახელმწიფოს მაკოორდინებელი როლის გაძლიერებისკენ ეკონომიკისა და სოციალურ სფეროებში. მაგალითად, პრეზიდენტმა დაადასტურა რეგიონებისთვის 500 მლრდ რუბლის ინფრასტრუქტურული კრედიტების გამოყოფობა 2023 წლის ჩათვლით. სახელმწიფო ზრუნავს სამშენებლო ინფრასტრუქტურის სწრაფად გაზრდაზე და ეს სწორი ნაბიჯია, რადგან, სახელდობრ, ინფრასტრუქტურა არის ეკონომიკის ყველა დარგის განვითარების გენერატორი. ამასთანავე, მსხვილ ბიზნესთან დამოკიდებულებაში იგულისხმება სახელმწიფოს მაკოორდინებელი როლი, მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ კი პირიქითაა, მათ მოქმედების მაქსიმალურად შესაძლო თავისუფლება ეძლევათ.

### დოლარი ჯერჯერობით ზედმეტი არ არის

პლენარული სხდომის წამყვანმა სტუმრებს შესთავაზა, დოლარის როლზე ემსჯელათ, **რატომ იხდის ავსტრია რუსულ ბუნებრივ აირში ამერიკულ დოლარებს.**

„ყველაფერი მარტივია: ჩვენთან საერთაშორისო სისტემა მოქმედებს და საბაზრო ფასებს დოლარებში ანგარიშობენ“, — არ გაართულა პასუხი სებასტიან კურცმა. მას არ გამოუმჟღავნებია ინტერესი ამერიკული ფულადი ერთეულის კრიტიკის მიმართ: მისი ქვეყნისთვის ეს საკითხი სულაც არ არის პრიორიტეტული, უფრო მნიშვნელოვანი ენერგეტიკაა, „ჩვენთვის ეს არის ეკონომიკა და არა გეოპოლიტიკა“, — აღნიშნა ავსტრიის კანცლერმა და რამდენჯიმეერ გაუსვა ხაზი, რომ ავსტრია პატარა სახელმწიფოა.

პუტინი დაეთანხმა: მნიშვნელოვანია სტაბილურობა, საიმედოობა და არა ვალუტა. ამასთანავე, დოლარზე უფრო მიბმულია ნავთობი, როგორც საქონელი, და არა ბუნებრივი აირი. მენავთობეების უარი დოლარს, როგორც სარეზერვო ვალუტას, ძლიერად დაარტყამს, მაგრამ ამაზე ჯერ არ ლაპარაკობენ.

შეიძლება თუ არა ინვესტიციების მოზიდვა იმ ქვეყნებიდან, რომლებსაც რუსეთი არამეგობრულ ქვეყნებად მიიჩნევს (სიაში არიან აშშ და ჩეხეთი)? პუტინი დარწმუნებულია — კი, ოღონდ იმ კომპანიებიდან, რომლებიც რუსეთის მიმართ მტრულად განწყობილნი არ არიან.

**დასავლეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობის განუწყვეტელი ესკალაცია ავსტრიის კანცლერის წუხილს იწვევს: „მე ეს მაწუხებს, ნეგატიური ფაქტორია, კარგისკენ არაფერი იცვლება“, ამიტომ ავსტრია ინტერესით ელოდება ვლადიმერ პუტინისა და ჯო ბაიდენის შეხვედრას.**

„აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობა გარკვეულწილად აშშ-ის შიდაპოლიტიკური პროცესების ტყვეობაში აღმოჩნდა“, — დასძინა, თავის მხრივ, პუტინმა. რუსეთის პრეზიდენტმა მიუთითა, რომ ფუნდამენტური ინტერესები უსაფრთხოებასა და სტრატეგიული სტაბილურობის სფეროებში მსოფლიოსთვის საშიში შეიარაღების შემცირება გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აშშ-ის შიდაპოლიტიკური კონიუნქტურა და გამოთქვა იმედი, რომ თეთრი სახლის სანქციების პოლიტიკა ოდესმე დასრულდება.



**საუბრები იმაზე, რომ რუსეთი თითქოს დაინტერესებული არ არის გლობალური დათბობის პრობლემების გადაწყვეტით, არის «სისულელე, მითი». «ჩვენ არქტიკაში ქალაქები გვაქვს აშენებული, მუდმივ გამყინვარებაში და, თუ ყველაფერი დნობას დაიწყებს, რა შედეგებს მოიტანს რუსეთისთვის? რა თქმა უნდა, ჩვენ ამით შეწუხებული ვართ. სხვათა შორის, 2019 წელს გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთის ეკონომიკა არქტიკაში ყინულების დნობის გამო ყოველწლიურად 150 მლრდ დოლარს კარგავს»**



### წყალბადი ახალი ნავთობია?

რუსეთის პრეზიდენტმა ბევრი ილაპარაკა „მწვანე“ დღის წესრიგზე. უახლოეს წლებში მსოფლიო ვაჭრობაში გაჩნდება კიდევ ერთი პუნქტი: **ვაჭრობა ნახშირბადოვანი კვოტებით.**

მათი არსი არის ის, რომ **სახელმწიფოებს ან კერძო პირებს, რომლებსაც აქვთ ნახშირბადის მშთანთქმელი რესურსები, შეეძლებათ, გაყიდონ მსგავსი ერთეულები ღია, მათ შორის, საერთაშორისო ბაზრებზე. რუსეთი კი, რომელიც პლანეტის ტყეების 20%-ის მფლობელია, ამ ახალი ტენდენციიდან მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებს. ნახშირბადოვანი კვოტების ექსპორტი რუსეთს ყოველწლიურად 50 მლრდ დოლარს მოუტანს.** ეს შემოსავალი მთლიანად აანაზღაურებს ნავთობისა და ბუნებრივი აირის გაყიდვის შემცირებას. ბუნებრივია, რომ რუსეთმა ამ ეტაპზე აქტიურად უნდა განავითაროს აღნიშნული სფერო.

სხდომის დასასრულ, პუტინმა უპასუხა კითხვას სოციალურ ქსელში მისი ბლოკირების შესახებ: **„მიმიფურთხებია იმისთვის, ვინ და რატომ დამბლოკავს სოციალურ ქსელში. ჩემთვის მთავარი სხვა რამეა — რუსი ხალხის ნდობა იმ ხარისხით, რომელშიც ახლა ვიმყოფები“.** დამსწრეთ ეს პასუხი ძალიან მოეწონათ და რუსეთის პრეზიდენტი ხანგრძლივი ოვაციებით დააჯილდოვეს.

„წელს პუტინის გამოსვლა პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმზე განსხვავდებოდა იმით, რომ პრეზიდენტმა კონკრეტულ საკითხზე ილაპარაკა და არ დაუწყია მსჯელობა „გლობალურსა და მუდმივზე“. ეს მიუთითებს იმაზე, რომ რუსეთის ხელისუფლება მუშაობს კონკრეტულ წინადადებებზე, რომლებიც მიმართული იქნება რუსეთის ეკონომიკის ზრდასა და მოქალაქეების კეთილდღეობაზე.

**Ria.ru-ზე, kremlin.ru-სა და tsargrad.tv-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი ბაჩეჩილაძე**

**„არის შესაძლებლობა, მომავალშიც დაიტვირთოს უკრაინის ბუნებრივი აირის სატრანსპორტო სისტემა, ტრანზიტზე ჩვენი კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგაც კი. ყველაფერი შეიძლება, ჩვენ მზად ვართ ამისთვის და გვსურს, მაგრამ ჩვენი უკრაინელი პარტნიორების მხრიდან საჭიროა კეთილი ნების გამოვლენა არა იმისთვის, რომ ფული აიღონ არა იმისთვის, რომ არმია შეინახონ და მერე მიმართონ დონბასის პრობლემის ძალისმიერი მეთოდით გადასაჭრელად, არამედ იმისთვის, რომ აალორძინონ ეკონომიკა, ადამიანებთან იმუშაონ“**

პასუხი კითხვებზე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა — ეს ის წითელი ხაზია, რომლის გადაკვეთის უფლებას რუსეთი არც საკუთარ თავს აძლევს და არც სხვას მისცემს — სახელდობრ, ეს არის გაუგებარი ამერიკისა და ევროპის პოლიტიკოსებისა და იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მათ ემსახურებიან.**

# «ეს, უბრალოდ, ბოდვაა!»

## ვლადიმერ პუტინმა დასავლელი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა

**რუსეთის პრეზიდენტმა პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის მიმდინარეობისას რუსი და უცხოელი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა და ნატოს გენერალური მდივნის ნათქვამსაც გამოეხმაურა კომპანია Ryanairi-ის თვითმფრინავის მინსკის აეროპორტში იძულებით დაშვებაზე.**

### ამერიკის შეერთებულ შტატებზე

„ჩვენ არანაირი უთანხმოება არ გვაქვს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ეს ამერიკელებს სურთ, შეაჩერონ ჩვენი განვითარება, ამაზე საჯაროდ ლაპარაკობენ; მათ სურთ, გავლენა იქონიონ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე ჩვენს ქვეყანაში იმ ძალებზე დაყრდნობით, რომლებსაც „თავისიანად" მიიჩნევენ", — განაცხადა **ვლადიმერ პუტინმა.** ე.ი., მტრობის არანაირი საფუძველი არ არსებობს, უფრო მეტიც, რუსეთს მტრობა არ სურს, მაგრამ ამერიკის ზესახელმწიფო შეუპოვრად ცდილობს რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევას და სწორედ აქ გადის წითელი ხაზი, რადგან ამას რუსეთი არ დაუშვებს. **წავიდა ის დრო, როდესაც რუსეთს ასწავლიდნენ, როგორ ეცხოვრა.**

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელებთან საუბრისას პუტინმა განაჩენი გამოუტანა აშშ-ს: **„თავდაჯერებული მანერით, მტკიცე ნაბიჯით მიდიან საბჭოთა კავშირის გზაზე, ანუ დაღუპვისკენ. და ეს იმიტომ, რომ პატივს არ სცემენ რუსეთს".**

თუ აზიის ქვეყნების საინფორმაციო სააგენტოების ხელმძღვანელები ვლადიმერ პუტინს მიმართავდნენ, როგორც ზესახელმწიფოს ლიდერს, რომელზეც დამოკიდებულია ბევრი პრობლემის მოგვარება რეგიონში, „დასავლელი პარტნიორები" რუსეთის პრეზიდენტთან მივიდნენ იმ განზრახვით, რომ გამოეთქვათ ბრალდებები რუსეთის მიმართ: **დემოკრატია არასაკმარისია, უცხოელ აგენტებს ჩაგრავენ, დამოუკიდებელ მედიას მუშაობის საშუალებას არ აძლევენ და, მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთი ბელარუსს უჭერს მხარს.**

### „უცხოელი აგენტები ჩვენ არ მოგვიგონებია"

რა თქმა უნდა, დასავლელ ჟურნალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ თავიანთი აუდიტორიისა და სპონსორების თვალში გამოჩნდებოდნენ ძალიან „გაბედულად" და „დამოუკიდებლად", მაგრამ ვლადიმერ პუტინის შეცბუნება არ გამოუვიდათ. პირიქით — რუსეთის პრეზიდენტმა მშვიდად, მტკიცედ და აფორიზმებით ჩამოაყალიბა რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპები და, ამასთანავე, განაჩენი გამოუტანა აშშ-ს.

არსობრივად, დასავლურ მასმედიასთან საუბარი იყო მხოლოდ ერთ თემაზე: **ორმაგ სტანდარტებზე. იმაზე, რომ რუსეთს ადანაშაულებენ, სახელდობრ, იმაში, რასაც დასავლეთი აკეთებს თავისი მოქალაქეების მიმართ თავის ტერიტორიაზე.** ავიღოთ თუნდაც დამოკიდებულება არასისტემური ოპოზიციის მიმართ.

„ამბობთ, რომ რუსეთში ოპოზიციას სახელმწიფო ავიწროებს, მაგრამ საპროტესტო აქციის მონაწილეები აშშ-ში კონგრესის შენობაში შეიჭრნენ და ახლა მათ ადანაშაულებენ შეთქმულებაში ხელისუფლების მიტაცების მიზნით, მათ 15-წლიანი ან სამუდამო პატიმრობა ემუქრებათ, თუმცა ოპოზიციის უფლებების შებღალვაში მხოლოდ რუსეთს ადანაშაულებენ".

აი ავსტრიელი ჟურნალისტი უკმაყოფილოა ბელარუსის პრეზიდენტის, **ალექსანდრე ლუკაშენკოს,** საქციელით. ავსტრიელ ჟურნალისტს პუტინმა ჰკითხა, თუ რას ფიქრობს ვენის აეროპორტში ბოლივიის პრეზიდენტის, **ივო მორალესის,** თვითმფრინავის იძულებით დაფრენის შესახებ. „დამოკიდებული **ქვეყნის პრეზიდენტის თვითმფრინავის",** — ხაზი გაუსვა ვლადიმერ პუტინმა, რომლისთვისაც, როგორც თვითონ აღნიშნა, დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი უზენაესი ფასეულობაა პოლიტიკაში.

„ან ავიღოთ, მაგალითად, მედიასაშუალებებისა და ორგანიზაციების რეგისტრაცია — „უცხოური აგენტების". ეს რა, ჩვენ მოვიგონეთ?" — დასვა კითხვა პუტინმა.

**„არა, ჩვენ მხოლოდ გადმოვიღეთ დასავლური გამოცდილება, თანაც მხოლოდ ერთი მიზნით — რაც შეიძლება ნაკლებად ჩაერიონ ჩვენს საქმეებში. ჩვენ განსაკუთრებული არაფერი გვინდა — მხოლოდ ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევის მინიმიზება. დასავლეთი კი, თავის მხრივ, მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ცდილობს, ჩვენს საქმეებში ჩაერიოს".**

### წითელი ხაზი და იმპერიის ბედი

სუვერენიტეტი, დამოუკიდებლბა — ეს ის წითელი ხაზია, რომლის გადაკვეთის უფლებას რუსეთი არც საკუთარ თავს აძლევს და არც სხვას მისცემს — და, სახელდობრ, ეს არის გაუგებარი ამერიკისა და ევროპის პოლიტიკოსებისა და იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც მათ ემსახურებიან.

ამ ჟურნალისტების ამოცანა რუსეთის პრეზიდენტთან დიალოგისას იყო მისი „ანკესზე წამოგება, მისთვის წონასწორობის დაკარგვინება", ამოცანა შეუსრულებელია, ამაოდ ცდილობდნენ. ამიტომ, მაგალითად, **ბრიტანული საინფორმაციო სააგენტოს ხელმძღვანელმა მოიყვანა ბრიტანეთის დაზვერვის ახლახან დანიშნული შეფის ციტატა: „რუსეთი — ეს არის მაგალითი ზესახელმწიფოსი, რომელიც ჭკნება". და მიიღო პასუხი: „თუ რუსეთი დამჭკნარი სახელმწიფოა, მაშინ ამას რატომღა განიცდით? მშვიდად მოიქეცით და არ ჩაერიოთ ჩვენს საქმეებში".**

მაგრამ რუსეთის გავლენა ისეთია, რომ მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული მსოფლიოში, ახლა მსოფლიო შვეიცარიაში ვლადიმერ პუტინისა და **ჯო ბაიდენის** შეხვედრას ელოდება.

„ამ შეხვედრის შემდეგ უნდა ველოდოთ თუ არა გარღვევას ორი ქვეყნის ურთიერთობაში?" — ჰკითხეს რუსეთის პრეზიდენტს და მიიღეს სკეპტიკური პასუხი: **„გარღვევას არ უნდა ელოდოთ!"**

**„ჩვენ მართლაც გვაქვს საერთო ინტერესები, — აღნიშნა პუტინმა, — ბაიდენი გამოცდილი პოლიტიკოსია, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის მთავარი საკითხი: როგორ უნდა აიგოს ურთიერთობა რუსეთსა და აშშ-ს შორის. საჭიროა ერთმანეთს პატივისცემით მოვეკიდოთ და ერთმანეთის ინტერესები გავითვალისწინოთ",** მაგრამ ეს პრინციპი დაცული არ არის.

„ჩვენ არ მიგვიყვანია ურთიერთობა ამ მდგომარეობამდე. ჩვენ ვაწესებთ სანქციებს, თანაც უმიზეზოდ, უბრალოდ, იმისთვის, რომ რუსეთი არსებობს?"

სწორედ ამ მომენტში **ASSOCIATED PRESS-ის წარმომადგენლის კითხვის პასუხად პუტინმა თქვა:**

**„რუსეთი არის, იყო და იქნება, ამას უნდა შეეგუოთ!" და რა მოხდება, თუკი დასავლეთი არ შეეგუება? აქ გაისმა რუსეთის პრეზიდენტის მეორე უმნიშვნელოვანესი აზრი: „რა არის იმპერიების პრობლემა? ეჩვენებათ, ისეთი ძლევამოსილები არიან, რომ შეუძლიათ, თავს უფლება მისცენ, დაუშვან პატარ-პატარა შეცდომები და ცოდვები — ამით მოვისყიდით, მათ შევაშინებთ, სხვებს მოველაპარაკებით"... რა თქმა უნდა, ლაპარაკია აშშ-ზე, მის თავდაჯერებულ და თავხედურ საგარეო პოლიტიკაზე, რომელიც ოკეანისგაღმელ ზესახელმწიფოს დაღუპვისკენ მიაქანებს.** „თავდაჯერებული მანერით, მტკიცე ნაბიჯით მიდიან საბჭოთა კავშირის გზაზე"; „იმიტომ, რომ პრობლემებს არად აგდებენ, მტრები კი მრავლდებიან. რუსეთს, — თქვა პუტინმა, — არ სურს, ვინმეს მტერი იყოს. მას მხოლოდ ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობა სურს და იმის გაცნობიერება, რომ მის საშინაო საქმეებში ჩარევა ყველასთვის ცუდად დამთავრდება".




**«დასავლელი პარტნიორები ეშმაკობენ: ცდილობენ, მანამდე გააჭიანურონ რუსული ვაქცინის რეგისტრაცია ევროპაში, სანამ თვითონ არ გააჯერებენ ბაზარს. ჩვენ არ ვზარალობთ ამით, «სპუტნიკ V» უკვე შეისყიდა 66-მა ქვეყანამ, მაგრამ ეს მაგალითი კიდევ ერთხელ აჩვენებს, როგორ არის მოწყობილი დასავლეთის ეს ორმაგი სტანდარტები»**




### „თოხლოდ მოხარშული ჩექმები"

**ეს, უბრალოდ, ბოდვაა, „თოხლოდ მოხარშული ჩექმები" (რუსული გამოთქმაა უაზრობაზე, სისულელეზე" — ნ.კ.) — ასეთი იყო პასუხი გავრცელებულ ცნობაზე, რომ რუსეთი ვაქცინას იყენებს, როგორც გეოპოლიტიკურ იარაღს. „ეს ბოდვაა, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა, — რუსეთი ვაქცინის შემქმნელი ქვეყნებიდან ერთადერთია, რომელიც ასეთ რაღაცას ნამდვილად არ აკეთებს. ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც წარმოების ტექნოლოგიებს უზიარებს სხვებს (პეტერბურგის ეკონომიკური ფორუმის მიმდინარეობისას საზეიმოდ გაიხსნა „სპუტნიკ V"-ით ონლაინწარმოება არგენტინასა და სერბეთში). ჩვენი „დასავლელი პარტნიორები კი ეშმაკობენ: ცდილობენ, მანამდე გააჭიანურონ რუსული ვაქცინის რეგისტრაცია ევროპაში, სანამ თვითონ არ გააჯერებენ ბაზარს. ჩვენ არ ვზარალობთ ამით, „სპუტნიკ V" უკვე შეისყიდა 66-მა ქვეყანამ, მაგრამ ეს მაგალითი კიდევ ერთხელ აჩვენებს, როგორ არის მოწყობილი დასავლეთის ეს ორმაგი სტანდარტები", — განაცხადა პუტინმა.**

იაპონური გამოცემა „კიოდო ცუსინ"-ის ჟურნალისტის კითხვაზე „ჩრდილოეთის ტერიტორიების" შესახებ, პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი და იაპონია დაინტერესებულები არიან სამშვიდობო შეთანხმების გაფორმებით, მაგრამ **„რუსეთი არასოდეს დათანხმდება კურილიის 4-ვე კუნძულის გადაცემას იაპონიისთვის".**

პუტინი, აგრეთვე, გამოეხმაურა ნატოს გენერალური მდივნის, **იენს სტოლტენბერგის,** განცხადებას, რომ Rynair-ის თვითმფრინავის მინსკის აეროპორტშო იძულებით დაფრენაში რუსული სპეცსამსახურების ხელი ურევია. როგორც რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, მსგავსი დასკვნები მოწმობს, რომ „ადამიანები, უბრალოდ, ვერ ხვდებიან, რა პროცესები შეიძლება განვითარდეს".

„ეს ხომ სრულიად სხვაგვარად ხდება... აქ საერთაშორისო კოოპერაცია გამორიცხულია", — განაცხადა პუტინმა და დასძინა, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ამ ინციდენტში არ მონაწილეობდნენ.

**Tsargrad.tv-სა და ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**რუსეთ-ამერიკის ეფექტიანი თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ საერთო ურთიერთობის ნორმალიზაციის ჩარჩოში; ნორმალიზაციისა, რომელიც შეუძლებელია, სანამ მოსკოვი და ვაშინგტონი ვერ მოახერხებენ თავიანთი დღის წესრიგების სინქრონიზაციას კონკრეტულ საკითხებზე.**

ჩანდევე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 6 მთავარი უთანხმოება რუსეთსა და აშშ-ს შორის პუტინისა და ბაიდენის შეხვედრის წინ

**ვლადიმერ პუტინისა და ჯო ბაიდენის შეხვედრამდე (ეს შეხვედრა 16 ივნისს გაიმართება) ერთი კვირით ადრე „რუსეთისა და აშშ-ის დღის წესრიგები ერთმანეთს არ ემთხვევა“, — ამ ფრაზით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წარმოაჩინა მასშტაბი პრობლემებისა, რომელთა წინაშეც აღმოჩნდებიან ორი ზესახელმწიფოს ლიდერები მოლაპარაკებების მიმდინარეობისას. კონკრეტულად რით განსხვავდება მათი დღის წესრიგები, რას მოითხოვს ვაშინგტონი მოსკოვისგან და პირიქით — მოსკოვი ვაშინგტონისგან და რომელ საკითხებზე შეიძლება შეთანხმდნენ?**

როგორც ცნობილია, სახელმწიფო მეთაურების სამიტის წარმატებით დასასრულებლად საჭიროა სამი რამ: **ნდობის ატმოსფერო** (რომელიც განაპირობებს შეთანხმებას), დღის წესრიგისადმი **ერთიანი მიდგომა** (რაც შესაძლებლობას იძლევა იმის დასადგენად, რომელ საკითხებზე შეიძლება მოლაპარაკება), აგრეთვე, **პოლიტიკური ნება** სხვადასხვა რთული მომენტის დასაძლევად.

რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში ზემოაღნიშნული პირველი პუნქტი არ არსებობს და უახლოეს მომავალში არც იარსებებს; მესამე — კითხვის ნიშნის ქვეშაა. ექსპერტები იმედს ამყარებენ **მეორე პუნქტზე,** რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს ესმით, რაზე შეიძლება მოილაპარაკონ. დიახ, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე **სერგეი რიაბკოვმა** კი განაცხადა, რომ აშშ-ისა და რუსეთის დღის წესრიგები ერთმანეთს არ ემთხვევა“, მაგრამ იქვე დასძინა: **„ჩვენ ტრადიციულად მზად ვართ საკითხის ნებისმიერი კუთხით განსახილველად“,** ე.ი. რუსეთი მზად არის, იმსჯელოს პუნქტებზე და დააახლოვოს პოზიციები. „სამწუხაროდ, — აღნიშნა მინისტრმა, — შემხვედრი მზადყოფნა გაცილებით მცირე და იშვიათია“.

ასეა თუ არა ეს?

## ახლო საქმეები

**უკრაინა. მოსკოვისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში.**

რუსეთის პოზიცია საკმაოდ მოქნილია — კონფლიქტის გაყინვა, ესკალაციის შეწყვეტა, აშშ-ის ვალდებულება, შეზღუდოს უკრაინის ხელისუფლება და აუკრძალოს მას, დაემუქროს სახალხო რესპუბლიკებს ომით და აუხსნას კიევს, რომ შეუძლებელია „ნეზალეჟნაიას“ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრება. ეს არის პროგრამა-მინიმუმი. პროგრამა-მაქსიმუმია შეთანხმების პაკეტი ამერიკელებთან თამაშის წესების შემუშავებაზე უკრაინის სივრცეში, კიევის ერთობლივი იძულება მინსკის შეთანხმების შესასრულებლად.

მაგრამ **აშშ არც პროგრამა-მინიმუმზეა თანახმა და მით უმეტეს — არც პროგრამა-მაქსიმუმზე:** „უკრაინა სუვერენული სახელმწიფოა, მას აქვს უფლება, გააკეთოს ის, რაც სურს, და შევიდეს იქ, სადაც მოისურვებს“.

ფაქტობრივად კი, **აშშ უკრაინას განიხილავს, როგორც სიმსივნეს, რომელმაც უნდა წარმოქმნას არასტაბილურობის მეტასტაზები პერიფერიებზე, ე.ი., როგორც რუსეთის, ისე ევროპის ორგანიზმზე. და, რაც მეტია არასტაბილურობა, მით მეტია სარგებელი ამერიკელებისთვის.** ამ შემთხვევაში ვაშინგტონის პოზიცია ნაწილობრივ თანხვედრილია რუსეთის პოზიციასთან მხოლოდ ერთ პუნქტში — **აშშ-ს არ სჭირდება, რომ კიევმა პირდაპირი ომი დაიწყოს რუსეთთან (მაგალითად, შეიჭრას დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში ან ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკაში), რადგან ასეთ შემთხვევაში აშშ ორი ცუდი ვარიანტის ჩანგალზე აღმოჩნდება:** ის უნდა ჩაერიოს ამ ომში (ე.ი., ომი დაიწყოს რუსეთთან), ან განზე გადგეს და ამით დაკარგოს ნდობა სხვა მოკავშირეების თვალშიც.

**ევროპა.** რუსეთი, უკვე რამდენიმე წელია, ამერიკელებს ევროპის უსაფრთხოების განმტკიცების რეალურ ინსტრუმენტებს სთავაზობს, კერძოდ, ამ უსაფრთხოების ერთიანი სივრცის შექმნას, რომელშიც ჩართული იქნება რუსეთიც (კონცეფცია „ლისაბონიდან ვლადივოსტოკამდე“), სივრცის, რომელშიც დასავლეთი და მოსკოვი ითანამშრომლებენ და ერთად უზრუნველყოფენ დაცვას ნებისმიერი საგარეო საფრთხისგან.

რუსეთისთვის ევროკავშირი მნიშვნელოვანი მეზობელია, უდიდესი სავაჭრო პარტნიორი, აგრეთვე, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საკვანძო წყარო.

**მაგრამ აშშ რუსეთის თვალსაზრისს არ იზიარებს. ევროპის მიმართულებით მისი მთავარი ამოცანა რუსეთსა და ევროკავშირს შორის კონფლიქტის გაღრმავებაა, აგრეთვე, რუსეთისა და ევროკავშირის რომელიმე ერთობლივი პროექტის განხორციელებისთვის ხელის შეშლა, რადგან, რაც უფრო ახლოს იქნება რუსეთთან ევროპა, მით მეტი კითხვები გაუჩნდება ევროპულ ელიტას აშშ-სადმი ევროკავშირის ვასალური დამოკიდებულების მიზანშეწონილობაზე.**

## შორეული საქმეები

**ჩინეთი.** რუსეთს ესმის ამერიკელი პარტნიორების წუხილი ჩინეთის გაძლიერების გამო და მას თავის გადაწყვეტილებებს სთავაზობს. ეს გადაწყვეტილებები მარტივი და აშკარაა — **აშშ-მა და ჩინეთმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთის სუვერენიტეტს, არ დააბინძურონ გავლენების ექსკლუზიური სფეროები, არ გააჩაღონ ერთმანეთის მიმართ საინფორმაციო, ეკონომიკური და უფლებადამცველობითი ომები, ამის ნაცვლად ცივილიზებული კონკურენცია გასწიონ საერთაშორისო სამართლის ჩარჩოში, არ აიძულონ მოსკოვი, ერთ-ერთის მხარე დაიჭიროს, მეორის წინააღმდეგ.**



**აშშ-ს არ სჭირდება, რომ კიევმა ომი დაიწყოს რუსეთთან (მაგალითად, შეიჭრას დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში ან ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკაში), რადგან ასეთ შემთხვევაში აშშ ორი ცუდი ვარიანტის ჩანგალზე აღმოჩნდება: ის უნდა ჩაერიოს ამ ომში (ე.ი., ომი დაიწყოს რუსეთთან), ან განზე გადგეს და ამით დაკარგოს ნდობა სხვა მოკავშირეების თვალშიც**

ასეთი მიდგომა ამერიკელებს ხელს არ აძლევთ, მათთვის პროგრამა-მინიმუმი — ეს არის მოსკოვის უარი ნებისმიერ სტრატეგიულ პროექტში პეკინთან ერთად მონაწილეობაზე, პროგრამა-მაქსიმუმი კი აშშ-ის ანტიჩინურ გეგმაში რუსეთის ჩართვაა. ამასთანავე, რუსეთის მხრიდან ლოგიკურ კითხვაზე — „სანაცვლოდ რას მივიღებ?“ — იქნება ერთი პასუხი: „არ დაგიწესდებათ ახალი სანქციები, ყოველ შემთხვევაში, რაღაც დროის განმავლობაში მაინც“. და ეს არის უკიდურესად არაკონსტრუქციული პასუხი.

დაახლოებით ასეთივე სქემით იმსჯელებენ ირანის საკითხზეც. აშშ ჩიხში შევიდა — **ტრამპის შეცდომის გამოსწორებას ცდილობენ ირანელებთან ბირთვული გარიგების რეანიმაციით. ასე სურთ ირანის ბირთვული პროგრამის განვითარების შეჩერება,** მაგრამ ბოთლიდან ჯინი გამოშვებულია — ბოლო ხანს დასავლეთისა და ირანის ურთიერთობა დეგრადაციას განიცდიდა, ირანის საპრეზიდენტო არჩევნებში (რომელიც რამდენიმე კვირაში გაიმართება) კონსერვატორი კანდიდატის გამარჯვებას ელოდებიან, ამიტომ **ამერიკას სასწრაფოდ სჭირდება თავისი პოზიციების გაძლიერება ირანთან მოლაპარაკებებში და ამის გაკეთებას რუსეთის დახმარებით აპირებს.**

მაგრამ **მოსკოვი არ აპირებს თეირანის მიმართ სანქციების დაწესების პროცესში მონაწილეობას, არც ამერიკელების დახმარებას ირანის იძულებაში, — ხელახლა დადოს ბირთვული გარიგება აშშ-ისთვის ხელსაყრელი პირობებით.**

ამერიკელების გამო ირანთან დაპირისპირება არავის სურს, დახმარების სანაცვლოდაც კი (თანაც გარიგების დადების შემდეგ დახმარება შეიძლება ვერც მიიღო). **მოსკოვსა და ვაშინგტონს შეხების წერტილები აქვთ სირიის საკითხზე — კონსტიტუციური რეფორმა, ქვეყანაში ყველა დიდი სახელმწიფოს ინტერესთა ბალანსის შექმნა, მაგრამ შეხების წერტილების საერთო პოზიციად გარდასაქმნელად ამჟამად ძალიან მცირეა ნდობა და ძალიან ბევრია ამერიკელი ჯარისკაცი სირიის ტერიტორიაზე.**

## საშინაო საქმეები

* „აშშ-ისა და ევროკავშირის საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევა“.

აშშ-მა, რა თქმა უნდა, იცის, რომ არანაირი ჩარევა არ არის და არც ყოფილა. რუსეთს არ მოუწამლავს დიდი ბრიტანეთის მოქალაქეები და არ აუფეთქებია საწყობები ჩეხეთსა და ბულგარეთში, ხელისუფლების სათავეში არ მოუყვანია **ტრამპი** და არ მოუწყვია ჰაკერული შეტევები ობიექტებზე.

არ დაუწყია დასავლური ვაქცინების დისკრედიტაცია და ხელი არ შეუწყვია მემარჯვენე განწყობების გაძლიერებისთვის აშშ-სა და ევროკავშირში, მაგრამ **ვაშინგტონს სურს, რომ ეს მოსკოვმა ნაწილობრივ მაინც აღიაროს. არა იმისთვის, რომ მიიღოს ახალი საბაბი სანქციების დასაწესებლად რუსეთის წინააღმდეგ — აშშ საბაბს ყოველთვის მოძებნის, არამედ იმისთვის, რომ რუსეთზე გადაიტანოს პასუხისმგებლობა აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნებში შექმნილი პრობლემების გამო, რომელთა მოგვარებაც დასავლურ ელიტებს არ ძალუძთ.**

**აშშ უკრაინას განიხილავს, როგორც სიმსივნეს, რომელმაც უნდა წარმოქმნას არასტაბილურობის მეტასტაზები პერიფერიებზე — ე.ი., როგორც რუსეთის, ისე ევროპის ორგანიზმზე. და, რაც მეტია არასტაბილურობა, მით მეტია სარგებელი ამერიკელებისთვის**

თავის მხრივ, რუსეთი სულაც არ აპირებს პასუხისმგებლობის აღებას სხვის მიერ დაშვებულ შეცდომებზე და არ დაუშვებს ამაზე ნართაულად მითითებასაც კი საბოლოო დეკლარაციაში, თუნდაც იმიტომ, რომ ეს დაარღვევს რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპს — მესამე ქვეყნების სუვერენიტეტის პატივისცემას.

*** რუსეთის საშინაო საქმეებში აშშ-ის ჩარევა.** აქ ბაიდენს სურს პუტინთან იმსჯელოს საკითხების მთელ სპექტრზე: **ყირიმი, ნავალნი, რუსეთის საპარლამენტო არჩევნები, რუსეთის ფსევდოლიბერალური ოპოზიცია.** ამ საკითხებზე სურს ბაიდენს მსჯელობა და ჭკუის დარიგება, როგორ უნდა იმოქმედოს მოსკოვმა.

რუსეთს არაერთხელ განუცხადებია, რომ თავის საქმეებზე მსჯელობას არავისთან აპირებს, მაგრამ რიაბკოვის სიტყვებზე დაყრდნობით („ტრადიციულად მზად ვართ, საკითხების ნებისმიერი კუთხით განსახილველად“) და სალი აზრის გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რუსეთი მზად არის ამ საკითხებზე სამსჯელოდ, ოღონდ, რა თქმა უნდა, თავისთვის საჭირო მიმართულებით.

მაგალითად, კრემლი მზად არის, მოისმინოს, როდის და რა პირობებით აღიარებს აშშ ყირიმს რუსეთის ტერიტორიად, თანაც უსასყიდლოდ — რუსეთი არაფრის გადახდას არ აპირებს ამისთვის. **რაც შეეხება რუსეთის საპარლამენტო არჩევნებს, აქ შეიძლება ბაიდენს ურჩიონ, ყურადღებით ნახოს, რა გარემოებებში და ვის მიერ იქნა თვითონ არჩეული 2020 წელს.**

ამ სამსჯელო თემების გარდა, არის სხვაც — **ტერორიზმთან ბრძოლა, ბირთვული იარაღის შემცირება და გაუვრცელებლობა.** აქ აშშ-სა და რუსეთს გაცილებით ბევრი აქვთ საერთო, მაგრამ ეს თემები კონკრეტული არ არის, ეფექტიანი თანამშრომლობა კი შესაძლებელია მხოლოდ რუსეთ-ამერიკის საერთო ურთიერთობის ნორმალიზაციის ჩარჩოში. ნორმალიზაციისა, რომელიც შეუძლებელია, სანამ მოსკოვი და ვაშინგტონი ვერ მოახერხებენ თავიანთი დღის წესრიგების სინქრონიზაციას კონკრეტულ საკითხებზე.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მოდიან ახალი ადამიანები, მოდის ახალი ძალა, პერსონების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ვფიქრობ, ის ადამიანები, რომლებიც მეიმედებიან, სიკეთეს მოგვიტანენ. თვალს ვადევნებ, მაინტერესებს, ვინ დადგება ქვეყნის სადარაჯოზე და როგორი გუნდი შეიკვრება. პოლიტიკური მოღვაწის შეფასებისას გადამწყვეტია, იყოს უკომპრომისო, პრინციპული და შეეძლოს თავგანწირვა. პოლიტიკოსი არ უნდა იყოს უცხოურ გრანტებზე გაყიდული, ფულისთვის ყველაფერზე წამსვლელი“.**



ხათუნა საგინაშვილი:

# ნათლად ჩანს, როგორ მართავენ საქართველოს მოკასინიანი, ჩექმიანი, ფულიანი კაცები

**საქართველოს მთავრობის მეთაური, ირაკლი ღარიბაშვილი, გასულ კვირაში თურქეთის რესპუბლიკას ეწვია ოფიციალური ვიზიტით. მასპინძელი მხარე პომპეზურად დახვდა საქართველოს პრემიერმინისტრს, რომელმაც, თავის მხრივ, პატივისცემისა და მადლობის ნიშნად თურქეთის ეროვნული გმირის, მუსტაფა ქემალ ათათურქის, ხსოვნას პატივი მიაგო და მისი საფლავი გვირგვინით შეამკო. ამასობაში საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დარეგისტრირდა ფრაქცია სახელწოდებით „შარლ მიშელის რეფორმების ჯგუფი“, რომელსაც სათავეში ჩაუდგა „სტრატეგია აღმაშენებელის“ თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე.**

გასული კვირის ეს ორი „მოვლენა“, შესაძლოა, აღსანიშნავი არც ყოფილიყო, მაგრამ გვერდს ვერ ავუვლიდით საზოგადოების აღშფოთებას — ათათურქის ხსოვნას პატივს მიაგებს საქართველოს მთავრობის მეთაური, სტალინის ძეგლი კი ნაგავსაყრელზეა სტალინის სამშობლოში... ყველა არჩევნებზე ზვიად გამსახურდიას სახელსა და იდეებს იშველიებენ პარტიები, რათა ამომრჩევლის გული მოიგონ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი „ღმერთად“ ჰყავთ, მარო მაყაშვილის საფლავს ეამბორებიან, მთაწმინდის პანთეონში დიდი პატივით დაკრძალეს მენშევიკი გენერალი გიორგი კვინიტაძე, ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კი ევროკავშირელი შარლ მიშელის სახელობის ფრაქცია დაარეგისტრირეს...

**რას დაემსგავსა „დამოუკიდებელი საქართველო“? ნამდვილად დამოუკიდებელია თუ არა ჩვენი ქვეყანა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალისტი ხათუნა საგინაშვილი გვესაუბრება:**

— რატომ გიკვირთ, რომ საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში **შარლ მიშელის** სახელობის ფრაქცია შეიქმნა? ან ის **რატომ გიკვირთ, ათათურქის საფლავს რომ მიაგო პატივი ჩვენმა ხელისუფალმა, როდესაც სტალინის ძეგლი გადაგდებულია სანაგვეზე?!** ვისაუბროთ იმაზე, რატომ ვართ ასეთი „განუვითარებლები“, გაჭირვებულები, უპატრონოები და თავში ნათქვამსაც გაეცემა პასუხი. ვისაუბროთ იმაზე, თუ სად არის „ძაღლის თავი“ დამარხული. **საქართველოს დამოუკიდებლობა სუროგატულია, მართალს ბრძანებთ, როდესაც ამბობთ, რომ სტალინის ძეგლი აღარ გვაქვს და ათათურქის ხსოვნას მივაგებთ პატივს. ეს ყველაფერი იქიდან მომდინარეობს, რომ დამოუკიდებელი არ ვართ.**

ორი სიტყვით შევეხები ე.წ. ნინოწმინდის პანსიონის საქმეს, რადგან ის პირდაპირ კავშირშია თქვენს შეკითხვასთან.

მინდა, გითხრათ, რა მოხდა სინამდვილეში. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება ნინოწმინდის პანსიონის გარშემო ატეხილ ხმაურს დიდ ყურადღებას არ აქცევდა, ცდილობდნენ, ეკლესიას არ დაპირისპირებოდნენ, არჩევნები კარს მოადგათ და ამიტომ, მაგრამ, **როგორც კი ჩამოვიდნენ ამერიკელი სენატორები, ჩამწკრივდა ე.წ. მეხუთე კოლონა ოპოზიცია-არასამთავრობოებიანად და მივიდნენ მათთან საჩივლელად მეუფე სპირიდონის წინააღმდეგ. სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი და ჩაერთო ამ პროცესში სახელისუფლო გუნდიც, უცბად ატყდა აჟიოტაჟი, დაიწყო ცილისწამებები, ბავშვები გამოაცალეს ეკლესიას, დაანგრიეს სულიერების კერა. მოკლედ,**

> **«მართალს ბრძანებთ, როდესაც ამბობთ, რომ სტალინის ძეგლი აღარ გვაქვს, ათათურქის ხსოვნას კი პატივს მივაგებთ. ეს ყველაფერი იქიდან მომდინარეობს, რომ დამოუკიდებელი არ ვართ»**

**მეუფე დაასმინეს სენატორებთან და უსწრაფესად მიიღო გადაწყვეტილება სასამართლომაც.**

ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს ერთი ფურცელი ნათელყოფს, რა მდგომარეობაში ვართ — **ნათლად ჩანს, როგორ მართავს საქართველოს მოკასინიანი, ჩექმიანი, ფულიანი კაცები. საქართველოს, თავისი სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტა კი არა, ყოფითი, ელემენტარული პრობლემის მოსაგვარებლად არ შეუძლია კანონის დაწერა უცხო ქვეყანასთან შეთანხმების გარეშე.**

საქართველო განვითარებადი ქვეყნების სიაშიც რომ არ არის და განუვითარებლები ვართ, ამაზე ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობაც მეტყველებს. საქართველო პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა, რომელიც ერთ დროს მდიდარი იყო, ქვეყანა, რომელსაც უნიკალური გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა აქვს, აქვს ბუნებრივი წიაღისეული, მინერალური და მტკნარი წყლები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი სიმდიდრე არ ეკუთვნის ერს, არ არის ჩვენი ხალხის კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენებული და ხელისუფლებებს განსაზღვრული არ აქვს ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები, უკიდურეს სიღარიბეში ვართ.

**— რატომ მოხდა ასე, რატომ ვერ ვსაზღვრავთ პრიორიტეტებს, რა გვიშლის ხელს?**

— დამოუკიდებლობა ვერ მოვიპოვეთ, სხვის ჭკუაზე დავდივართ. ჩვენ, ქართველებს, განგვისაზღვრეს განვითარების პრიორიტეტად ისეთი მგრძნობიარე, არასტაბილური ბიზნესი, როგორიც არის ტურიზმი. სწორედ ტურიზმის მთავარ პრიორიტეტად გამოცხადებამ დააქცია მართლმადიდებული ელინური სამყარო, არადა, ტურიზმის განვითარების მხრივ საქართველო ახლოსაც კი ვერასოდეს ვერ მივა საბერძნეთთან. არ შეიძლებოდა, საქართველოსნაირი პატარა ქვეყნის ბედი ტურიზმზე ჩამოკიდებულიყო და არ გვეშრომა ცალკეული დარგების განვითარებისთვის. არ ვეცადეთ, აზრადაც არ მოუვიდა ხელისუფლებას, რომ ქვეყნის სიმდიდრეები ხალხის კეთილდღეობისთვის მოეხმარებინა. ჩვენმა გაჭირვებამ და არასწორმა პოლიტიკამ პანდემიის პერიოდში იჩინა ნათლად თავი. ჩვენ რყევებს ვერ გავუძელით და ყოველი ასეთი რყევა დაგვაზარალებს.

**— რა არის ჩვენი ასეთი უბედურების მიზეზი?**

— მსგავს შეკითხვაზე სულ მექნება ერთი პასუხი: ჩვენ არ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა, ვიმართებით უცხოეთიდან, საზღვარგარეთიდან გვისაზღვრავენ პრიორიტეტებს. ეროვნული რესურსები არ არის ქვეყნის განვითარებისკენ მიმართული. ქართველ ადამიანს მიზნად დაუსახეს, წავიდეს უცხოეთში და იქ იმუშაოს, ოღონდ სახელმწიფომ ისიც კი ვერ უზრუნველყო, რომ ბედისგან დაჩაგრული ქართველი უცხოეთში ლეგიტიმურად წასულიყო, დასაქმებულიყო. ის, რაც გამოცხადდა, რომ გერმანია ვითომ მიიღებდა ქართველებს, ფეიკი აღმოჩნდა.

**ქვეყნებს, რომლებმაც საქართველოს პრიორიტეტები განუსაზღვრეს, ხელს არ აძლევთ ჩვენი განვითარება, ახალი კონკურენტი არ სჭირდებათ, მათ ისედაც პრობლემები აქვთ ბაზრებზე და რისთვის სჭირდებათ, საქართველო კონკურენტუნარიანი იყოს?! საქართველო უნდა იყოს მომსახურების ქვეყანა, ასე გადაწყვიტეს.** ამერიკელი ეკონომისტი **ჯონ პერკინსი** თავის ნაშრომში „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“ წერს: „არსებობს ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებში მუშაობენ ზენაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე და განვითარებად ქვეყნებს უსაზღვრავენ პრიორიტეტებს. პრიორიტეტების განსაზღვრის შემდეგ მსოფლიო ბანკი და ე.წ. დონორი ორგანიზაციები ამ ქვეყნებს ვალად აძლევენ სესხებს“. სესხით, რომელსაც ე.წ. დონორები გვაძლევენ, უფლება არ გვაქვს, განვავითაროთ ეკონომიკა, მხოლოდ იმის უფლება გვაქვს, რომ შევღებოთ ფასადები.

> **«საქართველოს, თავისი სტრატეგიული საკითხების გადაწყვეტა კი არა, ყოფითი, ელემენტარული პრობლემის მოსაგვარებლად არ შეუძლია კანონის დაწერა უცხო ქვეყანასთან შეუთანხმებლად»**

ჩვენ ახლა გაკოტრების პირას ვართ, საქართველო გადახდისუუნაროა და შესაძლოა, ბანკროტადაც გამოგვაცხადონ. ჯონ პერკინსი ამბობს, რომ ეს მიზანმიმართულად კეთდება და ვილაცეების ცხელ თავებში იხარშება. ის, რაც „ეკონომიკური მკვლელის აღსარებაში“ წერია, **სააკაშვილმა** ზედმიწევნით შეასრულა, რასაც ისევ ზედმიწევნით და ზუსტად განაგრძობს ამჟამინდელი ხალისუფლებაც.

ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ შარლ მიშელის ფრაქციები გვაქვს და მუსტაფა ქემალ ათათურქს მივაგებთ პატივს?!

**— რა არის გამოსავალი, რა მოვიმოქმედოთ?**

— თითოეული მოქალაქის პოზიციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ჩვენ არ უნდა შევეგუოთ იმას, რაც ხდება. ძვრები უნდა დაიწყოს, სასიკეთო ძვრები. ეროვნული სულისკვეთების ძალები უნდა მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, მორწმუნენი, ეკლესიის პატივისმცემელნი, თავდადებულნი. სურვილი მაქვს და მინდა ასე ვხედავდე... **მგონია, რომ მოდიან ახალი ადამიანები, მოდის ახალი ძალა, პერსონების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ვფიქრობ, ის ადამიანები, რომლებიც მეიმედებიან, სიკეთეს მოგვიტანენ. თვალს ვადევნებ, მაინტერესებს, ვინ დადგება ქვეყნის სადარაჯოზე და როგორი გუნდი შეიკვრება. პოლიტიკური მოღვაწის შეფასებისას გადამწყვეტია, იყოს უკომპრომისო, პრინციპული და შეეძლოს თავგანწირვა. პოლიტიკოსი არ უნდა იყოს უცხოურ გრანტებზე გაყიდული, ფულისთვის ყველაფერზე წამსვლელი.**

ქართველები სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანების მემკვიდრეები ვართ, ეს პატარა ქვეყანა ამ საუკუნემდე სწორედ თავდადებამ მოიყვანა. ეს პათეტიკა არ არის, ეს რეალობაა.

**მართლაც უიმედო, კრიტიკულ ზღვარზე ვართ, ჩვენი ქვეყანა კარგავს ტერიტორიებს და არა მხოლოდ განაპირას, საზღვრისპირას, არამედ, აგერ, შუაგულ იმერეთში, რიონის ხეობაში 100 ჰექტარი მიწა გააჩუქეს. ხალხს ჰგონია, რომ იჯარით არის გაცემული, მაგრამ ასე არ არის, ნახევარი სამუდამო მფლობელობაშია გადაცემული „თურქი ძმებისთვის“. მსოფლიოში არ არსებობს ანალოგი მიწის 99 წლით გადაცემისა, ყველგან 49-წლიანი იჯარაა...**

მამა გაბრიელმა იწინასწარმეტყველა — საქართველო დაპატარავდება, იტყვიან, რომ ლამის აღარ არსებობს, მაგრამ უფლის ძალით აღდგება. ბუნებრივია, ეს თავისთავად არ მოხდება, ყველა ქართველმა თითო აგური უნდა დავდოთ ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად. ყველამ უნდა ავიღოთ ჩვენს თავზე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, რაც პოლიტიკურ პროცესებში უნდა გადაიზარდოს.

დიდი წნეხის ქვეშ არიან ჩვენი ახალგაზრდები, ნათლად ჩანს სოციალურ ქსელებში, რომ მათ ტვინი გამოურეცხეს. მათ გადარჩენა სჭირდებათ. ის უნდა მოხდეს, რაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მოხდა — ეროვნულმა ძალებმა უნდა მოიყვანონ გონს. აუცილებელია, მეინსტრიმული მედია ჩანაცვლდეს პროპაგანდისტული მასმედიით, ყველა საშუალებით უნდა მოხდეს პატრიოტული, ეროვნული სულისკვეთების აღორძინება.

საქართველოში კომპლექსური ცვლილებებია განსახორციელებელი და იმედი მაქვს, უფლის ნებით, ყველაფერი კარგად იქნება. ოპტიმიზმს არ ვკარგავ, ყველამ ჩვენი საქმე ვაკეთოთ და მივიღებთ იმ საქართველოს, რომელზეც ვოცნებობთ.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

> **«საქართველო განვითარებადი ქვეყნების სიაშიც რომ ვერ ხვდება, ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობაც მეტყველებს. საქართველო პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანაა»**

„ამაღლდი დიდებით, ქრისტე ღმერთო ჩვენო, და მხიარულ ჰყვენ მოწაფენი აღთქმითა მით სულისა წმიდისათა, განამტკიცენ რა იგინი კურთხევითა მით, რამეთუ შენ ხარ ძე ღმრთისა, მხსნელი სოფლისა ფრთეთა ქერუბინთასა მჯდომარე ხარ, ამაღლდი ღრუბლითა ცად აღმოსავალით და მოწაფეთა შენთა ეტყოდე, მაცხოვარ: არა დაგიტევნე თქუენ ობლად, მოვიდე სულითა თქუენ შორის და ვიყო მე განუშორებელ თქუენგან, რომელმან მოანიჭე სოფელსა დიდი წყალობა“.

რელიგია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღდგომიდან მე-40 დღეს, მეექვსე კვირის ხუთშაბათს, მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის ამაღლებას ზეიმობს. როგორც წმიდა სახარება გვაუწყებს, ბრწყინვალე აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტე თავის მოწაფეებს ეცხადებოდა და ღვთის სასუფევლის შესახებ მოუთხრობდა. იოანე ოქროპირის სიტყვით, იგი მოწაფეებს ასწავლიდა „სასუფევლის საიდუმლოებებს“, რომლებიც მაცხოვრის აღდგომამდე მათთვის გაუგებარი და მიუწვდომელი იყო.**

# ილია მეორე: «ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ამთლიანებს და ეშმაკი ჰყოფს»

## ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი

**გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ (№ 21 (72), 2000 წ.):**

„აღდგომიდან მე-40 დღეს გალილეიდან იერუსალიმში დაბრუნებული მოწაფეები ერთ სახლში შეიკრიბნენ. აქ მათ მაცხოვარი გამოეცხადათ, რომელმაც შეკრებილთ აღუთქვა, რომ მალე მოუვლენდა სულიწმიდას და უბრძანა, არ გაშორებოდნენ იერუსალიმს.

საუბრობდა რა მოწაფეებთან, ქრისტემ გამოიყვანა ისინი ბეთანიის მიმართულებით, ელეონის მთაზე, შემდეგ ხელები ცისკენ აღაპყრო და აკურთხა შეკრებილნი. კურთხევისას თანდათან დასცილდა მათ და ზეცად ამაღლება იწყო, მცირე ხანში კი ღრუბლებში გაუჩინარდა.

ვიდრე მოწაფეები ცას შეჰყურებდნენ, ეჩვენა მათ ორი კაცი, თეთრად მოსილნი, რომელთაც უთხრეს: **„კაცნო, გალილეველნო, რაისა სდგათ და ჰხედავთ ზეცად. ესე იესო რომელი ამაღლდა თქვენგან ზეცად, ეგრეთვე მოვიდეს, ვითარცა იხილეთ აღმავალი ზეცად“** *(საქ. მოც. 1, 11)*, მოწაფეები სიხარულით დაბრუნდნენ იერუსალიმში. სულიწმიდის მომლოდინენი განუწყვეტლივ ლოცვაში იყვნენ, ადიდებდნენ და მადლობდნენ ღმერთს.

მაცხოვრის ამაღლების მნიშვნელობა რამდენიმე კუთხით შეიძლება განვიხილოთ:

პირველი მოვლენის ონტოლოგიური (ონტოლოგია — ფილოსოფიური მოძღვრება ყოფიერების შესახებ — დ. ა.) მხარეა: ძე ღვთისამ მიიღო ადამიანური ბუნება, რომელიც ზეცად აამაღლა და საღმრთო დიდებას აზიარა. იოანე ოქროპირის თქმით, უფლის ამაღლებამ ადამიანი ანგელოზს მიამსგავსა, ადამიანი შეერთო უხორცოთა დასს. იგი, მიწისთვისაც კი უღირსი, ზეცაში დამკვიდრდა. კაცთა ბუნება, რომლისაგანაც ქერუბიმები სამოთხეს იცავნდნენ, თვით ქერუბიმებზე აღმატებული გახდა. იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებით მოხდა ცისა და მიწის შეერთება, ზეციურისა და მიწიერის შერიგება. ამაღლებით რეალურად განცხადდა ძველი აღთქმისეული წინასწარმეტყველება: „ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა და უფალი ხმითა საყვირისაითა“ *(ფს. 46, 5)*; ამაღლების შემდგომ, პავლე მოციქულის თქმით, „ჩუენი მოქალაქეობაი ცათა შინ არს“ *(ფილ. 3, 20)*.

უფლის ამაღლებას აქვს ესქატოლოგიური (ესქატოლოგია — მისტიკური მოძღვრება მსოფლიოსა და ადამიანის საბოლოო ბედზე — დ. ა.) მნიშვნელობაც, რადგან სწორედ **ამაღლება იყო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების დასასრული, ხოლო მისი მეორედ მოსვლა კაცობრიობის მიწიერი მყოფობის დასასრული იქნება. ამაღლებას ზნეობრივი მნიშვნელობაც გააჩნია. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ არა მხოლოდ მიწას, არამედ ზეცასაც ვეკუთვნით, რომ ჩვენ ვეკუთვნით დროსაც და მარადისობასაც, მატერიასაც და სულსაც და მიწიერი ცხოვრების დროს ჩვენ უნდა ავმაღლდეთ ყოველივე მიწიერსა და მდაბალზე.**

სარწმუნოების სიმბოლოში (მრწამსში) ვკითხულობთ:

„და ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღვთისა და მამისა“. რას ნიშნავს ეს სიტყვები? ღმერთი ხომ დროისა და სივრცის მიღმიერია? როგორ უნდა გავიგოთ ეს მეტაფორა? როდესაც იმპერატორი თანამმართველს ირჩევდა, ან მისი ვაჟი სრულწლოვანი ხდებოდა, განსაკუთრებული რიტუალი — ინტრონიზაცია ტარდებოდა. სასახლის დარბაზში ორ ტახტს დგამდნენ. ერთზე ჯდებოდა იმპერატორი, მეორეზე, მარჯვენა მხარეს — თანამმართველი. მარჯვნივ ჯდომა იმპერატორის მსგავს ღირსებასა და ძალაუფლებას ნიშნავდა. ამდენად, აღნიშნული სიტყვები მამა ღმერთისა და ძე ღმერთის თანაბარ ძალაუფლებაზე მიუთითებს. ეს სახე-სიმბოლო კიდევ უფრო წარმოაჩენს ამაღლების აქსიოლოგიურ მნიშვნელობას: **ღმერთკაცის სახით მთელ კაცობრიობას დაუსრულებელი სულიერი აღმასვლის შესაძლებლობა მიეცა.**

ქრისტე გაშლილი, მაკურთხეველი ხელებით ამაღლდა ზეცად. ელეონის მთასთან მდგარი მოწაფეები პირველ ქრისტიანულ ეკლესიას წარმოადგენდნენ. სიყვარულითა და იმედით აღსავსე ეს ეპიზოდი არის ნიშანი და აღთქმა იმისა, რომ კურთხევა ღვთისა მუდამ ჰგიებს ეკლესიაში“.

**წმ. იოანე ოქროპირი ამაღლების შესახებ:**

„სამი უჩვეულო სასწაული, ჟამიერების დასაბამიდან უცნობი და ჩვენს ბუნებაზე აღმატებული, თანაშეიწნა და ჰგიეს დაურღვევლად და შეურყევლად, რადგან სამკეცი თოკი ადვილად არ გაწყდება. ესენია: უქორწინებელი დედის მშობიარობა, სამდღიანი ვნებისგან აღდგომა და ხორცის ცათა მიმართ ამაღლება.

უწყოდა ჟამიერებამ ბერწნი, რომლებმაც შვეს, მაგრამ არა ქორწინებისეული კავშირის გარეშე; უწყოდა მან მკვდრები, რომლებიც გაცოცხლდნენ, მაგრამ არა დაუსრულებელ სიცოცხლეში; უწყოდა მან წინასწარმეტყველი, რომელიც ამაღლდა, მაგრამ — თითქოსდა ცაში. სიტყვა „თითქოსდა“ აღნიშნავს ჭეშმარიტებისგან განსხვავებულს, რადგან ელიამ ადგილს ადგილი შეუნაცვლა, მაცხოვარი კი იქ ავიდა, საიდანაც ჩამოვიდა, და ამას შეჰყურებდა მრავალი კაცი და ქალი, ვიდრე არ მოუძლურდა სიმაღლეს შეკერტებული მზერა. ანგელოზებიც თანაემოწმებოდნენ ამ სანახაობას და მეორედ მოსვლასაც მაუწყებლობდნენ, რადგან თქმულია:

„და აჰა, ორი კაცი წარმოუდგათ მათ თეთრ სამოსელში, რომლებმაც ასე უთხრეს: კაცნო გალილეველნო, რად დგახართ ცას შემყურენი? ეს იესო, ცად ამაღლებული თქვენგან, იმგვარადვე მოვა, რა სახითაც ნახეთ იგი ცისკენ მავალი“ *(საქმე 1. 10-11)*.



**ჰოი, რაოდენი ილვაწა მან, სახიერმა, უკეთურ მონათა გამო! ჩამოვიდა ცათაგან; ავიდა ცათაკენ; კვლავ მოვა ცათაგან. მაგრამ მოვა როგორ? არათუ სხვა ჰიპოსტასში გადასული, არამედ — ხორცის სახეში, ადამიანურ დასახულობაში; არათუ, ცხადია, მდაბალთა მოქმედი, როგორც პირველად, არათუ ნავში მძინარე, არათუ დაღლილობისგან წყურვილით პყრობილი ჭასთან, არათუ ვირის ჩოჩორზე მჯდარი, არამედ ღრუბლის სახოვან ეტლზე დაბრძანებული, არა მებადურთა მხმობელი, არამედ ანგელოზთაგან დაფარული, არა მსაჯულის დალიჭთან მდგარი, არამედ კიდით კიდემდე მსოფლიოს განმსჯელი თვითვე და მებადურებისთვისაც კი მსაჯულის უფლებამოსილების მიმნიჭებელი, როგორც გვასწავლის თავადაც, რაჟამს ეუბნება მოწაფეებს:**

**„როდესაც დაჯდება ადამიანის ძე თავისი დიდების ტახტზე, დასხდებით თქვენც თორმეტ ტახტზე და განსჯით ისრაელის თორმეტ ტომს“** *(მათე 19.26)*.

იუდეველებს კი ასე მიმართავს:

**„თუ მე ბელზებულის მიერ განვაგდებ ეშმაკებს, თქვენი შვილები ვის მიერ განაგდებენ? ამის გამო ისინი თქვენი მსაჯულები იქნებიან“** *(მათე 12.27)*.

თვით მოწაფეებიც იუდეველთაგან იყვნენ, მაგრამ ისინი იუდეველებისას არ იზრახავდნენ, არამედ თავის მონათესავე უფლისმკვლელებზე უფრო ქრისტეს ვნებებსა და წყლულებს მიაგებდნენ პატივს.

**დიდი საკვირველებაა, უჩვეულო სასამართლოა ეს სახილველი: მებადური განსჯის, ფარისეველი კი განისჯება. კარვის მკეთებელი სიტყვახსნილად მჯდომარეა, მღვდელთმთავარი კი კვნესით იღებს სასჯელს“.**

**წმინდა მღვდელმთავარი ნიკოლოზ სერბი (ველიმიროვიჩი):**

„როგორ ამაღლდა უფალი მიწიდან ზეცად? ეს კითხვა გაწუხებს? ასე თქვი: უფალი თავისი მიწიერი სამეფოდან ზეციურ სამეფოში ღვთიური ძალით ამაღლდა და ამით დამშვიდდი. რადგანაც, თუკი შენ უფლის ყველა საიდუმლოს განცდას დაიწყებ, სხვა მრავალი კითხვა შეგაწუხებს: როგორ იშვა იგი? როგორ დადიოდა წყლის ზედაპირზე? როგორ განდევნიდა ეშმაკეულს და ჰკურნავდა ადამიანებს? როგორ იცვალა ფერი? როგორ აღადგენდა მკვდრებს? როგორ აღსდგა თვით? პასუხი ყველა ამ კითხვაზე ერთია: ეს ყოველივე მისი საღვთო ძალით იყო შესაძლებელი. მშვიდობა შენ და სიხარული!

**ჩვენ არ ძალგვიძს, ჩავწვდეთ საიდუმლოებებს უფლისა, მაგრამ განსაკუთრებით ამისაკენ სწრაფვას არ ვურჩევთ მათ, ვისაც უფლის ნებისადმი სრულყოფილი ერთგულების, სიყვარულის, სიწმინდისა და მორჩილების სიმაღლემდე არ მიუღწევია.** ორიგენე თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი იყო. ყოველგვარი საერო თუ საღვთისმეტყველო, ცოდნით აღჭურვილმა, მან გაბედა, გამოეცადა უნატიფესი სულიერი საიდუმლოებანი და ცდომილებაში ჩავარდა. ეკლესიამ კი განსაჯა მისი ცრუ სწავლება, წმიდა სვიმეონ სალოსმა მის შესახებ თქვა: „ორიგენე... ზღვაში შევიდა, იქიდან გასვლა ვერ შესძლო და ჩაიძირა“.

საკმარისია, ამაღლების შესახებ ვიცოდეთ ის, რაც სახარებაში წერია. იქ კი წერია: „და იყო კურთხევასა მას იესუისსა მათ მიმართ განეშორა მათგან და აღვიდოდა ზეცად“ (ლუკ. 24,15). ასე რომ, როდესაც ლოცავდა ადამიანებს, იგი ზეცად მაღლდებოდა. ამგვარად, **უფალმა ჩვენ უდიდესი პრაქტიკული სიბრძნე განგვიცხადა: მხოლოდ ლოცვით შევძლებთ ზეცად ამაღლებას. ლოცვით საკუთარ თავს ვამაღლებთ, ხოლო წყევლით კი ძირს ვანარცხებთ. რასაც გავცემთ, იმასვე ვიმკით:** თუკი ვლოცავთ — ლოცვას, ხოლო თუკი ვწყევლით — წყევლას. ასე რომ, კურთხევა ჩვენი სულიერი ამაღლების პირობაა“ *(„მისიონერული წერილები“ (წერილი 125), თბილისი, 2005 წ.)*.

**„უფალმა ჩვენ უდიდესი პრაქტიკული სიბრძნე განგვიცხადა: მხოლოდ ლოცვით შევძლებთ ზეცად ამაღლებას. ლოცვით საკუთარ თავს ვამაღლებთ, წყევლით კი ძირს ვანარცხებთ. რასაც გავცემთ, იმასვე ვიმკით: თუკი ვლოცავთ — ლოცვას, ხოლო თუკი ვწყევლით — წყევლას. ასე რომ, კურთხევა ჩვენი სულიერი ამაღლების პირობაა“**

**უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II:**

„უფალი ბრძანებს: **„სადაც ორნი ან სამნი შეიკრიბებიან ჩემი სახელით, მე მათ შორის ვარ“,** ამიტომ ვართ დარწმუნებულნი, რომ დღესაც ჩვენ შორისაა უფალი და ვმადლობთ მას ამ დიდი წყალობისათვის!

**...გოლგოთა, ჯვარცმა, აღდგომა და ამაღლება საოცრად დაკავშირებულია ერთმანეთთან; ეს არის ის გზა, რომელიც უნდა განვლოს ყოველმა ადამიანმა და ყოველმა ერმა. აღმოსავლურ ფილოსოფიაში ვკითხულობთ: „ჰოი, მწუხარებავ, შენ საწყისი ხარ სიხარულისა და ჰოი, სიხარულო, შენ საწყისი ხარ მწუხარებისა“. ადამიანის ცხოვრება სულ ასეთი ცვალებადია, მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეს ადამიანი. სიხარულის დროს ადამიანი არ უნდა მიეცეს განცხრომას, ხოლო მწუხარების დროს — სასოწარკვეთილებას.**

სახარებაში წერია, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ დალოცა მოწაფენი და ლოცვის დროს ამაღლდა ზეცად. მას შესცქეროდნენ მოციქულები და სხვანიც და ხედავდნენ, თუ როგორ შორდებოდათ უფალი. ამ დროს მათ გამოეცხადნენ ანგელოზები და უთხრეს: როგორც ხედავთ დიდებით ამაღლებას უფლისა, ისე იქნება მისი დიდებით მოსვლაც. სახარებაში წერია, რომ ამ გამოცხადების შემდეგ მოციქულები გამობრუნდნენ სიხარულითა დიდითა. თითქოს გასაკვირია, მაცხოვარი დაშორდა მათ და მოციქულები გახარებულები არიან. მაგრამ ისინი გახარებულნი იყვნენ იმ სიტყვების გამო, რომელიც უფალმა მათ და მთელ ქვეყანას უთხრა: **„მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა, ამინ“.** ეს სიტყვები უნდა გვახსოვდეს, უფალი ჩვენთანაა!

**მოციქულებს ჰქონდათ შესანიშნავი და საოცარი წესი: როცა ტრაპეზზე სხდებოდნენ ხოლმე, აუცილებლად ტოვებდნენ ორ თავისუფალ ადგილს: ერთს — მაცხოვრისთვის და ერთს — ღვთისმშობლისათვის. მათ სწამდათ, რომ მაცხოვარი და ღვთისმშობელი უჩინრად მათთან იყვნენ. მოციქულების ეს ტრადიცია მთელ მსოფლიოში მარტოდენ საქართველომ შეინარჩუნა, როცა ჩვენ ტრაპეზზე ვსხდებით, პირველი სასმისით უფალი იდიდება, ხოლო ბოლო სასმისი აუცილებლად ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადიდებელია. ეს ტრადიცია, სუფრის ეს კულტურა არ აქვს არც ერთ სხვა ეკლესიას, არც ერთ სხვა ერსა თუ ქვეყანას.**

...ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი ამთლიანებს და ეშმაკი ჰყოფს. ინებოს უფალმა, რომ გამთლიანდეს ქართველი ერი და ბედნიერი იყოს ჩვენი ქვეყანა! ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გააძლიეროს, გაამთლიანოს და დაამშვიდოს სრულიად საქართველო, ამინ!

ჩვენთან არს ღმერთი!“

**ყველას გილოცავთ ამ დიდებულ დღესასწაულს — ამაღლებას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



# ბილ გეიტსის განქორწინება მილიონერ პედოფილ ეპშტეინს დაუკავშირეს

**„მაიკროსოფტის“ დამფუძნებელ ბილ გეიტსის ცოლთან განქორწინება დაუკავშირეს ამერიკელ პედოფილ ჯეფრი ეპშტეინთან მის კონტაქტს, — წერს „უოლ სთრიტ ჯორნალი“ გარკვეულ წყაროებზე დაყრდნობით.**

ეპშტეინთან გეიტსის გახშირებული ურთიერთობა მისი ცოლის — **მელინდას** შეშფოთების მიზეზი იყო. გეიტსების საქველმოქმედო ფონდის ყოფილი თანამშრომლის განცხადებით, მელინდას ეპშტეინი პირველივე შეხვედრის დროს არ მოეწონა და მართალიც გამოდგა.

გამოცემა ირწმუნება, მელინდამ ადვოკატთან კონსულტაციები ბილთან განქორწინების შესახებ ჯერ კიდევ 2019 წელს დაიწყო, ანუ მაშინ, როცა პრესაში გამოქვეყნდა ცნობები, რომ გეიტსი განაგრძობდა შეხვედრებს ეპშტეინთან მას შემდეგ, რაც გასაჯაროვდა ამ უკანასკნელის ამორალური ქმედების ამბავი და მილიონერის წინააღმდეგ წამოაყენეს სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი ფაქტები. მაშინ მაიკროსოფტის წარმომადგენელმა **ბრიჯიტ არნოლდმა** განაცხადა, რომ მეწარმეები განიხილავდნენ საქველმოქმედო ფონდთან დაკავშირებულ საკითხებს. გეიტსი აღიარებდა, რომ ეპშტეინთან შეხვედრები იყო შეცდომა.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ბილისა და მელინდას წარმომადგენლებმა კომენტარზე უარი განაცხადეს.

წყვილმა განქორწინების შესახებ ჯერ კიდევ 4 მაისს განაცხადა. მელინდამ განქორწინების შესახებ სასამართლოს მიმართა. მისი თქმით, მათი განქორწინება ერთხელ და სამუდამოდ დაირღვა. დოკუმენტებში არ იყო ინფორმაცია ქორწინების კონტრაქტის შესახებ. ამავე დროს მეუღლეებმა გააფორმეს განცალკევებით ცხოვრების ხელშეკრულება.

ამერიკელი ფინანსისტი ჯეფრი ეპშტეინი დააპატიმრეს 2019 წლის 6 ივლისს ნიუ-იორკში და იმავე წლის აგვისტოში, გავრცელებული ინფორმაციით, თავი მოიკლა საპატიმრო საკანში.




# ჩილეში ევთანაზია დააკანონეს

**კანონპროექტს მხარი დაუჭირა ჩილეს პარლამენტის ქვედა პალატამ, — იუწყება Le figaro.**

ამ დოკუმენტის თანახმად, განუკურნებელი სენით დაავადებულ პაციენტებს, რომლებიც 18 და მეტი წლისანი არიან, უფლება აქვთ, თავად აირჩიონ, როგორ სურთ სიცოცხლის დასრულება — პალიატიური დახმარებით თუ ევთანაზიის საშუალებით.

ევთანაზიის მოთხოვნის უფლება მიეცემათ მათ, ვინც დაავადებულია უკურნებელი სენით.

ამასთანავე, პაციენტი უნდა იყოს გონზე ან ჰქონდეს წინასწარ დაწერილი ანდერძი, რომელშიც გასაგებად არის აღნიშნული მისი სურვილი. დაავადების განუკურნებლობის შესახებ დასკვნა პაციენტს ორმა ექიმმა უნდა მისცეს.

დღეისთვის ყველა ლათინოამერიკული ქვეყნიდან ევთანაზია მხოლოდ კოლუმბიაშია ლეგალიზებული. ეს მოხდა 1997 წელს. ანალოგიურ კანონ-პროექტს ამჟამად ურუგვაიშიც განიხილავენ.

შეგახსენებთ, რომ წლეულს, მარტში ესპანეთის პარლამენტმა ხმა მისცა ევთანაზიას. ესპანეთი ევროპაში მეოთხე ქვეყანა იქნება ნიდერლანდების, ბელგიისა და ლუქსემბურგის შემდეგ, რომელშიც ეს პროცედურა ოფიციალურად იქნება ნებადართული.

ევთანაზია პორტუგალიაშიც ნებადართულია.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ახალი აპოკალიფსი

### გამოქვეყნდა აშშ-ის არმიის ისტორიაში პირველი გეიეკიპაჟის ფოტო



**აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ლეიტენანტმა ტრევის ეკერსმა თავის Twitter-აკაუნტში გამოაქვეყნა სამხედრო ვერტმფრენის ეკიპაჟის ფოტოსურათი, რომელიც აშკარა გეებისგან არის შედგენილი.**

„პარასკევს ისტორიული მომენტი მოხდა. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ეკიპაჟი გეებით (მამათმავლებით) დაკომპლექტდა“, — ასეთი წარწერით განმარტა ფოტოსურათის არსი და მნიშვნელობა ავტორმა, ჩანაწერმა 24 ათასზე მეტი „ლაიქი“ დაიმსახურა.

იანვარში აშშ-ის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას აშშ-ის არმიაში ტრანსგენდერების სამსახურის შეზღუდვის შესახებ. ბარიერები წინა ადმინისტრაციის მიერ იყო დაწესებული. თეთრმა სახლმა აღიარა, რომ გენდერულმა იდენტურობამ სამხედრო სამსახურს ხელი არ უნდა შეუშალოს.



ზუსტად ისე გამოვიდა, როგორც **გოდერძი ჩოხელის** მოთხრობაშია, როცა „სარდალი“ ხეობაში შეკრებილ ბოგანოების „ლაშქარს“ ურჩევს, გამოიყენონ ნოვატორული ტაქტიკა და შეტევაზე გადავიდნენ ზურგით წინ, უფრო ზუსტად, უკანალებით შეუტიონ.

დიდებული სიახლეა, თანამედროვე ჰიბრიდული ომის არნახული ტაქტიკური მანევრი ჭეშმარიტად არნახული იქნებოდა, „გირჩის“ სტრატეგოსებს უკვე რომ არ გამოეყენებინათ, როცა სეპარატისტული ანკლავის გასწვრივ ჩამწკრივებულმა ავანგარდმა შარვლები ჩაიხადა და მოწინააღმდეგეს მიუშვირა „შავი უკანალები“, როგორც საქართველოს სამხედრო ძლიერების სიმბოლო.

ისედაც შავტრაკიანებს რომ გვეძახიან.

აყროლდა ქვეყანა, იპრიტზე უმეტეს მოიწამლა ატმოსფერო!

იძახე შენ, რამდენიც გინდა და სანამ არ მოგწყინდება, — მესაჯდომეები არიანო, მაგრამ მაინცდამაინც ამ ორიენტაციით ხომ შევიდნენ საქართველოს პარლამენტში?!

აგერ ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც არ დააყოვნა და ბაიდენის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ „აშშ-ის ძლიერება მის მრავალფეროვნებაშია“.

სექსუალურ ორიენტაციაღრეულთა მრავალფეროვნებაში. მაგრამ, რაც გინდა მოინდომო, ეს მრავალფეროვნება მხოლოდ თეთრია და შავი და ისიც მხოლოდ აბანოში გამოჩნდება!

ცოტაც და, ამ ორ უკიდურესობათაგან ერთ-ერთი მსოფლიოს თავზე დაემხობა.

ან — ორივე ერთად.

# მსოფლიო ჯოჯოხეთისკენ მიილტვის

**მიაჩნიათ, რომ ბევრი ადამიანისთვის, რომლებმაც თავიანთი მეორე ნახევრები დაკარგეს, სექსთოჯინები მარტოობის გასაქარვებელი საშუალება გახდა. იცის ეს კომპანია „ლუქს ბოტისმაც“, რომელიც სექსრობოტებს ამზადებს; იცის და წინაც მიიწევს — აპირებს გარდაცვლილი პარტნიორების მოდელების დამზადებას თანამედროვე სამგანზომილებიანი მეთოდის გამოყენებით.**

ამ გადაწყვეტილებისკენ კომპანიას უბიძგა სექსთოჯინებზე მოთხოვნის გაზრდამ, პანდემიამ, რომელსაც ბოლო არ უჩანს და იმ შეზღუდვებმა, რომლებიც მსოფლიოს ქვეყნებშია დაწესებული. ასე აპირებენ მარტოსულების სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

კომპანია Adult Companion-ის საფლაგმანო მოდელი, სახელად სტეფანი 6000 აშშ დოლარად იყიდება.

მოდელს შეუძლია საუბრის იმიტირება, განასხვავებს სახეებს და ხელოვნური ინტელექტის შეზღუდული უნარიც გააჩნია.

კომპანია აცხადებს, რომ შეძლებს, დაამზადოს დაკარგული საყვარელი ადამიანის ფაქსიმილეც. დამზადების სრული ციკლის გავლის შემდეგ მოდელს შეღებავენ სიცოცხლეში მისთვის დამახასიათებელი ფერების გათვალისწინებით. ტუჩების, წარბებისა და სხვა დეტალების ფერების დაკვეთა კლიენტებსაც შეუძლიათ.



„ჩვენ შეგვიძლია დავამზადოთ მოლაპარაკე რობოტები, მაგრამ არ დაგვიმზადებია ისეთები, რომლებიც დადიან თავისი ნებით — სურთ და დადიან, — განუცხადა Daily star-Lux-ის დამფუძნებელმა **ბიორნმა**, — უახლოეს მომავალში ამასაც მოვახერხებთ. ჩვენ შეგვიძლია სხეულის უმეტესი ნაწილების დამზადება, რითაც შესაძლებელს გავხდით მოძრაობის რეალისტურობას“.

**სუხოდეევი მართალი არ არის, როცა წერს, თითქოს დიდი სამამულო ომის დროს 26 მილიონი საბჭოთა ადამიანი დაიღუპა. არიან ისეთი „ისტორიკოსებიც“, რომლებიც დაღუპულთა მეტ რაოდენობაზე ლაპარაკობენ. შექმნილია ერთგვარი აუქციონი, ვინ უფრო მეტ რაოდენობას მოჩმახავს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა შესახებ. მართალია, სუხოდეევის „სტალინი. ენციკლოპედია“ უმეტესად მართალ მონაცემებს შეიცავს, მაგრამ ზოგიერთი ცრუ მონაცემი ღირსებას უკარგავს ამ სქელტანიან წიგნს.**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიმართლე და სიცრუე

**ჯერ არამზადა ხრუშჩოვის, ხოლო შემდეგ მთელი მსოფლიოს ანტისტალინელებისა და ანტიკომუნისტების მიერ აგორებული ცილისწამებები ყველაზე ადამიანური ადამიანის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის (ჯუღაშვილის), წინააღმდეგ დღეს ცოტა ჩამცხრალია, მაგრამ კაციშვილმა არ იცის, მოელება ბოლო ამ უბოროტეს მოვლენას თუ არა.**

უამრავი წიგნი დაიწერა **იოსებ სტალინზე,** საქებარიც (მის სიცოცხლეში) და საlandძღავიც — სალანძღავიც (მისი გარდაცვალების შემდეგ). ჩემი ყურადღება მიიპყრო ისეთმა წიგნებმაც, რომლებშიც ავტორები სტალინის მოღვაწეობას დადებითად კი აფასებენ, მაგრამ ზოგიერთ ამბავსა თუ მოვლენაზე არასწორ ინფორმაციას იძლევიან. ასეთ წიგნებში ასახულია როგორც სიმართლე, ასევე სიცრუე. როგორ უნდა შეფასდეს ასეთი წიგნები? ეს რთული საქმეა. **სტალინის მოძულე სოლჟენიცინი თავის გიგანტურ პასკვილში „არქიპელაგი გულაგი“ უშვერი სიტყვებით რომ ლანძღავს სტალინს, ეს პატიოსან და ჭკვიან მკითხველში აღშფოთებას იწვევს, მაგრამ ასეთი გაუგონარი სიბინძურისთვის „არქიპელაგი გულაგის“ ავტორს ნობელის პრემია უბოძეს. ანტისტალინელებისთვის ასეთი ვეებერთელა უსამართლობის ჩადენა საძნელო საქმე არ ყოფილა.**

მე მაქვს ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილი წიგნები იოსებ ბესარიონის ძე სტალინის შესახებ. ზოგიერთი შეიცავს სიმართლეს, ზოგიერთი — სიცრუეს, მაგრამ ისეთი წიგნები, რომლებშიც სტალინის შესახებ წერია სიმართლეც და სიცრუეც, მხოლოდ რუსულ ენაზე მაქვს. ერთ-ერთი ვლადიმერ სუხოდეევის წიგნია, სახელწოდებით „Сталин. Энциклопедия“. როდესაც წავიკითხე ეს წიგნი, დავრწმუნდი, რომ მასში სტალინის შესახებ წერია სიმართლეც და ტყუილიც. წერილი დიდი რომ არ გამომივიდეს, ვლადიმერ სუხოდეევის „ენციკლოპედიიდან“ განსახილველად შევარჩიე მხოლოდ სამი სტატია, რომლებიც სიმართლეს არ შეიცავს.

**„საბჭოთა კავშირის ადამიანურ დანაკარგებზე 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“ სუხოდეევი წერს: „1941-1945 წლებში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა — წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა, სასაზღვრო ჯარებმა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დაკარგეს 8 მილიონ 668 ათას 400 ადამიანი. დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისგან დაიღუპა 10 მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე. სულ ფაშისტური აგრესიისგან დაიღუპა 26 მილიონ 600 ათასი საბჭოთა ადამიანი“ (გვ. 261).**

ეს მონაცემები არ შეიცავს სიმართლეს. 1949 წელს მეზობელმა რუსმა გოგონამ, რომელმაც საშუალო სკოლა დაამთავრა, მაჩუქა მეათე კლასის რუსული საბჭოთა ლიტერატურის დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც 1949 წელს, სტალინის ეპოქაში, გამოიცა. მისი სახელწოდებაა „Русская советская литература“ (ეს წიგნი დღემდე მაქვს შენახული).

მომყავს ამონაწერი ამ წიგნიდან: **„ომმა შეიწირა 7 მილიონამდე საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე და მოიტანა აურაცხელი უბედურება“** (გვ. 340). აი ასე, დიდებულ სტალინურ ეპოქაში იბეჭდებოდა სიმართლის შემცველი წიგნები, ჟურნალები და გაზეთები. მაშასადამე, სუხოდეევი მართალი არ არის, როცა წერს, თითქოს დიდი სამამულო ომის დროს 26 მილიონი საბჭოთა ადამიანი დაიღუპა. არიან ისეთი „ისტორიკოსებიც“, რომლებიც დაღუპულთა მეტ რაოდენობაზე ლაპარაკობენ. შექმნილია ერთგვარი აუქციონი, ვინ უფრო მეტ რაოდენობას მოჩმახავს დიდ სამამულო ომში დაღუპულთა შესახებ. მართალია, სუხოდეევის „სტალინი. ენციკლოპედია“ უმეტესად მართალ მონაცემებს შეიცავს, მაგრამ ზოგიერთი ცრუ მონაცემი ღირსებას უკარგავს ამ სქელტანიან წიგნს.

ამ წიგნში დაბეჭდილია ისეთი სტატიებიც, რომლებშიც ერთ მოვლენაზე სხვადასხვანაირი აზრია გამოთქმული, ამასთანავე, სიმართლესაც არ შეიცავს. აი ერთი მაგალითი: **სტატიაში „ХРАМ ХРИСТА СПАСИТЕЛЦ“ („მაცხოვრის ტაძარი“) ავტორი წერს: „ტაძრის დემონტაჟი მოხდა 1930-იან წლებში მოსკოვის რეკონსტრუქციის გამო“** (გვ. 446) სტალინს არაერთხელ უთქვამს, რომ წინააღმდეგობა არ გაუწია მხსნელი ქრისტეს ტაძრის დემონტაჟისთვის: „ძალიან საჭირო იყო ოქრო ინდუსტრიალიზაციისათვის. ეს რომ არა, ცოდვას არ ჩავიდენდი“ (გვ. 446). კიდევ ერთ სტატიაში „საბჭოების სასახლე“ სუხოდეევს უწერია: **„1931 წელს საბჭოების სასახლის მშენებლობა სსრკ-ის სახკომის, ვ. მ. მოლოტოვის თავმჯდომარეობით. საბჭოების სასახლის მშენებლობისთვის ყველაზე მოხერხებულ ადგილად მიიჩნიეს კრემლის მახლობლად მოედნის გაფართოებისას მაცხოვრის ტაძრის დანგრევის შედეგად გამოთავისუფლებული ადგილი“** (გვ. 153).




**სტალინის მოძულე სოლჟენიცინი თავის გიგანტურ პასკვილში «არქიპელაგი გულაგი» უშვერი სიტყვებით რომ ლანძღავს სტალინს, ეს პატიოსან და ჭკვიან მკითხველში აღშფოთებას იწვევს, მაგრამ ასეთი გაუგონარი სიბინძურისთვის «არქიპელაგი გულაგის» ავტორს ნობელის პრემია უბოძეს. ანტისტალინელებისთვის ასეთი ვეებერთელა უსამართლობის ჩადენა საძნელო საქმე არ ყოფილა**

მაცხოვრის ტაძარი დაანგრიეს 1931 წელს. 1939 წელს დაიწყო საბჭოების სასახლის მშენებლობა, მაგრამ შეჩერდა დიდი სამამულო ომის დაწყების გამო (გვ. 154).

**ამგვარად, ავტორს მხსნელი ქრისტეს ტაძრის დანგრევის სამი განსხვავებული მიზეზი მოჰყავს:**

1. ტაძარი დაიშალა მოსკოვის რეკონსტრუქციის გამო;
2. ტაძარი დაანგრიეს იმიტომ, რომ ძალიან საჭირო იყო ოქრო ინდუსტრიალიზაციისთვის;
3. ტაძარი დაანგრიეს იმიტომ. რომ მის ადგილას უნდა აეშენებინათ საბჭოების სასახლე.

**მაგრამ არც ერთი არ შეიცავს სიმართლეს.**

**გაოცებას იწვევს სტალინის „ნათქვამი“, თითქოს მაცხოვრის ტაძარში არსებული ოქრო ინდუსტრიალიზაციისთვის იყო საჭირო. გამოეტანათ ოქროს ნივთები, რა საჭირო იყო ტაძრის დანგრევა?! გამოიტანეს კიდეც ძვირფასი ნივთები, ალბათ, ოქროსიც, მაგრამ ინდუსტრიალიზაციას კი არ მოახმარეს, არამედ ერთ-ერთ მუზეუმს და ტრეტიაკოვის გალერეას გადასცეს. ამის შესახებ სუხოდეევიც იუწყება.**

**გაოცებას იწვევს სტალინის «ნათქვამი», თითქოს მაცხოვრის ტაძარში არსებული ოქრო ინდუსტრიალიზაციისთვის იყო საჭირო. გამოეტანათ ოქროს ნივთები, რა საჭირო იყო ტაძრის დანგრევა? გამოიტანეს კიდეც ძვირფასი ნივთები, ალბათ, ოქროსიც, მაგრამ ინდუსტრიალიზაციას კი არ მოახმარეს, არამედ ერთ-ერთ მუზეუმს და ტრეტიაკოვის გალერეას გადასცეს. ამის შესახებ სუხოდეევიც იუწყება**

ჩემთვის ცნობილი შეიქნა მაცხოვრის ტაძრის დანგრევის ნამდვილი მიზეზი.

1968 წლის დეკემბერში თბილისელი ტურისტების ჯგუფთან ერთად მოსკოვში გავემგზავრე. დავათვალიერეთ ქალაქის ბევრი ღირსშესანიშნაობა, მათ შორის ზამთრის საცურაო აუზი, რომლის წყალიც თბებოდა. ექსკურსიამძღოლმა ქალმა ასეთი ინფორმაცია მოგვაწოდა ტურისტებს: „1931 წელს მოსკოვში დაიწყო მეტროს მშენებლობა. მიწისქვეშა აფეთქებებისას მიწის ზემოთ დაიბზარა რამდენიმე შენობის, მათ შორის მაცხოვრის ტაძრის, კედლები. ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ მეტრომშენებლებს მანამდე არ ჰქონდათ სათანადო გამოცდილება ასეთ რთულ საქმეში. შენობების კედლებზე გაჩენილი ბზარები ისეთი ღრმა იყო, რომ გამორიცხული არ იყო შენობების დანგრევა, რითაც საფრთხე შეექმნებოდა ადამიანების სიცოცხლეს. შედგა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიტანა დასკვნა: უნდა მომხდარიყო დაზიანებული შენობების, მათ შორის მაცხოვრის ტაძრის, დემონტაჟი, რაც შესრულდა 1931 წელს, ანუ იმავე წელს, როდესაც მოსკოვში მეტროპოლიტენის მშენებლობა დაიწყო. შენობებისგან დაცარიელებულ ადგილზე ამჟამად ზამთრის საცურაო აუზია“.

არ ვიცი, დღესაც თუ არსებობს ეს აუზი.

**ეთერ უთურგაშვილი**

**P.S. რედაქციისგან: დღეისთვის მოსკოვის მაცხოვრის ტაძარი აღდგენილია თავის ისტორიულ ადგილზე.**

**«საბჭოთა კავშირის ადამიანურ დანაკარგებზე 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში» სუხოდეევი წერს: «1941-1945 წლებში საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა — წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა, სასაზღვრო ჯარებმა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა დაკარგეს 8 მილიონ 668 ათას 400 ადამიანი. გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისგან დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიაზე დაიღუპა 10 მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე. სულ ფაშისტური აგრესიისგან დაიღუპა 26 მილიონ 600 ათასი საბჭოთა ადამიანი» (გვ. 261). ეს მონაცემები არ შეიცავს სიმართლეს**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გალა ეუბნებოდა სალვადორ დალის: „ძალიან მალე ისეთი იქნები, ჩემო ბიჭო, როგორსაც მე მინდა გხედავდე“. გალამ საშინაო საქმეების მოგვარება დაიკისრა, რათა სალვადორს დრო და ყურადღება არ დაეთმო „უმნიშვნელო დეტალებისთვის“. და, როდესაც ქალმა ფინანსური საკითხების მოგვარებაც დაიწყო, სალვადორ დალი გამდიდრდა. დალი სიცოცხლის ბოლომდე მიიჩნევდა გალას ნამდვილ ხატებად.**

# ქალები, რომელთა გარეშეც მამაკაცები სახელს ვერ გაითქვამდნენ

**1995 წლის აპრილში პიერ და მარია კიურების ნეშტები პარიზის პანთეონში გადაასვენეს. ისტორიაში ბევრია წარმატებული ქალი და მამაკაცი, მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ კავშირები, რომელშიც ორივე პარტნიორი დაინტერესებულია ერთმანეთის განვითარებით, ყველაზე მტკიცე და ხანგრძლივია. ფსიქოლოგიურ ეფექტს, როდესაც ადამიანის ამოცანა მისი მეორე ნახევრის დახმარებაა იდეალის მიღწევაში, მიქელანჯელოს ეფექტს უწოდებენ. გავიხსენოთ ქალები, რომელთა დამსახურებითაც სახელი გაითქვეს მამაკაცებმა.**



## მარია და პიერ კიურები

ცოლ-ქმარი კიურები რადიოაქტიური ელემენტების შესწავლით იყვნენ დაკავებულნი, სწორედ მათ აღმოაჩინეს პოლონიუმი და რადიუმი. სხვათა შორის, ელემენტს პილონიუმი ეწოდა მარიას სამშობლოს, პოლონეთის, პატივსაცემად. კიურებმა ნობელის პრემია ფიზიკის დარგში 1903 წელს მიიღეს რადიაციის გამოკვლევისთვის და მარია ნობელის პრემიის ლაურეატი პირველი ქალი გახდა. **მარია სკლადოვსკაია** და **პიერ კიური** ერთმანეთს პირველად 1894 წელს შეხვდნენ. ქვრივი მეცნიერის ყურადღება უმალვე მიიპყრო ქერათმიანმა ფრიადოსანმა ქალმა, რომელიც ლაბორატორიას ეძებდა ცდების ჩასატარებლად და პიერმაც თავისთან მიიწვია სამუშაოდ, მას შემდეგ წყვილი განუყრელად ცხოვრობდა.

P მარიამ პიერის მხრიდან ხელისა და გულის პირველი თხოვნა უარყო, რადგან სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრობდა, მაგრამ მისი ცხოვრება სხვაგვარად წარიმართა. 1895 წელს **მარია** და პიერი დაქორწინდნენ. ქორწილში ნაჩუქარი ფულით წყვილმა ველოსიპედები იყიდა და სამოგზაუროდ წავიდა. 25 წლის შემდეგ პიერისა და მარიას ქალიშვილმა ირენ კიურიმაც მიიღო ნობელის პრემია ოღონდ ქიმიის დარგში. სხვათა შორის, ის პრემია ირენმა გაინაწილა ქმართან **ფედერიკო ჟოლიო-კიურისთან,** რომელმაც ცოლისა და მისი მშობლების პატივსცემის ნიშნად გვარი კიური მიიღო.



## სოფია და ლევ ტოლსტოები

ლევ ტოლსტოი ყველაზე პოპულარულ რუს მწერლად ითვლება. 34 წლის გრაფ ტოლსტოისა და 18 წლის **სოფია ბერსის** ქორწილი 1862 წელს გაიმართა და ყველა საშინაო პრობლემა მყისვე დააწვა ქალს მხრებზე. სოფია უძღვებოდა საშინაო მეურნეობას, ზრუნავდა შვილებსა და ქმარზე. თვითონ ლევ ტოლსტოი კი დროთა განმავლობაში ნელ-ნელა გაცივდა ცოლის მიმართ.

როცა ლევ ტოლსტოი ქმნიდა, მისი ცოლი არა მხოლოდ მართავდა სამეურნეო საქმეებს, არამედ რომანების რედაქტორობასაც ითავსებდა და მეუღლის ლიტერატურული აგენტიც იყო. სოფია ხშირად გადაწერდა ხოლმე ხელნაწერებს, მართავდა მოლაპარაკებებს გამომცემლებსა და ცენზორებთან. ქალმა უარი თქვა ქალაქში ცხოვრებაზე, ქმართან ერთად სოფელში დასახლდა და 13 შვილი გააჩინა.



## ელენე დიაკონოვა და სალვადორ დალი



ელენე განსაცვიფრებელი ქალი იყო — მისი ხასიათი და თავდაჭერის უნარი ძალიან იზიდავდა მამაკაცებს. ელენეს პირველი ქმარი **ეჟენ გრენდელი** დაქორწინებიდან მალე გამდიდრდა. წყვილი საცხოვრებლად გადავიდა პარიზში და ადგილობრივ ბომონდთან ნაცნობობის წყალობით გამომცემლებთან გააბა კავშირები. ელენემ საკუთარი თავისა და ქმრისთვის ფსევდონიმები მოიგონა — **გალა** და **პოლ ელუარები.**

1929 წელს გალა და პოლი პირველად შეხვდნენ კატალონიელ მხატვარ სალვადორ დალის. სტუმრებზე შთაბეჭდილების მოსახდენად დალიმ პერანგი გაიხადა და ტორსზე თხის კურკლის, თევზის წებოსა და ლავანდის ნარევი წაისვა, მაგრამ გალას დანახვისთანავე ჩამოიბანა და პერანგი გამოიცვალა. მას შემდეგ დაიწყო გალასა და სალვადორს შორის ბობოქარი რომანი. პოლს გალა მალე გაშორდა სიტყვებით: „მაპატიე, მე სხვა მიყვარს, შენ ნიჭიერი ხარ, დალი კი გენიოსია“. გალა ეუბნებოდა სალვადორ დალის: „ძალიან მალე ისეთი იქნები, ჩემო ბიჭო, როგორსაც მე მინდა გხედავდე“. გალამ საშინაო საქმეების მოგვარება დაიკისრა, რათა სალვადორს დრო და ყურადღება არ დაეთმო „უმნიშვნელო დეტალებისთვის“. და, როდესაც ქალმა ფინანსური საკითხების მოგვარებაც დაიწყო, სალვადორ დალი ძალიან გამდიდრდა. დალი სიცოცხლის ბოლომდე მიიჩნევდა გალას ნამდვილ ხატებად.

1968 წელს გალამ გადაწყვიტა, რომ ქმრისთვის მოხუცი იყო და საცხოვრებლად გადავიდა ციხეკოშკ პუბოლში, რომელიც მოგვიანებით მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ტურისტების საყვარელ ადგილად იქცა. სალვადორს მხოლოდ გალას თანხმობის შემდეგ ჰქონდა მისი მონახულების უფლება. გალა კი თვითონ ურჩევდა დალის საყვარლებს, რომელთა შორის იყო ცნობილი მომღერალი **ამანდა ლირი.**





## იოკო ონო და ჯონ ლენონი

„ბითლზის“ თაყვანისმცემლები დიდი ხნის განმავლობაში ადანაშაულებდნენ იოკო ონოს, რომ მან დაშალა კვარტეტი — „ბითლზის“ დაშლა დაემთხვა ჯონ ლენონისა და იოკო ონოს შეხვედრის წლისთავს. სინამდვილეში მუსიკოსებს შორის განხეთქილება იაპონიაში გასტროლებამდე დაიწყო, უბრალოდ, იოკოსთან შეხვედრამ დაარწმუნა ლენონი, რომ მას სხვა მიმართულებით უნდა ევლო.

მოგვიანებით ლენონმა თქვა: „ონო მასწავლებელია, მე — მოსწავლე. მე ვარ ცნობილი ადამიანი, რომელზეც ფიქრობენ, რომ მან ყველაფერი იცის, მაგრამ ონო ჩემი მასწავლებელია, მან მასწავლა ყველაფერი, რაც ვიცი. ის ჩემი დონ ჟუანია. მის გვერდით მე თავისუფლება მოვიპოვე. იოკოსთან სიახლოვემ მთლიან ადამიანად მაქცია. მის გარეშე მე მხოლოდ ნახევარი ვარ“.

სახელდობრ, იოკო ონოსთან შეხვედრის შემდეგ დაიწყო ჯონ ლენონმა სოლოკარიერა, როცა ჩაწერა თავისი პოპულარული სიმღერა Imagine.



## კლემენტინა და უინსტონ ჩერჩილები

კლემენტინა ჰიზერმა და უინსტონ ჩერჩილმა ერთად 57 წელი იცხოვრეს. ერთხელ კლემენტინამ თქვა: „არასოდეს აიძულო ქმარი, დაგეთანხმოს, თქვენ უფრო მეტს მიაღწევთ, თუ მშვიდად დაიცავთ საკუთარ თვალსაზრისს. ცოტა ხნის შემდეგ მეუღლე დაასკვნის, რომ თქვენ მართალი ხართ“, მაგრამ ამ მეთოდმა უინსტონ ჩერჩილის მიმართ ვერ გაამართლა. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი ბევრს სვამდა, ეწეოდა, არაერთხელ წააგო ქონება კაზინოში და სულ ბუზღუნებდა. სხვათა შორის, ცოლსა და ქმარს სხვადასხვა ოთახში ეძინათ. ყველაფრის მიუხედავად, ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ კლემენტინა დადებით გავლენას ახდენდა უინსტონ ჩერჩილის გადაწყვეტილებებზე.

მაგალითად, მისი თხოვნით, უინსტონ ჩერჩილმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დააარსა საბჭოთა კავშირის დახმარების ფონდი. კლემენტინას წყალობით, ქალაქ როსტოვში გაიხსნა ორი ჰოსპიტალი სამხედროებისთვის — ეს, იმის მიუხედავად, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაძაბული იყო.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩემპიონატი გაიხსნება 11 ივნისს რომში თურქეთისა და იტალიის ნაკრებების მატჩით; მერვედფინალები 26-29 ივნისს გაიმართება ამსტერდამში, ლონდონში (2) ბუდაპეშტში, სევილიაში, კოპენჰაგენში, ბუქარესტსა და გლაზგოში; მეოთხედფინალები — 2 და 3 ივლისს სანქტ-პეტერბურგში, მიუნხენში, ბაქოსა და რომში; ნახევარფინალები — 6 და 7 ივლისს ლონდონში; ფინალი — 11 ივლისს ლონდონში „უემბლიზე“.**

# «ევრო-2020» იწყება

## ჯგუფები, ქალაქები, რომლებიც ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებენ, სტადიონები, სტატისტიკური მონაცემები

**ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც 2020 წელს უნდა გამართულიყო და კორონავირუსის პანდემიის გამო გადაიდო, მიმდინარე წლის 11 ივნისს დაიწყება და 11 ივლისს დასრულდება (უეფამ გადაწყვიტა, ტურნირისთვის დაეტოვებინა ძველი სახელი „ევრო-2020“, მაგრამ ბევრი მედიასაშუალება მას „ევრო-2021“-ად მოიხსენიებს).**







ქალაქები, რომლებშიც ევროპის ჩემპიონატის მატჩები გაიმართება




ჩემპიონატის მატჩები 11 ქვეყნის 11 ქალაქის სტადიონებზე გაიმართება, ესენია:

*** ამსტერდამი (ნიდერლანდები) — „იოჰან კრუიფის არენა“;**
*** ბაქო (აზერბაიჯანი) — სტადიონი „ოლიმპიური“;**
*** ბუქარესტი (რუმინეთი) — არენა „ნაციონალი“;**
*** ბუდაპეშტი (უნგრეთი) — სტადიონი „ფერენც პუშკაში“;**
*** კოპენჰაგენი (დანია) — სტადიონი „პარკენი“;**
*** გლაზგო (შოტლანდია) — სტადიონი „ჰემპდენ პარკი“;**
*** ლონდონი (ინგლისი) — სტადიონი „უემბლი“;**
*** მიუნხენი (გერმანია) — სტადიონი „ალიანც არენა“;**
*** რომი (იტალია) — სტადიონი „ოლიმპიკო“;**
*** სევილია (ესპანეთი) — სტადიონი „ლა კარტუხა“.**

„ევრო-2020“-ში მონაწილეობს 24 გუნდი (სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებს ერთი ნაბიჯი დააკლდა ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის საგზურის მოპოვებამდე — გადამწყვეტ მატჩში 0:1 დამარცხდა ჩრდილოეთ მაკედონიის ნაკრებთან), რომლებიც კენჭისყრით 6 ჯგუფში (A, B, C, D, E, F) განაწილდნენ:

**ჯგუფი A (რომი-ბაქო): თურქეთი, იტალია (მასპინძელი), უელსი, შვეიცარია;**

**ჯგუფი B (კოპენჰაგენი-სანქტ-პეტერბურგი): დანია (მასპინძელი), ფინეთი, ბელგია, რუსეთი (მასპინძელი);**

**ჯგუფი C (ამსტერდამი-ბუქარესტი): ნიდერლანდები (მასპინძელი), უკრაინა, ავსტრია, ჩრდილოეთი მაკედონია;**

**ჯგუფი D (ლონდონი-ლაზგო): ინგლისი (მასპინძელი), შოტლანდია (მასპინძელი), ხორვატია, ჩეხეთი;**

**ჯგუფი F (სევილია-სანქტ-პეტერბურგი): ესპანეთი (მასპინძელი), შვედეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი;**

**ჯგუფი F (მიუნხენი-ბუდაპეშტი): უნგრეთი (მასპინძელი), პორტუგალია (წინა ჩემპიონატის გამარჯვებული), საფრანგეთი, გერმანია (მასპინძელი).**

ჩემპიონატი გაიხსნება 11 ივნისს რომში თურქეთისა და იტალიის ნაკრებების მატჩით; **მერვედფინალები** 26-29 ივნისს გაიმართება ამსტერდამში, ლონდონში (2) ბუდაპეშტში, სევილიაში, კოპენჰაგენში, ბუქარესტსა და გლაზგოში; **მეოთხედფინალები** — 2 და 3 ივლისს სანქტ-პეტერბურგში, მიუნხენში, ბაქოსა და რომში, **ნახევარფინალები** — 6 და 7 ივლისს ლონდონში, **ფინალი** — 11 ივლისს ლონდონში „უემბლიზე“.

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი — ეს არის ევროპული საფეხბურთო ასოციაციების კავშირის (უეფა) წევრი ქვეყნების ეროვნული ნაკრებების შეჯიბრება, რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. პირველი ტურნირი გაიმართა 1960 წელს, 1968 წლამდე ტურნირს ერქვა ევროპის ნაციონალური თასი.

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი სულ 15-ჯერ ჩატარდა და 10 ქვეყნის ნაკრებებმა მოიპოვეს ჩემპიონობა.

ყველაზე მეტჯერ, 3-ჯერ გაიმარჯვეს **გერმანიისა** და **ესპანეთის** ეროვნულმა ნაკრებებმა, 2-ჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული **საფრანგეთმა,** თითოჯერ — **საბჭოთა კავშირმა, იტალიამ, ნიდერლანდებმა, ჩეხოსლოვაკიამ, დანიამ, საბერძნეთმა** და **პორტუგალიამ.**

ევროპაში საფეხბურთო ტურნირის ჩატარების იდეა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, შემდგომ უეფას პირველ გენერალურ მდივანს (1954-1955 წწ), **ანრი დელონეს,** გაუჩნდა 1927 წელს, მაგრამ პირველი ჩემპიონატი მისი გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ ჩატარდა — 1960 წელს. სწორედ ანრი დელონეს სახელობისაა ევროპის ჩემპიონატის თასი.

**61 წლის წინათ, 1960 წლის 6-10 ივნისს საფრანგეთში გამართულ ევროპის პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სულ 4 გუნდი მონაწილეობდა — საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებები. ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში იუგოსლავია დაამარცხა ანგარიშით 2:1. ამ ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში ითამაშა საქართველოდან წარგზავნილმა ოთხმა ფეხბურთელმა: გივი ჩოხელმა, მიხეილ მესხმა, სლავა მეტრეველმა და ზაურ კალოევმა.**

საბჭოთა კავშირის ღირსებას იცავდნენ:

მეკარეები: **ლევ იაშინი და ვლადიმერ მასლაჩენკო;**

მცველები: **ვლადიმერ კესარევი, გივი ჩოხელი, ანატოლი მასლიონკინი, ანატოლი კრუტიკოვი;**

ნახევარმცველები: **იური ვოინოვი, იგორ ნეტო, ვიქტორ ცარიოვი;**

თავდამსხმელები: **სლავა მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი, ვიქტორ პინედელნიკი, მიხეილ მესხი, ვალენტინ ბუბეკინი, იური კოვალიოვი, გერმან აპუხტინი, ზაურ კალოევი.**

**რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი:**

* ყველაზე შედეგიანი ფინალური მატჩი იყო 2012 წლის შეხვედრა ესპანეთსა და იტალიას შორის, რომელშიც ესპანელებმა 4:0 გაიმარჯვეს;

* ყველაზე მეტი — 108 ბურთი გავიდა 2016 წელს, შედეგიანობის საშუალო მაჩვენებლით კი საუკეთესო იყო 1976 წლის ჩემპიონატი — 4,7 გოლი;

* ესპანეთის ნაკრები ერთადერთია, რომელმაც 2012 წელს შეძლო ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაცვა;

* ჩემპიონატის ისტორიაში ერთადერთხელ, 1968 წელს, ფინალისტის ვინაობა გამოვლინდა მონეტის აგდებით — საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის ბედმა იტალიას გაუღიმა, რომელმაც შემდეგ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა;

* ევროპის შემდეგი ჩემპიონატი 2024 წელს გერმანიაში გაიმართება.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. 13 ივნისს დაიწყება „კოპა ამერიკა“ — სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატი. მატჩები უნდა გამართულიყო კოლუმბიასა და არგენტინაში, მაგრამ კოლუმბიაში პოლიტიკური, ხოლო არგენტინაში კოვიდ-19-ის ვითარების გამწვავების გამო ამ ქვეყნებს ჩამოერთვა ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება; ორიოდე დღის წინათ კონმებოლმა (ფეხბურთის სამხრეთამერიკული კონფედერაცია) გამოაცხადა, რომ „კოპა ამერიკა-21“-ს ბრაზილია უმასპინძლებს, მიუხედავად იმისა, რომ კოვიდვითარება ბრაზილიაშიც არასახარბიელოა.**

**ნ.კ.**


ევროპის პირველ საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის ნაკრები (წინა რიგში მე-4 — სლავა მტერეველი, მე-5 — მიხეილ მესხი, უკანა რიგში მე-5 — გივი ჩოხელი.


მიხეილ მესხი


სლავა მეტრეველი

# დანია თავშესაფრის მთხოვნელებს ევროპის ფარგლებს გარეთ გააძევებს




**„დანიის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად ადგილობრივ მთავრობას მიეცა უფლება, ლტოლვილის სტატუსისა და, შესაბამისად, თავშესაფრის მაძიებელი, მისი შუამდგომლობის განხილვისას, ევროპის ფარგლებს გარეთ გააძევონ“, — წერს გამოცემა The Indepedent-ი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ ინიციატივამ შეაშფოთა ევროკავშირი, რადგან მასში დაინახა კოპენჰაგენის მცდელობა, თავი აარიდოს ვალდებულებებს ბლოკის ჩარჩოებში.**

დანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ **რასმუს სტოკლენდის** განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება — ეს არის თავშესაფრის მთხოვნელების გაფრთხილება, რომ მათი დანახვა დანიაში არავის უხარია. თუ თქვენ მოითხოვთ თავშესაფარს, უნდა იცოდეთ, რომ შეიძლება უკან გაგაბრუნონ — ევროპის ფარგლებს გარეთ“, — განაცხადა სტოკლენდმა.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# გარდაიცვალა ლეგენდარული ჟურნალისტი მელორ სტურუა

**94 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული საბჭოთა ჟურნალისტი, პოლიტიკური მიმომხილველი, საბჭოთა ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ვარსკვლავი მელორ სტურუა.**

ჟურნალისტის ვაჟის, **ანდრია სტურუას,** განცხადებით, მამამისი გარდაიცვალა აშშ-ში, მინეაპოლისში, მაგრამ მოსკოვში დაკრძალავენ.

მელორ სტურუა 1928 წლის 10 აპრილს დაიბადა თბილისში. დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი. ჟურნალისტური კარიერა დაიწყო გაზეთ „იზვესტიაში“. მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა კორესპონდენტად ლონდონსა და ვაშინგტონში, ჩამორთმეული აქვს ინტერვიუ აშშ-ის პრეზიდენტ **დუაიტ ეიზენჰაუერისთვის.** იყო აშშ-ის რამდენიმე უნივერსიტეტის თანამშრომელი.

# პროტასევიჩმა ბრალი აღიარა

## იყო თუ არა პროტასევიჩი ბატალიონ «აზოვის» სნაიპერი

**ინტერნეტში გავრცელდა ბელარუსი ბლოგერის, ტელეგრამ-არხ Nexta-ს ყოფილი მთავარი რედაქტორის, რომან პროტასევიჩის, აღიარებითი ჩვენება, რომელშიც ამბობს, რომ მოუწოდებდა არასანქცირებული მასობრივი პროტესტისა და არეულობებისკენ ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.**



პროტასევიჩს, რომელიც 23 მაისს დააკავეს მინსკში Ryaniar-ის თვითმფრინავის იძულებით დაშვების შემდეგ, არეულობებისკენ მოწოდების გამო 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

როგორც ბელარუსის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ლუკაშენკომ** განაცხადა, პროტასევიჩი „ადამიანებს კლავდა მოძმე უკრაინაში“. ამასთანავე, უკრაინულ სამხედრო შენაერთ „აზოვის“ დამფუძნებელმა **ანდრეი ბილეცკიმ** დაადასტურა, რომ ბელარუსის მოქალაქე პროტასევიჩი ბატალიონთან ერთად მართლაც იმყოფებოდა დონეცკის ოლქის სოფელ შიროკინოში. ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის მილიციის ოფიციალური წარმომადგენლის, **ივანე ფილიპონენკოს,** განცხადებით კი, რომან პროტასევიჩი ბატალიონ „აზოვის“ სნაიპერი იყო და დონბასის მოსახლეობას ესროდა.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**




# ევროკავშირს ფრანგების მხოლოდ 15 პროცენტი უჭერს მხარს

**ევროკავშირს შეშფოთების კიდევ ერთი საბაბი გაუჩნდა: მოიმატა ანტიევროკავშირულმა განწყობებმა და საფრანგეთის ნაციონალისტური პარტია „ნაციონალური გაერთიანების“ ლიდერის, მარინ ლე პენის მხარდაჭერამ, — წერს Daily Express-ი. „განსაკუთრებით შემაშფოთებელს“ უწოდებენ ამ ტენედციას საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რომელიც 2022 წელს უნდა გაიმართოს.**

საზოგადოებრივი აზრის კვლევის ევროპული სამსახურის, Eurobarometer-ის კვლევის შედეგების მიხედვით, საფრანგეთის მოქალაქეების მხოლოდ 15% უჭერს მხარს ევროკავშირს ამჟამინდელი სახით. გამოკითხვამ, რომელშიც 27 ათასი ადამიანი მონაწილეობდა ევროკავშირის მასშტაბით, წარმოჩინა, რომ ევროკავშირის უკმაყოფილო ქვეყნების სიის სათავეში კვლავ საფრანგეთია, აქ ყოველთვის ძლიერი იყო ევროსკეპტიციზმი.

**Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

# უახლესი ბრიტანული ტანკები, რომლების 5 მილიარდი დოლარი დაჯდა, უვარგისი აღმოჩნდა



**მთავრობის მოხსენებაზე დაყრდნობით გაზეთი The Daily Telegraph-ი იუწყება, რომ ტანკები, რომლებშიც დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულმა ძალებმა დაახლოებით 5 მლრდ დოლარი დახარჯეს, პრაქტიკულად, უსარგებლო და სახიფათო აღმოჩნდა ეკიპაჟებისთვის.**

დოკუმენტში ნათქვამია, რომ Ajax-ის ტიპის დაჯავშნილმა მანქანებმა ეკიპაჟების წევრებს ჯანმრთელობა დაუზიანეს. ამ მანქანებით გადაადგილების შემდეგ ეკიპაჟის წევრები უჩიოდნენ სახსრების ტკივილს და ხმაურს ყურებში. ამის გამო 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის მარტის ჩათვლით ტანკები არ გამოუყენებიათ. ამასთანავე, სარდლობამ შეზღუდვები დააწესა Ajax-ის უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის, მაგალითად, საათში 30 კმ-მდე შემცირდა მაქსიმალური სიჩქარე, ეკიპაჟები კი ყოველი საათ-ნახევრის შემდეგ უნდა შეიცვალოს. გამოცემა წერს, რომ არმიისთვის შესყიდულია 600-მდე ტანკი. რა უნდა მოუხერხონ მათ, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. მანქანების გამოუყენებლობა კონსტრუქციაში არსებულმა დეფექტებმა განაპირობა, რომლებიც მეტისმეტი ვიბრაციითაა გამოწვეული. ეს კი ხელისშემშლელია მოძრაობისას სროლაში.

**lenta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვთ მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# პროდუქტები, რომლების მაისში ყველაზე მეტად გაძვირდა

გთავაზობთ ჩამონათვალს პროდუქტებისა, რომლებიც მაისში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ყველაზე მეტად გაძვირდა:

* მზესუმზირის ზეთი — 85%
* მწვანე ლობიო — 35,8 %
* შაქარი — 30,4 %
* წიწიბურა — 28,2%
* კვერცხი — 23,2%

5,8%-ით არის გაძვირებული პური, მიუხედავად იმისა, რომ სუბსიდირებული პროდუქტია.

**bpn.ge**

# სლოვაკეთში რუსული ვაქცინის გამოყენება დაიწყეს

**სლოვაკეთი ევროკავშირის მეორე ქვეყანაა, რომელმაც მოსახლეობის ვაქცინაციისთვის რუსული ვაქცინა „სპუტნიკის“ გამოყენება დაიწყო.**

ევროპის მედიკამენტების სააგენტოს რუსული ვაქცინის გამოყენების ნებართვა ჯერჯერობით არ გაუცია, მიუხედავად ამისა, სლოვაკეთმა ვაქცინა 26 მაისს დაამტკიცა.

ქვეყანას „სპუტნიკის“ 200 ათასი დოზა აქვს. სლოვაკეთში მოსახლეობის ვაქცინაცია „ფაიზერის“, „ასტრაზენეკასა“ და „მოდერნას“ ვაქცინებით მიმდინარეობდა. სლოვაკეთის 5.4 მილიონი მცხოვრებიდან კოვიდ 19-ის საწინააღმდეგო ვაქცინების ერთი დოზა მაინც 1.8 მილიონზე მეტ ადამიანს აქვს მიღებული, სრულად ვაქცინირებული კი 950 000 მოქალაქეა.

**ipn.ge**




საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009